# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი. № 37 (2816) გამოდის მე-60 წელი; 13 სექტემბერი, 1991 ფასი 40 კაპ.


გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!



## საქართველოს მწერალთა კავშირში

12 სექტემბერს საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართა მწერალთა საერთო კრება, რომელზეც იმსჯელეს საქართველოში შექმნილ რთულ პოლიტიკურ ვითარებაზე.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მუხრან მაჭავარიანმა.

კამათში მონაწილეობდნენ: ნოდარ წულეისკირი, ამირან კალაძე, აკაკი ვასაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ჯემალ ქარჩხაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, სილოვან ნარიმანიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ენვერ ნიჟარაძე, მერაბ ელიოზიშვილი, დავით მჭედლური, ლევან ხაინდრავა, მზია ხეთაგური, გივი ალხაზიშვილი, იზა ორჯონიკიძე, ნელი გაბრიჩიძე, აკაკი ჯორჯაძე, გურამ გვერდწითელი, ნოდარ გრიგალაშვილი, თეიმურაზ ქორიძე.

კრების მონაწილეებმა უდიდესი გულისტკივილით აღნიშნეს, რომ საქართველოში შეიქმნა უაღრესად რთული, ფეთქებადი სიტუაცია, რომელიც კატასტროფით ემუქრება არა მხოლოდ საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მიღწევას, არამედ მის არსებობასაც კი.

სარგებლობენ რა შექმნილი ვითარებით, ჩვენი ქვეყნის მოწინააღმდეგენი მოითხოვენ საქართველოში საგანგებო წესების შემოღებას, გამოითქმება რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის სურვილი. ასეთ ვითარებაში მხოლოდ კონსოლიდაცია, ერთ მუშტად შეკვრა, პირად ამბიციებზე მაღლა დადგომა თუ გადაგვარჩენს.

მწერალთა კრებამ დაადგინა შექმნას დეპუტაცია, რომელიც დიალოგს გამართავს როგორც ოფიციალური ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებთან.

გამოხმაურება, რეპლიკა, ინფორმაცია

# „გაუხსნელი“ ძეგლი



1988 წლის 26 მაისს დმანისის რაიონის სოფელ ვარდისუბანში საზეიმოდ ჩაეყარა იაკობ ცურტაველის ძეგლს.

აქ მალე, წლის თავზე, აღიმართა სპილენძის ოთხმეტრიანი ქანდაკება. (მოქანდაკე ზ. ჯიბაძე ჩემი თანაავტორობით). ქანდაკება მიეძღვნა „შუშანიკის წამების“ ნაწარმოების 1500 წლისთავს.

ამის შემდეგ რაიონის ხელმძღვანელობამ არაერთხელ მოიწადინა ძეგლის გახსნა, მაგრამ რატომღაც ამ საქმეს ვერ მოება თავი. ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ უპატრონობის გამო სკვერი, სადაც ძეგლი დგას, მოუვლელია და ღვთის ანაბარაა მიტოვებული.

საკითხავია, ნუთუ ასე დაგვიდგა საქმე ქართული ლიტერატურის მამამთავრის — იაკობ ცურტაველის ძეგლს ველარ მივხედეთ?

ალექსანდრე ქოჩიაშვილი

# როდის ვნახავთ კარგ ქართულ ფილმს?

უკვე რამდენი წელია მაყურებლებს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ გადაღებული კარგი ფილმი აღარ გვინახავს.

საქართველოში ოცზე მეტი თეატრია და ყველგან რობერტ სტურუას ან გოგი ქავთარაძის დონის რეჟისორი, რა თქმა უნდა, ვერ გვეყოლება. რუსთაველის თეატრიც ყველა რეგიონს ვერ გასწვდება, მაგრამ კარგ ქართულ ფილმს ყველგან ეყოლება მაყურებელი თბილისშიც, ზატილშიც, საინგილოშიც, სამურზაყანოშიც, ჯავახეთშიც, რუსთავშიც...

კინოსტუდია წელიწადში, მგონი, ათ მხატვრულ ფილმს იღებს, მაგრამ აბა დამისახელეთ ათი ფილმიდან ერთი მაინც, რომელიც მაყურებლის საყვარელ ფილმად ქცეულიყოს?

რა უშლის ხელს რეჟისორებს კარგი ფილმების გადაღებაში, ან იქნებ თემებს ვერ პოულობენ?

ქართველ მაყურებელს მოგვწყურდა ჩვენს ისტორიაზე მაღალი დონის ფილმის ნახვა, საქართველოს ისტორია ფილმებითაც უნდა გავაცნოთ ჩვენს ახალ თაობას, ჩვენი წინაპრები კი ღირსნი არიან იმისა, რომ წარმოვაჩინოთ მათი ღვაწლი და დამსახურება თანამედროვეობის წინაშე. რამდენი რამაა გადასაღები, თვითონ „ვეფხისტყაოსანი“, „შუშანიკის წამება“, ფილმი შოთა რუსთაველზე, ილიაზე, სულხან-საბა ორბელიანზე, ერეკლე მეორეზე, ერეკლე პირველზე, გრიგოლ რობაქიძეზე, ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, მერაბ კოსტავაზე, გენერალ შალვა მაღლაკელიძეზე, 9 აპრილზე, 9 მარტზე, ქართული რომანები მრავალსერიიან სატელევიზიო ფილმებად შეიძლება გადაიღონ — შალვა დადიანის „უბედური რუსი“, რევაზ ჯაფარიძის „მძიმე ჯვარი“, მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“, ნერგი ჭილაიას „ეკატერინე ჭავჭავაძე“, გურამ გეგეშიძის რომანები, რეზო ჭეიშვილის „ხვინგიაძის თავგადასავალი“ და მრავალი სხვ.

დროა, კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ მაყურებელსაც დაუგდოს ყური და ისტორიულ თემებზეც დაიწყოს ფილმების გადაღება!

მიხეილ მუმლაძე

ქ. რუსთავი

# როდემდე ველოდოთ?

ქართველ მკითხველებს გვაწუხებს ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, და ვითხოვთ თქვენი გაზეთის მეშვეობით მაინც შევიტყოთ ამაზე იმათი პასუხი, ვისაც ეს ეხება.

1977 წლის სექტემბერში გამოვიწერეთ დიდი ივანე ჯავახიშვილის თორმეტტომეული, მაგრამ დღემდე მის სრულ გამოცემას საშველი არ დაადგა. განვლილ 14 წელში ხელისმომწერებმა მივიღეთ მხოლოდ ექვსი ტომი, ისიც არა თანმიმდევრობით, არამედ არეულად;

1980 წელს გამოვიწერეთ „თბილისის ისტორია“ სამ ტომად, დღემდე არ მიგვიღია არცერთი ტომი, თუმცა პირველი ტომი გამოსულია.

1987 წელს გამოვიწერეთ „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“. გამოვიდა მეხუთე ტომი, მაგრამ ახალციხემდე არც მან ჩამოაღწევია,.

. რა უშლის ხელს ზემოთ დასახელებული წიგნების დროულად გამოცემასა და მკითხველამდე დროულად მიტანას?

ნუთუ არ შეიძლებოდა, რომ წელიწადში ივ. ჯავახიშვილის თითო ტომი მაინც გამოსულიყო? ან იქნებ თბილისის ისტორია იწერება ახლა? ილიას ოცტომეულიდანაც მხოლოდ ხუთი ტომის გამოცემა მოხერხდა.

ერთი გულისტკივილიც მინდა გაგიზიაროთ. რაც თავი მახსოვს წიგნებს ვყიდულობდი, მაგრამ 1990 წლიდან წიგნების მაღაზიაში შესვლისა მეშინია. წიგნების ფასი ისე გაიზარდა, რომ მცირე ხელფასების პატრონები წიგნებისაკენ ველარ ვიხედებით. ამასთან, გამომცემლობებში გამოცემული ყველა წიგნი ვერ აღწევს რაიონების მაღაზიებამდე, მაგალითად, დიდი ხანია წავიკითხე, რომ გამოიცა რ. მეტრეველის ისტორიული ნარკვევი „თამარ მეფე“, ახალციხის საქწიგნის მაღაზიაში კი იგი ჯერაც არ მიუღიათ. ვინ უწევს კონტროლს წიგნების გამოცემას? ვინ აკონტროლებს ახალი წიგნების რაიონებში გავრცელებას?

სოსო ნათენაძე

ქ. ახალციხე

# „ბაგრატიონო, ქართულ ცხენზე ვინ აგამხედრა?!“

ქართველ ბაგრატიონთა შთამომავალი, რუსეთის იმპერიის სახელოვანი მხედართმთავარი პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონი ბოროდინოს ბრძოლის გმირია. იგი სუვოროვის უნიჭიერესი მოწაფე და იმპერატორ ალექსანდრე პირველის უსაყვარლესი გენერალი იყო. სწორედ მან დაიმსახურა ბოროდინოს ბრძოლაში დიდი ნაპოლეონ ბონაპარტეს პათეტიკური წამოძახილი: „იქ ბაგრატიონია!“... მას, დაჭრილს, როდესაც მოახსენეს მოხკოვის დაცემა, რაინდული სიშმაგით წამოიწია და სიკვდილს ახე — თითქმის ფეხზე დამდგარი შეეგება.

ამჟერად, დღევანდელობის ფონზე ძალზე საინტერესოდ გვეჩვენება პეტრე ბაგრატიონის ერთი ნაკლებცნობილი ქართული წერილის გახსენება, რომელიც გამოგზავნილია თავად ოთარ ამილახვრისადმი, და, რომელსაც თავის დროზე შეეხო აწ გარდაცვლილი ცნობილი ისტორიკოსი დავით გვრიტიშვილი. (საქ. მეც. აკადემიის მოამბე, ტ. №4, თბილისი, 1944 წ. გვ. 748, წერილი დაცულია საქ. ცენტრალურ ისტორიულ არქივში, ფონდი 226, საქმე №61 (9) დედანი).

იგი ბაგრატიონის ხელით არაა დაწერილი. მას იგი მხოლოდ ხელს აწერს. წერილში მკაფიოდ გამოხჭვივის პეტრე ბაგრატიონის რუსეთისადმი უდიდესი ერთგულება და ქართველ თავადებისადმი მუქარანარევი დარიგება. წერილი (თუ წერილები) საქართველოში 1806 წელს ჩამოუტანია მის ძმას რომან ბაგრატიონს. (თავად ქობულაშვილის ცნობა). როგორც აღვნიშნეთ, წერილის ადრესატია თავადი ოთარ ამილახვარი — 1804 წლის რუსეთის წინააღმდეგ მიმართული მთიულეთის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური. წერილი ოდნავ დაზიანებულია და იგი აღვადგინეთ პროფ. დ. გვრიტიშვილის ტექსტთან შეჯერებით. აი, ამ წერილის ტექსტიც:

„მათს ბრწყინვალებას ამილახვარს ოთარ ჩემს მწყალობელ უფალს,

შესაბამსა პატივისცემასა მოუძღვანებთ. ვიცი ჩვენს ამბავს ინებებთ სმენად და ყოველსავე ჩვენს ამბავს ჩ(ვენი) ძმა კნიაზ რომან ივანიჩი გიამბობსთ. სხვებრ ვითხ (ოვთ) თქვენის კეთილგონიერებისაგან, რომ თქვენის ჩვეულ (ე) ბისამებრ ყ(ოვლა)დ მოწყალის ხელმწიფის ერთგულებასა და თ(ქ)ვენის ქვეყნის სამსახურში გულსმოდგინე იყოთ. (ვინაიდ)გან მათს დიდებულებას ყ(ოვლა)დ და მოწყალეს ხელმწიფეს (სრ)ულის გულით სურს, რომ საქართველო ყოვლით(უ)რთ მშვიდობასა და ბედნიერებაში იყოს დაცული. ამისთვის თქვენც გმართებსთ, რომ ყოველნივე თქვენნი ნათესავნი და მოყვარენი განამტკიცოთ ხელმწიფის ერთგულებასა და ქვეყნის სამსახურში. თქვენვე იცით, თუ რუსეთის უძლეველი მხედრობა და ყ(ოვლა)დ მოწყალის ხელმწიფის საფარველი მაგ ქვეყანას არ შესწეოდა, აქამდინ დიდ უბედურებას მიეცემოდა, და ამისთვის გმართებთ სრულის ერთგულებით სამსახური ხელმწიფისა და თქვენის ქ(ვე)ყნისა; და გირჩევთ სიყვარულით, რომ რაც მანდ მყოფთ ჯართა დასჭირდეთ პური და სხვა საზმარი ნივთი შეძლებისა(ებ) შეეწიენით და სასყიდელიც მიიღეთ ხელმწიფისაგან. თქვენს ბრწყინვალებას ვარწმუნებ ამას, რომ თუმცა არ მინახავხართ, მაგრამ, ვიცი ჩემი ძმის კნიაზ რომან ივანიჩისაგან, თქვენი კეთილგონიერება და ერთგულება ხელმწიფისა, რომლისთვისაც მოხარული ვარ და კიდევაც ვითხოვ თქვენგან თქვენი ჩვეულებრივი სიმხნე და ერთგულება ხელმწიფისა და თქვენის ქვეყნისა არ მოიშალოთ, რომლისთვისაც ხელმწიფისაგან მიიღებთ საკმაოს წყალობასა, და იქნებ მეც მოვიდე და თვითონ მე გაჩვენებთ საქმით ერთგულებასა და სიყვარულსა და სხვებ დავშთები უმწვერვალესსა პატივისცემასა შინა თქვენსა.

თქვენი ბრწყინვალების მარად მსახურების მოსურნე, კნიაზ პეტრე ბაგრატიონი.

წელსა 1806 აპრილის 30“.

ასეთია წერილის შინაარსი. მისი კომენტარი მკითხველთათვის მიგვინდვია; ოღონდ, ერთს დავძენთ: იგი დაწერილია მთიულეთის აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ. დაწერილია რუსეთის იმპერიის უერთგულესი პიროვნების მიერ; (ეს წერილში მკვეთრადაა გამოხატული) და რაოდენ გასაოცარი და დაუჯერებელია, რუსეთისათვის დაცემული ერთ-ერთი უპირველესი მხედართმთავრის საფლავს რუსთა დღევანდელი შთამომავლობა ასე ველურად მოექცა: საფლავი ამოთხარეს და შეურაცხყვეს.

თუმცა რაა გასაკვირი? ისტორიას თავისი მწარე კანონზომიერებანი აქვს — ვინც არ აფასებს თავის ერს, იგი სხვისაგან სიკეთეს არ უნდა ელოდეს.

ალბათ, ამიტომაც ასე გულისტკივილით წერს პოეტი შოთა ნიშნიანიძე: „ბაგრატიონო ქართულ ცხენზე ვინ აგამხედრა,

კურთხეულ იყოს ეგ კვარცხლბეკი და საბრძანისი,

თუ წამოდგები ბოროდინო მოსჩანს აქედან,

მაგრამ, ვაი რომ, უფრო ახლოს არის კრწანისი“...

მართლაც, რაოდენ სამწუხაროა!

ზურაბ კეკელიძე

# ჟურნალი „ამერიკა“ წერს:

თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის რეჟისორმა რობერტ სტურუამ ნიუ-იორკში აჩვენა „მეფე ლირის“ თავისი ვერსია. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ თეატრალური კრიტიკოსი მელ გასოუ წერს, რომ ესაა „ბრწყინვალედ გათამაშებული სპექტაკლი, რომელიც გვიჩვენებს თავის მოტყუების ტრაგედიის მთელ სიღრმეს“. საზოგადოებას შეეძლო საყურისებით მოესმინა ქართული მეტყველების თარგმანი, მაგრამ სტურუას დადგმამ „ყველა ენობრივი ბარიერი“ გადალახა“.

(„პანორამის“ რუბრიკით დაბეჭდილ ამ ინფორმაციას ახლავს ფოტოკადრი: „რამაზ ჩხიკვაძე და მურმან ჯინორია რობერტ სტურუას სპექტაკლ „მეფე ლირში“).



გამოხმაურება, რეპლიკა, ინფორმაცია

# „არ დაივიწყოთ ეს დღე“

## სილოვან ნარიმანიძე

ამ ოთხი წლის წინათ წერილი მივწერე საქართველოს მწერალთა კავშირის მაშინდელ თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ციციშვილს, ვთხოვდი, მწერალთა კავშირი ჩარეულიყო, რათა რეაბილიტაცია მოეხდინათ ჩვენთაობელი პოეტის ადამ ალვანელისა (ბობლიაშვილისა). ჩემს თხოვნას ვასაბუთებდი მრავალი ფაქტით, იმითაც, თუ რა გარემოში მოუხდა ცხოვრება ამ ნიჭიერ კაცს და რამ გამოიწვია პოეტის ტრაგედია.

ჩემმა ცდამ უშედეგოდ ჩაიარა, სხვა დრო იყო და...

მცირე ხანი გავიდა და გაზეთებში რამდენიმე პუბლიკაცია გამოჩნდა ადამ ალვანელზე; ამ ცოტა ხნის წინ მოეწყო ტელეგადაცემაც.

რამდენადაც ახლა უფრო მეტი შესაძლებლობაა ითქვას ყველაფერზე, ითქვას შეულამაზებლად, ფაქტებს თავისი სახელი ეწოდოს, რამდენადაც ყოველი წვრილმანი, რაც ამ პოეტის ცხოვრებასთან არის დაკავშირებული ძვირფასია და საინტერესო, არ შემიძლია არ მოგითხროთ ჩემი სიჭაბუკის დროის ერთ ფაქტზე, რომელიც ადამ ალვანელთან არის დაკავშირებული. ეს მოგონება აცოცხლებს იმ პერიოდს, როცა დიდ ომს იხდიდა რუსეთის იმპერია გერმანიასთან. მაშინ ყაბარდოს ველებზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო გაჩაღებული, გერმანელები კავკასიისაკენ მოიწევდნენ და ჩემის აზრით, ისევე როგორც სტალინგრადის ბრძოლა, ბრძოლა კავკასიისათვის სწყვეტდა ფაქტიურად ომის ბედს, ვისაც კავკასია დარჩებოდა, გამარჯვებულიც ის იქნებოდა.

იდგა 1942 წლის გვიანი შემოდგომა. იმ წელს დავამთავრე საშუალო სკოლა და რადგანაც ჩემი მომავალი ცხოვრება გაურკვეველი იყო, სიჭაბუკის მოწყენილ დღეებს მშობლიურ სოფელ მაღრაანში ვატარებდი. მე და ადამ ალვანელი მეზობლები ვიყავით, — ჩვენი სოფლების ზემო ალვანისა და მაღრაანის მიწები ერთმანეთს ემიჯნება, ამ სოფლებს შორის მომცრო გორაზე ცხრაკარის დიდებული ტაძრეულია წამომართული. ეს სოფელი სამეზობლოდ და სამეგობროდ ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. სკოლა დავამთავრე და სოფელში გავედი, მერე ერთი სოფლიდან მეორე სოფელში, თანდათან ვეცნობოდი სამყაროს, ხშირად სოფლის ბიბლიოთეკაშიც ვიჯექი და ვკითხულობდი. სწორედ იმ დროს გავიცანი მირზა გელოვანის, ლადო ასათიანის, გიორგი ძიგვაშვილის, გაბრიელ ჯაბუშანურის, ადამ ალვანელისა და სხვათა ლექსები, ბევრი ლექსი ზეპირადაც ვიცოდი. ხანდახან მეც ვწერდი.

ბევრი რამის გახსენება და დაწერა შემიძლია იმ დროზე, მაგრამ არ მინდა მკითხველი სხვა ამბების თხრობით გადავღალო. მე მინდა მოგიყვეთ ერთი ამბავი, რომელიც თავისთავად საინტერესოდ მეჩვენება და ადამ ალვანელისა და მისი რაზმელების ცხოვრების ერთ ეპიზოდს ეხება.

სოფელი მაღრაანი, რომელიც მაჭახეულის ხეობაში მდებარეობს, კავკასიონის კალთებზე მთებისაკენ არის შეწეული. ერთ მხარეს მისი მთა-გორები მთათუშეთს ესაზღვრება, ჩრდილო-აღმოსავლეთით — სტორის ხეობას, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით — პანკისის ხეობას. ეს სოფელი უძველესი სოფელია. სწორედ სახელიც, როგორც საბა განმარტავს, — მაღრაანი უღრანიდან წარმოსდგება და უსიერ ტყიანეთს ნიშნავს, ალბად ახლაც საქართველოში ისე შენახული ტყეები იშვიათად შეგხვდებათ, როგორიც ამ ხეობაშია, ეს ხეობა ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა კავკასიონის სამხრეთ კალთებზე.

ეს ტყეები ოდითგანვე სოფლიდან დევნილი ადამიანების თავშესაფარი იყო, მრავალი ცნობილი „გარეული კაცი“ აფარებდა აქ თავს, ჯერ კიდევ 1905 წელს ამ ხეობაში ჰქონდათ ბინა დადებული ცნობილი ხარებასა და გოგიას რაზმელებს. ისინი იქვე დახოცეს, მათი საფლავებიც ამ ხეობაშია მაღალი ხეების ჩრდილებში მიმოფანტული. ამ ხეობაში აფარებდნენ ხშირად თავს სწორედ ის ადამიანები, რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლებას ბრძოლა გამოუცხადეს, უარი განაცხადეს საბჭოთა ჯარში გაწვევაზე და გერმანელებთან ბრძოლაზეც. ეს ის დრო იყო, როცა ბედის სასწორი ხან ერთ მხარეს გადაიხრებოდა, ხან მეორე მხარეს.

სოფელში ოთხი ძმა მყავდა (მამის ძმები). მათში ერთი, ვახტანგი, ბავშვობაში დაყრუვდა და აღარ ესმოდა. ტუჩების მოძრაობით იგებდა ჩვენს ნათქვამს.

დილით ადრე გამეღვიძა და გარეთ გამოვედი. სწორედ მას, — ვახტანგს კამეჩები ურემში შეება და ის იყო ტყეში ფიჩხის მოსატანად აპირებდა წასვლას.

— წამოდი, ბიჭო, მომეხმარე, ტყიდან ფიჩხი მოვიტანოთ, — დამინახა თუ არა, მითხრა მან და სახეში შემომაჩერდა.

გვიანი შემოდგომის ღრუბლიანი დღე იყო, ისეთი დრო, როცა, თუ გაავდრდა, თოვლი მოვა აუცილებლად. ჰაერი გაყინულიყო და ღამით დროდადრო თრთვილსაც ჰყრიდა ხოლმე.

— წამოდი, თორემ, აბა აიხედე ზევით, თოვლი თუ მოვიდა სად ვეძებოთ მერე ფიჩხი.

— წამოვალ, წამოვალ! დამელოდე! — ხელით ვანიშნე, მომიცადე-მეთქი და სახლში შევბრუნდი ქურთუკის გამოსატანად.

— ხომ არ გეშინია? — მითხრა, — ხომ იცი ტყეში ყაჩაღები არიან, შეიძლება შეგხვდნენ!

ოდნავ შევკრთი, ყველამ ვიცოდით, რომ მაღრაანის ტყეებს ბევრნი აფარებდნენ იმ დროს თავს. ომი იყო. ისიც ვიცოდით, რომ თუში ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა ომის დაწყებისთანავე უარი განაცხადა გერმანიასთან ომში მონაწილეობაზე, მათ სჯეროდათ, რომ გერმანია თავისუფლებას მოუტანდათ, ზოგმა მათგანმა უმიზნო სიკვდილს ტყეში გაჭრა არჩია. მართლაც იმ შემოდგომაზე თავი მოიყარა დიდმა რაზმმა; მრავალ სათავგადასავლო ამბებს ჰყვებოდა ხალხი მათზე, მათ მთათუშეთის პირიქითი და პირაქეთი ალაზნების ხეობები დაიკავეს, თუშეთი რესპუბლიკად გამოაცხადეს და „თავისუფალი საქართველო“ უწოდეს. ისიც ვიცოდით, რომ კავშირი ჰქონდათ მეზობელ ქისტებთან. ყველგან ისმოდა ძმების, ქისტების — იდრისასა და ირის სახელები. ისინიც ხომ უსამართლობას გაექცნენ და გადასახლებასა და ციმბირში სიკვდილს იარაღით ხელში ბრძოლა არჩიეს. ადამისა და მისი რაზმის ბრძოლა უსისხლო იყო, თუ არ გამოიწვევდი, ხალხს არაფერს არა ვნებდნენ, ხშირად იცვლიდნენ ადგილს, ხან მთაში იყვნენ, ხან ბარში.

— არ მეშინია — ვუთხარი ბიძაჩემს და ურმის კოფოზე ჩამოვჯექი, ტყისკენ გავეშურეთ.

ვინ უნდა შემხვდეს — ვფიქრობ ჩემთვის, — ან რატომ უნდა მეშინოდეს? ვიცოდი, იმ რაზმელებში ერთი მეტყევე ინჟინერი იყო, რომელიც ადრე ჩვენს ოჯახში, მეორე ბიძასთან — დათია ნარიმანიძესთან ხშირად სტუმრობდა ხოლმე. თვითონ ბიძაჩემი დათია ტყისმცველი იყო, პურმარილიანი კაცი, მეგობრის მოყვარული და ქართული ტრადიციების მტკიცედ მატარებელი. იმ მეტყევეს ფანცქალას ეძახდნენ, ჩვენც ყველანი ასე მივმართავდით ხოლმე. თუ რამე იქნებოდა, იმის სახელს ვახსენებ-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის. ადამოც გამეგო, ბობლიაშვილი, მისი ლექსი „ჩემი მემკვიდრეობა“ ზეპირად ვიცოდი, გარდა ამისა, მისი სხვა ლექსების იმედიც მქონდა, ისინი გაჭირვებისაგან დამიხსნიდნენ — ასე მეგონა.

ტყეში შეიჭრიალა თუ არა ურემმა, ძირს ჩამოვედი და საურმის გვერდით მიმავალი ბილიკით შევუყევი მაჭახეულის ხეობის აღმართებს. გარინდულიყო ბუნება, თითო-ოროლა ფიფქი თუ ჩამოვარდებოდა ციდან ტყეში და გამხმარ ფოთლებს ეფინებოდა. საოცრად მიზიდავდა ტყის იდილია, გვიანი შემოდგომის უხმაურო მიძინებულ ტყეს მხოლოდ ბიძაჩემის შეძახილი ახმიანებდა, ხანდახან კამეჩებს რომ სახრეს გადაუქნევდა ხოლმე.

შუაგულ ტყეში ჩქამივით უეცრად რაღაც ხმაური შემომესმა, ბიძაჩემისკენ, — ყრუ ვახტანგისკენ გავიხედე, ის ისევ ურმის კოფოზე მჯდარი უდარდელად მიერეკებოდა კამეჩებს.

— გააჩერე, გააჩერე ურემი! — გააჩერე, თორემ გესვრი! ვიღაც ნაბდიანი თოფით ხელში ტყიდან გამოვიდა და ბიძაჩემს ხელს უქნევდა. მას კი არაფერი ესმოდა და არც მისი ხელის ქნევა დაუნახავს.

ბილიკი გადმოვჭერი და უმალ იქ გავჩნდი.

— არ ესროლოთ, — შევძახე მე, — ყრუ არის; არ ესმის თქვენი ძახილი.

— შენ ვინა ხარ?

— ჩვენ ერთად ვართ, ბიძაჩემია, ფიჩხზე მივდივართ, ყრუა, — ნათქვამი გავიმეორე, ის ცოტა დამშვიდდა.

— წამოეწიე ურემს და გააჩერეთ, უნდა გავიგოთ, ვინა ხართ, იქნებ მოგზავნილები ხართ! — მითხრა მან და თოფის ლულა დაბლა დაუშვა.

ბილიკი მოკლედ გადავჭერი და ხელების ქნევით ბიძაჩემს მივანიშნე ურემი გაეჩერებინა.

— ვინ არიან, რა მოხდა? არ მესროლო ბიჭო, ამსოფლელი ვარ, ვერ გავიგე რას მეძახოდი, — შეაგება თოფიან კაცს სიტყვა.

ამ დროს ბუჩქნარი ტყიდან თავი რამდენიმე ახალგაზრდამ გამოყო. თითქმის ყველა წვერგაუპარსავი იყო. აგვზედ-ჩაგვხედეს. მათ შორის ერთი კაცი გამოჩნდა, თხელი, უფრო მაღალი და გამოკვეთილი, ქცევაში ეტყობოდა უფროსობდა. ფანცქალა იყო, ჩვენი ნაცნობი მეტყევე ინჟინერი, მან უმალ გვიცნო.

— შენ მეჭუდიანთ ბიჭი არა ხარ? — შემეკითხა (ჩვენ სოფლად მეჭუდიანთ გვეძახოდნენ).

— დიახ, იმათი ვარ.

— ცუციას ძმისწული. (ბიძაჩემ დათიას ამგვარად იხსენიებდა ყველა).

— დიახ, ისა ვარ!

— მერე და ვერ მიცანი, შე ღმერთძაღლო? თქვენი კაკლის ქვეშ რამდენჯერ გვიქეიფია. მე ფანცქალა ვარ.

— გიცანი, ამიტომ არც შეგვშინებია, მტრები არა ვართ, ტყეში მივდივართ ფიჩხის მოსატანად, კიდე კარგია, გამოვყევი, ბიძაჩემს ხომ ყურთ არ ესმის და ვინ იცის, ფათერაკს გადაეყრებოდა, მე რომ დროზე არ გამეგო.

ნუ გეშინია, უთხარი ბიძაშენს კამეჩები გამოუშვას და ცოტა ხანს შეისვენეთ. — მითხრა უფრო ბრძანების კილოთი და ვიღაცას მიმართა, — კამეჩები გამოუშვით!

ჩვენს წინ პატარა მომცრო ხერი იყო. იმ ხერის იქით ოციოდე კაცი ცეცხლს შემოსხდომოდა, მწვადებს სწვავდნენ და პურმარილს შეექცეოდნენ. ღვინოს ტიკიდან ასხამდნენ და ჰიქით არიგებდნენ. სუფრასთან მიგვიწვიეს.

სუფრაზე ერთი კაცის გვერდით მოვხვდი, ჩოფურა იყო, შავწვერულვაშიანი, გამხდარი, სახეც ავადმყოფური ჰქონდა, მხოლოდ მისი თვალები ისროდნენ ხანდახან ნაპერწკლებს. საუბარს შევყევით, რაზმელებმა მცირე კაფიობა დაიწყეს ერთმანეთში, თითქმის ყველანი მოლექსეობდნენ. განთქმულია თუშური ხალხური ლექსი, მათი სიტყვაობა. ყველაფრის აღდგენა ახლა მიჭირს. კარგად დაგვაპურეს.

— როგორც თვითონ თუშეთს, — ვუთხარი ჩემს მოსაუბრეს, — სხვა მადლი აქვს თუშურ ხალხურ ლექსსაც.

— ლექსები გიყვარს?

— მიყვარს, — გამოვუტყდი მოკრძალებულად, ახლებში ყველაზე ძალიან მირზა გელოვანის პოეზია მომწონს.

თანამოსაუბრე უცებ შეიცვალა, ნახევრად შემოტრიალდა ჩემსკენ და დამაკვირდა. მის თვალებში რაღაცამ გაიელვა. უცებ თითქოს ძალიან ახლობელი გავხდი მისთვის.

— ბალღო, საიდან იცი მირზა? მირზა! მირზა! — ჩაილაპარაკა თავისთვის, — მართლაც დიდებული პოეტია, მაგრამ შენ საიდან იცი მისი ლექსები, ის ხომ სკოლაში არ გისწავლიათ.

— ადამ ბობლიაშვილიც არ არის ურიგო პოეტი, — უფრო დავძაბე მოსაუბრის ყურადღება.

— ადამი?.. იცნობ ადამს?

— პირადად არ ვიცნობ, მომწონს მისი ლექსები, მისი პოემის ნაწყვეტი ამ ცოტა ხნის წინათ „ჩვენ თაობაში“ რომ დაიბეჭდა „ჩემი მემკვიდრეობა“ ზეპირად ვიცი. და ლექსის თქმა დავიწყე:

„ქანცმილეული მოველ ბარიდან,
გადმოვიარე სამრულის წყალი,
ახლა აღმართზე მივიჩქარი და
ხეობებს გასდევს მშიერი თვალი.
ბლავილი მოდის საჯიხვე მთიდან,
გორებს ახურავთ მწვანე საბანი,
ნისლი მოცურავს ბამბაზე
წმინდა
დილის ცრემლებით გადანაბანი,
ფრიალოებო, მიამბეთ რამე,
ჯიხვთა ბილიკებს თუ გადავურჩი,
საბნად დამხურეთ თუშეთის
ლამე,
ქვეშ დამიფინეთ ცვრიანი ქუჩი“.

ის უცებ ჩემსკენ დაიხარა და გადამეხვია. თვალებში ცეცხლი უელავდა.

— იცოდი, რომ მე ადამ ბობლიაშვილი ვარ?..

ამის გაგონებაზე უცებ შევკრთი, ფეხზე წამოდგომა დავაპირე, მაგრამ მან გამაჩერა. მაღრაანის უღრანი ტყის სიღრმეში, ცეცხლის პირას, სუფრასთან ვისხედით ერთმანეთის გვერდით, ერთი — დაბრძენებული, ცხოვრების ორომტრიალში ათასჯერ მოტრიალე და დაბეგვილი, ნამდვილი პოეტი, რომელიც ცხოვრებამ ტყეჭრეში ისროლა და გზა-კვალი აუბნია და მე — სრულიად ახალგაზრდა, რომელიც ახლა აპირებდა ცხოვრების დიდ მდინარეში გადაშვებას.

— თქვენთან დავრჩები, — ბავშვური მიამიტობით, თითქმის გაუბედავად ვუთხარი ბოლოს ადამს.

— არა, — მითხრა მან, — შენ ამას არ იზამ, მეც ალბათ დავმარცხდები, ძნელია ბრძოლა რუსულ ხიშტთან, მოვა დრო და იქნებ... — თუმცა ვინ იცის, სიკვდილიც სჯობდეს ამათ მონობას, — მითხრა მან ბოლოს.

— ამათ მე გავაცილებ, — უთხრა სხვებს და წამოდგა, მეც წამოვდექი. ბიძაჩემი კამეჩებს ურემში აბამდა. ადამი მოწყენილი მეჩვენა. ავადმყოფური, გამხდარი და გაყვითლებული. მაშინ არ ვიცოდი, რომ ის მძიმე სენით იყო დაავადებული.

— თბილისში მატარებლით, მარტოდმარტო მივემგზავრებოდი თელავიდან, — მითხრა გაცილებისას, — საგარეჯოს სადგურში ვაგონში ვიღაცა ამოვიდა და ამბავი ამოიტანა, — გუშინ მიხეილ ზანდუკელი დააპატიმრესო, იქვე სხვა ჩემი მეგობრების გვარებიც ახსენეს. ვიცოდი, მეც არ ამცდებოდა ბორკილები, გადმოვხტი მატარებლიდან და აგერ ხომ ხედავ, აქა ვარ. მერე ამხედ-დამხედა, მზერა ჩემს ქალამნებზე შეაჩერა და შინაურულად მითხრა.

— ქალამნები დამიცვდა, იქნებ შემიცვალო, და ქალამნების გახდა დაიწყო. მეც გავიხადე და მისი ტყაპუჭიანი ქალამნების ჩაცმა დავიწყე.

— ასა ესეც, მითხრა მან და შეკრული რაღაც გამოიტანა ბუჩქნარიდან, — ზარის ტყავია, ბიძაშენს სთხოვე ჩემს მაგივრად, ორი წყვილი ქალამანი ამომისხას, ნაბარუანის ღელესთან გამომწვარი მუხის ხე რომ დგას, იქ მოიტანე და იმ ხის ფუღუროში შეინახე, მივალ და წავიღებ. იქნებ ახალი ჟურნალ-გაზეთებიც გამომიყოლო. ტყიდან რომ გამოვალ, ყველაფერს გადაგიხდი... თუ არადა... სიტყვა არ დაამთავრა.

ზარის ტყავი გამოვართვი, ბიძაჩემი უკვე ურმის კოფოზე იჯდა, და კამეჩებს შუაგულ ტყისაკენ მიერეკებოდა. მე ერთხან გაოგნებული ვიდექი და არ ვიცოდი, ადამს როგორ დავმშვიდობებოდი.

— არ დაივიწყო ეს დღე. — თხრა მან და ხელი გამომიწ...

— ცუცია მომიკითხე! — მომძახა ფანცქალამ შორიდა... ხელი მაღლა ასწია.

დაბურული ტყის ჩრდილ... გა ადამი, წვერმოშვებულ... დიანი, ავადმყოფური დ... მიქნევდა. მერე ისიც გაუჩ...

●

თხოვნა შევუსრულე, დღეს სამი წყვილი ამოვასხმევინე ბიძაჩემს ს... დანიშნულ ადგილას მ... ერთი კვირის შემდეგ კვ... ვედი იმ ადგილას, დან... ვათვალიერებდი, მაგრამ ... რაფერი დამხვდა. ეტყობა მისულიყო, ქალამნები და ჟურნ... გაზეთები წაეღო. დამხვდა პა... რა ბარათი.

„დიდი მადლობა ნობათისათვის — წერდა იგი, — კეთილი საქმისათვის ღმერთი გადაგიხდის! —

●

გაიარა დრომ, წლებმა. ჩემი თაობის ადამიანებმა უდიდესი ქარიშხლები გადაიტანეს, ბუნებისა და ცხოვრების მრავალი ცვალებადობა იხილეს. ყველაფერზე თხრობა აქ რა თქმა უნდა არ შეიძლება.

როცა კავკასიისათვის ბრძოლის ბედი უკვე გადაწყდა და გერმანიამ უკან დაიხია, ადამი და მისი მეგობრები, სამნი, 1948 წლის ადრე გაზაფხულზე დიდი თავგამეტებით მთათუშეთიდან კახეთის ბარისაკენ დაეშვნენ, იქ იყვნენ ორივენი, ადამიცა და ფანცქალაც. საკუთარმა მეგობარმა, მათმა რაზმელმა, თავი რომ გადაერჩინა, განთიადისას პატარა ხევის პირას სამივე მოტყუებით დახოცა, თავები დააჭრა და თელავში მილიციის მაშინდელ უფროსს — ალიოშა კვაშალს ჩაუტანა გუდით.

ახეა ცხოვრება, ერთს, უდანაშაულოს, სჯის და მეორეს, დამნაშავეს, ათავისუფლებს სასჯელისაგან.

თუშებმა მწარედ დაიტირეს თავისი სახელოვანი შვილები.

●

გულში სინჯად მქონდა, რომ დღემდე ეს ამბავი ვერავისთვის მეთქვა. მინდოდა, რაღაც გამეკეთებინა ამ გმირი ხალხის ხსოვნის აღსანიშნავად. ამ ხუთი-ექვსი წლის წინ პოემაც დავწერე, რომელსაც „ღალატი“ ჰქვია და გამოვაქვეყნე კიდეც ჩემს წიგნში, 1986 წელს. იმ პოემაში მოქმედება სხვა დროში გადავიტანე. დაინტერესებული პირი თუ წაიკითხავს, ყველაფერს მიხვდება. ძნელი იყო პირისპირ ბრძოლა დამპყრობლებთან...

მაინც ვალში ვარ...

განათებული მზით იწყებს ცხოვრებას ადამ ბობლიაშვილი, ღმერთმა ხელი მოუმართოს მის პოეზიას!



ადამ ბოგლიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი პატრიოტი

შესრულდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის კალისტრატე სალიას დაბადების 90 წლისთავი...

კალისტრატე სალიამ სახელი გაითქვა მნიშვნელოვანი ქართველოლოგიური ნაშრომებით. იგი არჩეული იყო ლუვენის, ბამბერგის, ბორდოს, ოსლოს უნივერსიტეტებისა და პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის საპატიო პროფესორად, იყო ხმელთაშუა ზღვის აკადემიის ნამდვილი წევრი, პარიზის სააზიო საზოგადოების, ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო სტუდიების წევრი და სხვ. ბატონი კალისტრატე სამჯერ აირჩიეს სამეცნიერო ბეჭდვითი სიტყვის საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტად, აქტიურად მონაწილეობდა მრავალ სიმპოზიუმსა და საერთაშორისო კონგრესში.

კ. სალია დაიბადა 1901 წლის 28 აგვისტოს ქუთაისის გუბერნიის, ზუგდიდის მაზრის (ახლა წალენჯიხის რაიონი) სოფელ ჯგალში, ზოსიმე სალიას ოჯახში.

კალისტრატე 1920 წელს შედის თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, მაგრამ 1921 წელს მას აპატიმრებენ. მეტეხის ციხიდან თავის 60 თანამებრძოლთან ერთად აგზავნიან მოსკოვის ბუტირკის ციხეში, 1922 წლის ნოემბერში იგი მოხვდა ბერლინში. შედის ბერლინის უნივერსიტეტთან არსებულ გერმანული ენისა და ლიტერატურის ორწლიან ინსტიტუტში ეკონომიკურ და იურიდიულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

კ. სალია 1924 წელს მიემგზავრება პარიზში და შედის სორბონის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1927 წელს.

პარიზში კ. სალია გაიცნობს რუსეთიდან ემიგრირებულ ქართველ ქალს — ნინო ქურციკაშვილს, შეირთავს მას და რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მასთან ერთად ეწევა მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

1948 წელს ნინო და კალისტრატე სალიებმა პარიზში დააარსეს ქართველოლოგიური ჟურნალი „ბედი ქართლისა", რომელიც 1964 წლამდე გამოდიოდა ქართულ ენაზე. ჟურნალს კითხულობდნენ მხოლოდ ქართული ენის მცოდნეები. მათ გაითვალისწინეს ეს მდგომარეობა და 1957 წლიდან ფრანგულ ენაზე დააარსეს დიდტანიანი ქართველოლოგიური ჟურნალი „რევიუ დე კარტველოლოჟი", რომელიც გამოდიოდა 1984 წლამდე. ამავე დროს ჟურნალში იბეჭდებოდა სტატიები გერმანულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე.

ბატონ კალისტრატეს 1971 წლის 28 აგვისტოს დაბადების 70 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით უცხოელმა მეცნიერებმა დაწერეს ერთობლივი სტატია, რომელიც დაიბეჭდა „რევიუ დე კარტველოლოჟის" 1971 წლის XXVIII ტომში (ეს სტატია, ქართულად დაიბეჭდა გაზ. „სამშობლოში"; № 11, 1971). სტატიაში ვკითხულობთ: „1971 წლის 28 აგვისტოს „რევიუ დე კარტველოლოჟის" („ბედი ქართლისას") დირექტორ-დამაარსებელს, პროფესორ კალისტრატე სალიას დაბადების 70 წელი უსრულდება. ამასთან დაკავშირებით ჟურნალის სამეცნიერო საბჭოს საჭიროდ მიაჩნია პატივი სცეს და ღვაწლმოსილ პროფესორს კვლავაც ხანგრძლივი მოღვაწეობა უსურვოს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის შესწავლისათვის საზღვარგარეთ.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ, ქართველოლოგიით სერიოზულად დაინტერესებულთა რიცხვი საზღვარგარეთ უმნიშვნელო იყო. საქართველო არ იყო მსოფლიო ასპარეზზე წარმოდგენილი ისე, როგორც მის ისტორიას, წარსულისა თუ დღევანდელობის კულტურულ სიმდიდრეს შეეფერება.

დღეს მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. რაც დრო გადის, უფრო მეტი და მეტი ევროპელი თუ ამერიკელი მეცნიერი სწავლობს საქართველოსა და კავკასიის სხვა ხალხთა ენებს, ლი-



ტერატურას, ისტორიასა და ხელოვნებას. ქართული ენა და ლიტერატურა ისწავლება მრავალ უნივერსიტეტში, მეცნიერული კვლევა-ძიება კავკასიური ენების დარგში ყველგან ვითარდება. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „ბედი ქართლისას" რედაქტორმა, რომელიც წლეულს ზეიმობს თავისი დაბადების 70 წლისთავს. 15 წლის წინათ, ამ ბეჭდვით ორგანოს საფუძველი რომ ჩაეყარა, მან შეძლო ჟურნალის ირგვლივ შემოეკრიბა ყველა ქართველოლოგი და კავკასიოლოგი, დაემყარებინა აუცილებელი კონტაქტები, რომლებიც თითქმის არ არსებობდა საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ წარმოებულ კვლევა-ძიებას შორის და გაეღვიძებინა მეცნიერული ინტერესი ამ ლეგენდარული და მომხიბლავი მხარის ცივილიზაციის ყველა ასპექტის შესწავლისადმი.

აქვე უნდა აღინიშნოს იუბილარის მეუღლის — ნინო სალიას დამსახურებაც. ნინო სალია თავიდანვე დიდ დახმარებას უწევს ჟურნალს, ამასთან ჟურნალის ფურცლებზე აქვეყნებს სტატიებს. ორივე მოღვაწე მძიმე, მაგრამ ღირსეულ შრომას ეწევა უდიდესი თავგანწირვის ფასად".

აღსანიშნავია პროფ. კ. სალიას ფუნდამენტური წიგნი „ქართველი ერის ისტორია", რომელიც ინგლისურ ენაზე თარგმნა და ლონდონში ცალკე წიგნად გამოსცა ინგლისელმა ქართველოლოგმა ქეთრინ ვივიანმა. ამ წიგნის შესახებ „რევიუ დე კარტველოლოჟის" 1980 წლის ბოლო ნომერში ვკითხულობთ: „საფრანგეთის აკადემიის მუდმივ მდივანს აქვს პატივი აცნობოს ბატონ კალისტრატე სალიას რომ მას „ქართველი ერის ისტორიის" გამოქვეყნებისათვის საფრანგეთის აკადემიამ მიანიჭა პრემია".

ბატონი კალისტრატე სალია გარდაიცვალა 1986 წლის 27 ივლისს; 1988 წლის 27 თებერვალს მისი ნეშტი დიდუბის პანთეონში გადმოასვენეს.

ქართველი კაცის ხსოვნაში წარუშლელად დარჩება ამ დიდი პატრიოტის სახელი.

**სერგო თურნავა**

# მხოლოდ სიმართლე გადაგვარჩენს

**სერგეი მიხალკოვს**

„ძვირფასო..." — გწერენ ცხრა მთას იქიდან და თუმცა იცი, რომ ბარათი თანამედროვე სიტუაციის შესაფერისად შედგენილი სტანდარტია, მაინც გიხარია, რადგან მას მსოფლიოში ცნობილი მწერალი (ახევე საქვეყნოდ აღიარებული კინორეჟისორის მამა!) სერგეი ვლადიმერის-ძე მიხალკოვი აწერს ხელს. ამიტომ, მეც გავკადნიერდები, სერგეი ვლადიმერის-ძევ და პირადად თქვენ მოგმართავთ:

დიახ, მართალი ბრძანდებით, ჩემო ბატონო, ყმაწვილის სულის აღზრდა ყოველთვის წმინდა და ძნელ საქმედ ითვლებოდა, განსაკუთრებულ თავგანწირვას, თვითშეწირვას მოითხოვდა... ვერც იმაზე შევედავებით, რომ დღევანდელობამ, ამ არეულმა დრომ ფასეულობათა განსხვავებული საზომები შემოგვთავაზა და, სამწუხაროდ, ხშირად ზეიმობს ირგვლივ უსამართლობა. რის გამოც მართლაც: Забытыми и обиженными становятся наши дети, их учителя и наставники. На наш взгляд, парализована педагогическая наука, теряет ориентиры школа; гибнут детская литература, детский театр, кино. Мы удаляемся друг от друга и будто в старой андерсеновской сказке привыкаем видеть мир искаженным: исподволь, привыкаем терпеливо сносить зло, несправедливость.

Дорогой друг! поодиночке нам не выжить. Пропадем».

გულწრფელად მოგახსენებთ, სერგი ვლადიმერის ძევ! თქვენთან და სხვა ცნობილ საბავშვო მწერლებთან შეხვედრა და საუბარი ჩვენი დროის მტკივნეულ საკითხებზე, ბავშვებზე, საბავშვო ლიტერატურაზე ჩემთვის უაღრესად დიდი პატივია. სხვა რომ არაფერი, მწერალთა მოძღვნოთ თაობა გარკვეულად მუდამ დავალებულია წინა თაობისაგან. დავალებულია ნიჭით, გამოცდილებით, სიყვარულით — ჭეშმარიტი მწერლის გულის სითბოთი, მისი ნაჭირნახულევის გაცნობისას რომ უგრძვნია და გაუთავისებია.

და მაინც, ძვირფასო სერგეი ვლადიმერის ძევ! მინდა გულწრფელად გითხრათ, რომ თქვენმა ამ ჭეშმარიტად ჰუმანისტური პრინციპებით დაწერილმა გულთბილმა ბარათმა 1989 წლის დეკემბრის სუსხიანი მოსკოვი გამახსენა ყინვით გათანგული, უხვთოვლიანი ვოროვსკაია და წუთები, როდესაც ჩემს სიცოცხლეში პირველად წარმომიდგა საკუთარი თავი მათხოვრად... მათხოვრად, რომელიც არ განიკითხეს. „გადაწყვეტთ თუ არა ჩამოსვლას, ლიუდმილა დიმიტრიევნა სალტიკოვას აცნობეთ", — მწერთ თქვენ...

დიახ, 1989 წლის 9 დეკემბერი შემთხვევით როდი გამახსენდა! — სწორედ ლიუდმილა დიმიტრიევნას (საკავშირო მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი) ველოდებოდი ვოროვსკაიაზე, რომ სიმართლე მეამბნა იმის შესახებ. რაც 1989 წელს, გიორგობა დღეს მოხდა ჩვენთან, სამაჩაბლოში. მეამბნა დაწვრილებით, რადგან წინა დღეს, 8 დეკემბერს, მწერალ ქალთა საკავშირო ასოციაციის დამფუძნებელ კონფერენციაზე, რომლის ერთ-ერთი დელეგატი მეც გახლდით, ვინმე ზინაიდა ხოსტიუყოვამ შეურაცხყო ჩვენი რესპუბლიკა, ქართველი ხალხი, — ყოველგვარი სისაძაგლე, რაც ოსმა ექსტრემისტებმა და მათგან წაქეზებულმა სამაჩაბლოში მცხოვრებმა ზოგიერთმა სულმოკლე და უმადურმა ოსმა იქაურ ქართველობას გაუკეთა, სულ ჩვენ გადმოგვაბრალა, უსირცხვილოდ მოხსნა თავი ცილისწამებისა და ტყუილების მხამიან გუდას.

დეკემბრის ის დღე ყველაზე ტკივილიან, სულისშემძვრელ მოგონებად დარჩება ჩემთვის და იმ ქართველ მწერალ ქალთათვის, რომლებიც კონფერენციას ესწრებოდნენ.

მოსკოვში გამგზავრების წინ და შემდეგ, გზაშიაც, შეშფოთებული და გამწარებულნი ოს ექსტრემისტთა თავგასულობით, უხამსობით, ცინიზმითა და სადისტური დამოკიდებულებით ჩვენი ხალხისადმი, ხალხისადმი, რომელმაც მათი უმიწაწყლო, ბოგანო მამა-პაპა გულმოწყალედ შეიკედლა და შეიფარა წინაპართა სისხლის ფასად შენარჩუნებულ საკუთარ მიწა-წყალზე, ერთმანეთს ვაფრთხილებდით, რომ კონფერენციაზე არ იყო საჭირო ამ სატკივარზე საუბარი. ჯერ კიდევ ვიმედოვნებდით, — „სანთელსაკმეველი გზას არ დაჰკარგავდა", ოსები დაფიქრდებოდნენ, მიხვდებოდნენ თავიანთ შეცდომას და გონს მოეგებოდნენ...

მაგრამ ზინაიდა ხოსტიუყოვას გაღმა შედავების პოლიტიკამ, რომელსაც არც თუ უმტკივნეულოდ, ემოციებისა და გამოხმაურების გარეშე ჩაუვლია, თავზარი დაგვცა.

ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი, ქალბატონი ნანა კანდელაკი, შეეცადა, გაებათილებინა მისი ცილისწამებანი, ყველაფერი დაუფარავად მოახსენა კონფერენციის მონაწილეებს, მაგრამ ახლა კრემლისგან წაქეზებული აფხაზთა წარმომადგენელი, პოეტი ნელი თარბა გამოვიდა ხოსტიუყოვას ცილისწამების კვერის დამკვრელად. საჭირო იყო სიმართლე რომელიმე სხვა ეროვნების წარმომადგენელს ეთქვა. მზია ხეთაგურმა დაგვიცვა, მაგრამ არა — ოსი, არამედ — ქართველი მწერლის პოზიციიდან. კიდევ კარგი, მოინახა დარბაზში ერთი სომეხი მწერალი, რომელიც მხარში ამოგვიდგა, იმდენი სიკეთე გაიხსენა ქართველებისა, წელში გავიმართეთ... იქნებ რუს მწერალთაგანაც შეეძლო ვინმეს ორიოდე თბილი სიტყვა ეთქვა ჩვენზე... თავი არავის გამოუდია... ოსები განა ამდენს გაბედავდნენ, ჩრდილოეთიდან რომ არ ჰქონოდათ მხარდაჭერა? რუსი ინტელიგენცია რომ აღმდგარიყო სიმართლის დასაცავად, ახე ხომ არ გამწვავდებოდა და გამძაფრდებოდა მდგომარეობა ე. წ. სამხრეთ ოსეთში?

სამწუხაროდ, ჩვენი დაცვა აზრადაც არავის მოსვლია. — რა მოხდა, დაუთმეთ, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ უფრო ადრე დაემკვიდრა სამაჩაბლოს მიწაზე და ვინ — შედარებით გვიანო!

თქვე დალოცვილებო! თუ ასე ადვილი დასათმობია სამშობლო, მისი სახელი და მიწა-წყალი, რაღად ებრძოდით გერმანელებს, გადაგეცათ მათთვის რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია! რაღად გაცვივდა მთელი ხალხი ტყეში პარტიზანად! ჩვენი მამა-ბიძა მაინც აღარ ამოწყდებოდა.

როგორც ჩანს, საკუთარი სამშობლოს გამეტება არავის სურს, სხვისი მიწა-წყლის მავან-მავანზე დანაწილება კი ადვილად ხელეწიფება!

მე ერთი უბრალო ქართველი ქალი გახლავართ. სამაჩაბლოზე გზად გამივლია რამდენჯერმე, მაგრამ უმალ სიკვდილს ვამჯობინებ, ვიდრე — შიდა ქართლის დათმობას! ისედაც ბევრი დავკარგეთ! აბა, ერთი იკითხეთ, რამდენი აქვს ჩვენი მიწისა თურქეთს, აზერბაიჯანს, რსფსრ-ს, სომხეთს...

ერთი პატარა, გულისტოლა ნაგლეჯილა დაგვრჩა და ამასაც გვეცილებიან.

მაინც რა დავუშავეთ ოსებს?

იქნებ ის, თავიანთ მიწაზე რომ არასოდეს ღირსებიათ და აქ გავუხსენით სკოლები მშობლიურ ენაზე?!

საკუთარი პედაგოგიური ინსტიტუტი, გამომცემლობა, გაზეთი, რადიომაუწყებლობა, ლიტერატურული ჟურნალი, თეატრი რომ დავუარსეთ და საკუთარ-ეროვნულ-სულიერ შესაძლებლობათა სრულად გამოვლენის საუკეთესო პირობები შევუქმენით?

„ერთად ვიფიქროთ იმაზე, რა გადაგვარჩენს, რა გვიშველის..."

ბაირონი გაიხსენეთ, ჰემინგუეი... „ვის უხმობს ზარი"?

ზარიც, რომელიც ახლა ჩემმა თავისუფლებისმოყვარე ხალხმა დაარისხა, — ყველა კეთილი ნების ადამიანს უხმობს და უპირველეს ყოვლისა — მწერალს, ვინც ვალდებულია მხოლოდ და მხოლოდ სიმართლესა და სამართლიანობას ემსახუროს.

Любую беду пережить легче, когда мы вместе»...

ჩვენ კი, ქართველი მწერალი ქალები, მარტონი აღმოვჩნდით მაშინ მოსკოვში — ლიტერატორთა სახლის ვრცელ დარბაზში, ჩრდილოეთ ოსეთიდან ჩამოსული ცილისმწამებლის ზინაიდა ხოსტიუყოვას შეურაცხმყოფელი, გამოგონილი ბრალდებებისაგან თავზარდაცემულნი, გარიყულნი, მიუსაფარნი...

მაშინ რომ ვინმეს ყურად ეღო ჩვენი განცხადება: — „ტყუილია! ცილს გვწამებენ! ჩვენი მიწის წართმევა უნდათ და პროვოკაციას, შანტაჟს გვიწყობენო..." იქნებ ამდენი სისხლი აღარ დაღვრილიყო.

აბა, ჩემგან რა გესწავლებათ, პატივცემულო სერგეი ვლადიმერის-ძევ! მაგრამ მაინც მინდა გითხრათ, რომ ჩემის აზრით — ერთადერთი, რაც ჩვენ ყველას, გვიშველის და გადაგვარჩენს, მხოლოდ სიმართლე, სამართლიანობა გახლავთ! — სიმართლე ღვთის წინაშე, საკუთარი თავის წინაშე, ერთმანეთის წინაშე, დაწერილი თუ დაუწერელი ადამიანური კანონების, მაღალზნეობრივი ჰუმანისტური პრინციპების წინაშე...

სამშობლო ყველა ნორმალურ ადამიანს უყვარს: «Велика Россия, но отступать некуда, за нами Москва!»

და კვდებოდნენ რუსები, უკრაინელები, ქართველები, ბელორუსები მოსკოვის მისადგომებთან...

ჩემი საქართველო კი პატარაა. ეხლა გადაგვრჩა იმ „ნიკოფსიით დარუბანდამდის" გადაჭიმული ქვეყნიდან, დიდმა დავითმა რომ დაგვიტოვა. ან სიკვდილი და ერთიანად, დედაბუდიანად ამოწყვეტა, ან ამ მცირეოდენის შენარჩუნება! ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს. თამამად შემიძლია ვთქვა: ყველა ქართველის საბოლოო გულისთქმაც ეს გახლავთ! ვინც ვერ გაგვიგებს, ან უფრო მეტიც — მოისურვებს ამ სამართლიანი გადაწყვეტილების გამო თავს ლაფი გვასხას, შხამი და გესლი გვანთხიოს, მცირე იმპერია გვიწოდოს და სხვა შეურაცხმყოფელი ეპითეტებით შეგვამკოს, მასთან საერთო არც გვინდა გვქონდეს. იმედი მაქვს, ასეთთა რიცხვში ბატონი სერგეი მიხალკოვი არამც და არამც არ აღმოჩნდება.

ბავშვების ბედი, საბავშვო მწერლების ბედი, საბავშვო ლიტერატურა, კინო, თეატრი, ლიტერატურული საბჭო... ეს ყველაფერი მეც უაღრესად მაღელვებს, მაგრამ — „მამულს გული უპირველეს ყოვლისა!" — ჩემი სამშობლო დამოუკიდებლობის, ბედნიერების გზაზე დგას... არ დავფარავ, — ხშირად ისიც მეჩვენება, რომ ირგვლივ ქაოსია, მაგრამ იმედი მაქვს, გზაწვრილი, ამ ბურუსში რომ ილანდება, სანუკვარი ტაძრისაკენ მიდის... ჩვენ თქვენი დახმარებაც გვჭირდება, თქვენი და თქვენი კოლეგების მხარდაჭერა.

პატივისცემით

**მზია ჩხეტიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



შალვა ფორჩხიძე

# ახალი ლექსები

### თეთრი გიორგი თეთრი ცხენით ეწვია ქართველთ...

დილის მზესავით ანგელოზი გადმოდის ციდან
და ლურჯ ჭალებზე ფეხშიშველი უფალი მოდის,
მაღალ კორდებზე ფერიები სინათლეს ღვრიან
და საქართველოს რთავენ თეთრი ასკილის
ტოტით...

მათ ხატებს ვფიცავ, არაფერი სხვისი არ
გვმართებს,
ცოდვაა სული ამდენი ხნის ულვთოდ ნაკორტნი...
თეთრი გიორგი
თეთრი ცხენით
სწვევია ქართველთ,
უნდა გველეშაპს გამოსტაცოს მწვანე წალკოტი...

### საქართველო სათნოების სახლია...

საქართველოს გაუფრთხილდით, ბატონებო,
ყვავ-ყორნები უჩრდილებენ მზის სხივს...
თეთრ ჩოხებში გამოეწყვეთ საგანგებოდ,
წმინდა მიწას გაარიდეთ სისხლი...

მაცხოვარი გადმოსულა ლურჯი ციდან,
საქართველო დაემგვანა გაზაფხულს,
ხალხს სინათლედ მოეფინა სულიწმინდა,
ხვალისათვის სხვას გვპირდება სასწაულს...

ბატონებო, ფიცი თქვით და დამილოცეთ
ჩემი ხალხის სული თავისუფალი,
საქართველოს ანაცვალეთ სიცოცხლე,
მართალ ვართ და შეგვეწევა უფალი!

ვაზის ჯვარს და ხატის ნათელს მოუარეთ,
მადლი შესვით ქრისტეს უხვი ვენახის,
ერთურთს მუხლი სიყვარულით მოუყარეთ,
ბატონებო, საქართველო გეძახით!

თეთრ ჩოხებში გამოეწყვეთ საგანგებოდ
და მტერს სახეს ნუ უჩვენებთ ნაღვლიანს,
სიყვარულით შეიჯავშნეთ, ბატონებო,
საქართველო სათნოების სახლია!..

### ჯაბუშანური

ათასში ერთხელ აიშვებდა თავს გაბრიელი,
აღარ ახსოვდა ცხოვრების გზა-კვალი,
ბოლმის მოსაკლავად
მთელი წლის ჰონორარს —
ერთბაშად ხარჯავდა, საწყალი...
და მერე ჯიბეცარიელი
მთაში ბრუნდებოდა
ლურჯთვალა ყვავილების სპეტაკი წაწალი...

ხვნასა და თესვას არ თაკილობდა,
თვითონ მკიდა და თვითონ ლეწავდა,
ზამთარში ხეობებს ბუ რომ გაჰკიოდა,
ლექსებს თხზავდა და...
დედასთან დამარხვა ეწადა!..

გაზაფხულზე არაგვზე ჩამოდიოდა,
შვლის ნუკრის ნაფეხურებს ჰკოცნიდა სილაზე,
გულიდან ლექსი სისხლად დიოდა
და წავიდა თეთრი ნისლების სინაზე...

გამჩენი ნაღვაწით დარჩა მადლიერი,
სიმღერით დაიფერფლა საწყალი,
გულიანი ბიჭი იყო უნცროანთ გაბრიელი,
ლურჯთვალა ყვავილების სპეტაკი წაწალი!

### ო, ღმერთო ჩემო, რა სასწაულებს ახდენ!

ო, ღმერთო ჩემო, რა საოცრება ვნახე:
შენი თვალებივით ფოთლებიდან მიყურებს დილა!
გახარებული ვენახს ვარქმევ ახლა შენს სახელს
და ვკოცნი ბალახებს ფრთხილად!

ო, ღმერთო ჩემო, სხვას ვის ღირსებია
ასეთი ჩიტები და პოეტები!
თვალები სიყვარულის ცეცხლით ივსებიან,
ქვეყანას სიმღერის წარღვნად მოვედებით...

ო, ღმერთო ჩემო, ეს რა ხატება დამანახვე,
საცაა რუსთაველი მოვა და იქუხებს...
დილით აქ თვალს ისე ვერ გაახელ,
რომ არ გაგაოცოს ნაზ ფერთა სიუხვემ...

ო, ღმერთო ჩემო, რა სასწაულებს ახდენ,
რა მოკლავს საქართველოს შენგან ნაფერებს!
ჩიტების სუნთქვა ლურჯ ფოთლებს არხევს,
დამისვი მუხლზე და მამღერე!..

### ახალი საქართველო მოდის!

უფალო, შეგვიწყალე,
რა სახიერი
მზეა და ურიცხვი ჭალა-კორდებია!
სასწაულს ელის ხალხი მადლიერი,
ყველაფერს ნათელი მოჰფენია!

უფალო, დაგვიფარე,
რამდენი მოსულა
შვიდფერი მუზისთვის მსხვერპლშესაწ[illegible]ად,
რამდენი
ყალბი ნიღაბით მოსილა,
რამდენი
ორფეოსის იჩემებს ლირას!

უფალო, დაგვიცავი,
შენი წყალობით
ახალი საქართველო მოდის,
მინდა ფეხშიშველი შევხვდე გალობით,
მივართვა შენი ლურჯი ბზის ტოტი!

უფალო, შეუნდე,
რამდენი ყოფილა,
სხვის ხალათს ურცხვად რომ იფერებს,
რამდენი დადის დედიშობილა,
მაგრამ კაის კი მღერის სიმღერებს!

უფალო, შეგვიწყალე,
როგორც ლურჯ ჩიტებს,
პოეტებს სიმღერა გვშვენოდა ოდით,
ახლა სიხარულს გული ვერ იტევს,
ახალი საქართველო მოდის!

### ო, დედოფალო...

შენი თვალები სიყვარულის ლურჯი წიგნია,
სალამოხანად ლოცვასავით წასაკითხავი,
შენი ხელები სანთლებივით სულში მინთია.
და ვგრძნობ, შენა ხარ ჩემი შემწეც და
გამკითხავიც...

მე დავიღალე, დავიღალე, გთხოვ, დამასვენე,
მე ვპოვებ შვებას მხოლოდ შენი ბედნიერებით,
დღემდე რაც მტანჯეს, რაც მაწამეს, ნუ
გამახსენებ,
მათოვე სხივი მარად შენი მშვენიერების...

ო, დედოფალო, დედოფალო, ციერო ნანა,
დიდია ცოდვა ოდითგანვე დედამიწაზე,
შემინდე შენი სიყვარული, შემმატე ძალა!

და მასვი თასი შენი ხელით პირამდე სავსე,
გინდა შარბათით, გინდა შხამით, ეს სულ ერთია,
საქართველოსთვის მარად ტანჯვა ჩემი ბედია!..

●

გაზაფხულდება, ახლა მალე გაზაფხულდება,
აყვავებული ნუშის ხის ქვეშ დაგელოდები,
გამოხვალ გარეთ, შეგეცვლება ალბათ გუნება
და მოგაფრენენ ჩემთან თეთრი ანგელოსები...

სიტყვას არ მეტყვი ამ უფერულ, ძნელ
ცხოვრებაზე,
უხმოდ შემხედავ და თვალებით მომეფერები,
უეცრად ნუშის ყვავილები დაგვათოვს თავზე
და შორს წაგვიღებს ნიაღვარი თეთრი ფერების...

ვივლით მთელი დღე, სიხარულით ავიკლებთ
მინდვრებს,
შენი თვალების სითბოს იგრძნობს ქართლის
ველებიც,
ქორფა ყაყაჩოს მოკრძალებით გულზე დაიბნევ
და ჩვენს სიყვარულს დაშვენდება ჩუმი
ცრემლები...

### თეთრ პალატაში

თეთრ პალატაში თეთრ ანგელოსებს
გადაჭანცული სული მოელის,
მითხარი რამე საქართველოზე,
ციდან გადმოვა სხივი ცხოველი...

გაცოცხლდებიან ჩავლილი დღენი,
რამდენი რამე ემახსოვრებათ!
არა ღირს ცრემლი, მომეცი ხელი,
რარიგ ლამაზი იყო ცხოვრება!

ვაჟა ითხოვდა მაღალ მთის ბალახს,
მე ნუ მომაკლებ ამ ცის სინათლეს,
სიკვდილის შემდეგ ვიცი, ვერ ვნახავ,
ველარც შენს ლამაზ ხელებს ვინატრებ!

მოდი, ცოტახანს თეთრი სანთელით
თეთრ ანგელოსებს დაუდექ გვერდით,
მე სიყვარულის მიხსნის ნათელი,
თუ საქართველოს ეღირსა ბედი!

●

სიზმრებში გხედავ და... მინდა მიძინება,
რადგან სიზმრებში
მე სულ შენთან ვარ!
უშენოდ მიწაზე ყოფნა მიმძიმდება
და სული მიელტვის ზენაარსს...

ცხოვრება სიზმრებად გადამექცა,
წუხელიც ცრემლებით გინატრე,
უშენოდ ბნელში ვზი
(სანთელი წამექცა),
მოდი და მარადი ამინთე სინათლე!..

### დამიბრუნეთ სიყვარული...

წიფორას რომ გაანათებს მთვარე,
ჩვენს აივანს თეთრი სხივი ათოვს,
ფერიები დარაჯობენ ჭალებს,
მე იქ ლურჯი ვენახები მახსოვს!..

მე იქ ჩემი სიჭაბუკე დამრჩა,
თუ ღმერთი გწამთ, დამიბრუნეთ წამით.
ახლა ჩემთვის სხვა საშველი არ ჩანს,
სიხარულის გამიფრინდა ჟამი...

დამიბრუნეთ თეთრი აკაციები,
ჩემი გრძელას ვენახი და ჭალა,
იმ ბავშვობის დაცრემლილი იები
და ტყიანი ნოთოსილას ყანა...

დამიბრუნეთ ის უმანკო სიყვარული,
ლურჯი ცა და ჩემი მყუდრო კერია,
გულში ცეცხლი გამიღვივეთ მინავლული,
საქართველოს ქრისტეს ჯვარი სწერია!..

### თეთრი სალამო

საქართველოსთვის წამებულთა ხსოვნისთვის
წმინდა
დგანან კორდებზე მარად თეთრი ეკლესიები...
მამაცთა სულებს ღვთის წიაღში დაუდევს ბინა
და ანათებენ მათ საფლავებს ლურჯი იები...

იქვე, მახლობლად ანთებულან სამრეკლოები,
მთვარე სხივების პერანგს აცმევს გაძარცულ
მოცხარს,
იწევენ ცისკენ სანთლებივით თეთრი კორდები.
საქართველოსთვის ღვთისმშობელი აღავლენს
ლოცვას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ირინე ტალიაშვილი

# მძიმე გლოვის დღეები

დილიდანვე წვიმდა.

შემოდგომის ამინდს რომ სჩვევია, ისეთი მონოტონური და გულისგამაწვრილებელი ერთფეროვნებით ხინხლავდა. მეორასე დღის დადგომას იუწყებოდა სამხატვრო გალერეის კედელზე გაკრული ფურცელი. მგლოვიარე, შვილმკვდარი დედები უკვე ორასი დღე ხდებოდა, რაც ჯიუტად განაგრძობდნენ სამართლის ძიებას და პროტესტს უცხადებდნენ მართლმსაჯულებას. მეამბოხენი მოთმენით, ურჩად ელოდნენ განმკითხავს. უნდა მოსულიყო ვიღაც ზეკაცი, უზენაესი მხსნელი და დაეშოშმინებინა მათი შურისძიების წყურვილით ავსილი სული, უნდა დაერღვია გორდიას კვანძებივით ნაკერი უთვალავი სისხლის სამართლის საქმე, ალექსანდრე მეფესავით ერთი მოქნევით, ერთი ამოსუნთქვით უნდა ჩაეჭრა უთავბოლოდ აბურდული სამართლის დამამუხრუჭებელი თოკები, სამსჯავროზე გამოეტანა მტვერწაყრილი, სეიფებში წლობით ნადები მკვლელობის მაუწყებელი საქმეები, საქაღალდეებში ჩაკერებული ჩვენებები, განცხადებები, ბრალდებულის თავისგასამართლებელი ახსნა-განმარტებები (მეათასედ რომ იკითხებოდა სასამართლო პროცესებზე და ძველდებოდა ადვოკატ-პროკურორთა ხელებში.) მიუხედავად იმისა, რომ სამართალი იგვიანებდა, შერჩენილი იმედი მაინც უღვიოდათ, ისევ და ისევ ელოდნენ მათი შურისძიების დამაკმაყოფილებელ, მომრიგებელ უზენაესს, გამათანაბრებელს ცისა და მიწის სამართლიანობისას!

●

ისევ წვიმდა.

მკრთალი ბურუსი წამოეფინა მიდამოს. სიცივე და უამური განწყობილება მოიტანა. პროსპექტზე ჩამწკრივებული ჭადრის ხეებზე ჭილყვავები აყაყანდნენ. ქაშუეთის ეკლესიაში ზარებმა ჩამოკრეს. ჯერ სამი საათი იყო, მაგრამ ბურუსმა მიდამო დააბნელა და პირქუში გახადა.

ჟურნალისტი გოგონა რომ მოვიდა, პარმაღს ერთი შახანი შემორჩენოდა, დანარჩენები შიგნით შეხიზნულიყვნენ.

გოგონას მოკლე, თბილი ქურთუკი, ჯინსი და მაღალყელიანი ფეხსაცმელი ეცვა. მხარზე გრძელყურიანი ფოჩებიანი ტყავის ჩანთა ეკიდა. მოკრძალებული, მოწიწებული იერით აიარა საფეხურები და შახნის წინ შეჩერდა.

— გამარჯობათ! — თქვა გაუბედავად, თანაგრძნობით აღსავსე ხმით და ჩაიმუხლა, — თქვენც აქციის მონაწილე ბრძანდებით?

შახანმა ხმა არ გასცა, მდუმარედ გადაიწია შუბლზე ჩამოფარებული შავი ჩადრი და სახეში მიაჩერდა.

გოგონა დაიბნა და შეაკრწუნა მისმა გამომეტყველებამ. ალბათ სამოცი წლისაც არ იქნებოდა, პერგამენტის ქაღალდივით სიფრიფანა სახის კანი რაღაცნაირ, სანთლისფერ სინათლეს ასხივებდა. თვალები ჰქონდა უცნაურად მშვიდი, მკაცრი და მეტყველი. ამ მოჩვენებით სიმშვიდეში ენით გამოუთქმელი მწუხარება იკითხებოდა. ჟურნალისტმა, უხერხულობა და დაძაბულობა რომ გაეფანტა, ჩანთა გახსნა, პატარა, ხელისგულისოდენა ხმის ჩამწერი ამოიღო, ჩამწერის ღილაკი გაასწორა და ირიბულად ასწია.

— იქით წაიღე, შე გენაცვალე, — დაილაპარაკა უეცრად ქალმა და ხელზე წაეპოტინა, თვალები შიშით და დაფეთებით აევსო. — ეგ არა! არა!..

გოგონამ ჩამწერი დაუშვა.

— მე რედაქციიდან გამომგზავნეს, მინდა გაგესაუბროთ, იქნებ დარბაზში შევსულიყავით.

— გამესაუბრე, გამესაუბრე... იდუმალი ცახცახით თქვა შახანმა და მიიხედ-მოიხედა, — შიგნით არა, შვილო! შენი ჭირიმე, იქ კარგი დედები სხედან, მე ცუდი დედა ვარ, მე... — ვეღარ გააგრძელა, სწორედ ამ დროს მაღალი, ცხვირკაუჭა, ახალგაზრდა ქალი გამოვიდა და ორივეს თავზე დაადგა.

— თქვენ აქ რას აკეთებთ? — შეტევით ჰკითხა გოგონას.

— ჟურნალისტი ვარ, — მოწაფესავით ნირწამხდარივით მიუგო გოგონამ.

— აა, — ქალს სახე ცოტათი გაუთბა, — ამასთან საუბარი შენ რაში გამოგადგება, გენაცვალე, ამის საქმე ცოტა სხვანაირად არის, — მრავალმნიშვნელოვნად ჰქაჩა წარბები.

შახანმა მძულვარებით ახედა ცხვირკაუჭას. სახე შეეცვალა, თვალები გაფართოებით და ზიზღით აევსო. არაბუნებრივად ფართო გუგები ჰქონდა, სითეთრე არც ეტყობოდა, ლინზისებურად ამობურცული წვრილი წერტილებიდან ელექტრონისებურ ნაპერწკლებს აფრქვევდა.

„ღმერთო ჩემო! — გაუელვა გოგონას, — ღმერთო ჩემო! ამგვარი თვალები ჯერ არ მინახავს. შავი გუგა, მთლიანად შავი, შავი!“ — ლექსივით გამოუვიდა, — ქალბატონო, მე მინდა, რომ ამ მანდილოსანს ველაპარაკო, — უთხრა უეცრად ხმამაღლა, ჯიუტად და ცხვირკაუჭას შეხედა, — თუ შეიძლება მომეცით საშუალება.

— მაგის საქმე გამოძიებას და დანაშაულს არ ექვემდებარება — ამრეზით თქვა მაღალმა ქალმა, — ეგ ისე ზის. თავისთვის, შოკშია, მაგის ახლობლებმა ჩვენთან მოიყვანეს, იქნებ გაუაროსო.

— აი, სულ ასე მეჩრებიან ლაპარაკში, სულ ასე მაწამებენ... — წამოიძახა ტირილით შახანმა, — ვინც კი მოვიდა, ყველას გაგებინეს გიჟიაო, მე არ მალაპარაკებენ, თითქოს ამათი მკვდარი მკვდარია და ჩემი — არა... მე არ მომიკვდა ორი შვილი? ორივე ერთ დღეს არ დავასაფლავე?

ცხვირკაუჭა შეცბუნდა.

— გიჟი-მეთქი, როდის ვთქვი, მედიკო, გენაცვალე! — დაუყვავა, — მე ვუთხარი, შოკშია და დიდი ტრავმა აქვს გადატანილი-მეთქი.

— ქალბატონო, თქვენი ჭირიმეთ, — ხვეწნით შეხედა გოგონამ, — დაგვტოვეთ მარტო, თვითონ გავესაუბრები.

ქალმა შეკამათება ვეღარ გაბედა.

— კი, ბატონო! — ტუჩაბზუებით ჩაილაპარაკა და შებრუნდა — ოღონდ სხვებსაც ნუ დაივიწყებთ. ჩვენ უარეს დღეში ვართ... რამდენი ვინმე მოვიდა, დაგვამშვიდეს, დაგვაიმედეს, დაწერეს კიდეც, მაგრამ რა? შენც თუ იმ სხვებივით მარტო კალმის დასველებას აპირებ...

— კარგით, კარგით! — უნებურად, მორჩილად შეაწყვეტინა გოგონამ. ერთი სული ჰქონდა მარტო დარჩენილიყო შახანთან, გრძნობდა მის წინ ჩვეულებრივი მომჩივანი არ იჯდა. ამ ქალის სახე, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები, მანერები, მწუხარე თვალთა მეტყველება და იდუმალება თანაგრძნობითა და დახმარების სურვილით [illegible].

ჟურნალისტმა ხმის ჩამწერის მაგიერ ახლა კალამი და უბის წიგნაკი მოამზადა და შახანს მიაჩერდა. ქალს სახე უკვე დაწყნარებოდა, პერგამენტივით ხათუთი, თხელი კანი ისევ ასხივებდა სანთლისფერ შუქს.

— ქალბატონო, თქვენ ბრძანეთ, ორი შვილი მომიკვდაო, — გაუბედავად ჰკითხა და ისეთი გამომეტყველება დაეფინა სახეზე, თითქოს მას მიუძღოდა ბრალი ვიღაცის სიკვდილში.

— კი, — მოკლედ, წყნარად მიუგო შახანმა. იჯდა, ფეხებთან მიდგმული ჩანთა აიღო, გახსნა და ორი გადიდებული, ჩარჩოში ჩასმული ფოტოსურათი ამოიღო.

— აი, ეს მზიაა, ჩემი ქალიშვილი, ეს კიდევ ვაჟი... ორივე მე მოვკალი, ჩემი უთავობით, ჩემი ნებით... ახლა სასამართლოს ვეხვეწები, გამასამართლეთ, დამსაჯეთ-მეთქი, მაგრამ არაო, გაიძახიან, ტრაგედია მოხდაო, გაგიჟდა, ჰა? გაგიჟდა, დამნაშავე არ დასაჯოს? — მშვიდად ლაპარაკობდა ქალი, თან ფოტოსურათებს ცხვირსახოცით სწმენდდა.

ერთიანად დაბნეული, გაოგნებული ჟურნალისტი კალამს უმწეოდ აწვალებდა. მთელი სხეული გაეყინა, შეაკანკალა, მუხლები ეტკინა, ჩამოდგა და მიიხედ-მოიხედა. კუთხეში მიდგმული ტაბურეტი შენიშნა. წამოიღო, შახნის სიახლოვეს დადგა და დაჯდა. შახანმა თავი ასწია.

— შენ ნამდვილი ჟურნალისტი ხარ, მედიკო დედა გენაცვალოს? — ჰკითხა დაეჭვებით.

— დიახ, დეიდა! — გაეღიმა გოგონას, — ნამდვილი... ახლა თქვენს შესახებ მინდა დავწერო, შახანთა აქციაზე.

— აბა, რას დაწერ, შვილო! არ მასამართლებენ და... გაგიჟდა, ორი შვილის დამარხველ დედას პასუხს არ სთხოვენ? ჩემი სურვილი მხოლოდ ის არის, გამასამართლონ, მე ისეთი დოკუმენტი მაქვს, რომლის ძალითაც ულაპარაკოდ სასჯელი მეკუთვნის, მაგრამ აბა, ვინ არის პატრონი? — ქალმა მუდარით შეხედა, — გაინტერესებს ამ დოკუმენტის წაკითხვა, მედიკო დედა გენაცვალოს? ჩემმა მზიამ დამიტოვა, მისი ტოლი ხარ, იმიტომ გენდობი, თორემ არ შეგაწუხებდი.

— გაიგე, დეიდა! — წყნარად დაუდასტურა ჟურნალისტმა, — გვაჩვენეთ დოკუმენტი. მინდა რაღაცით დაგეხმაროთ და დარდი შეგიმსუბუქოთ. აბა, რისთვის მოვედი? — გულწრფელად დაამატა.

— მადლობელი ვარ. რომ შენც გიჟად არ მთვლი, — ტუჩები აუკანკალდა ქალს, — ნეტავ მართლა გიჟი ვიყო. თავი ვერ მომიკლავს ჩემი მზიასავით, ქვეყნის სამასხაროდ ვზივარ აქ, — შუბლი შეეშმუშნა და ცრემლები წამოუვიდა, — მხოლოდ იმიტომ დავრჩი ცოცხალი, რომ ჩემი შვილების სურათები ვაპრიალო და სანთელი დავანთო. მაშ, დოკუმენტს წაიკითხავ? — ხელი მხარზე წაავლო და მიეფერა, — მედიკო დედა გენაცვალოს, თავი ხომ არ მოგაბეზრე? ამის დაწერა შეგიძლია? მე მაშინ დავისვენებ, როდესაც ამ დოკუმენტს წაიკითხავენ, — ქალს ხმა აუთრთოლდა, — მედიკო დედა გენაცვალოს, ეტყობა შენი თავი უფალმა გამოგზავნა, იქნებ დამიხსნა, ჩემო კეთილო ანგელოზო, იქნებ დამიხსნა. თუ ამ თხოვნას შემისრულებ, ხელებს დაგიკოცნი, მუხლებზე დაგიჩოქებ!.. დედიკო გენაცვალე!

შახანმა მოულოდნელად წამოიწია, რვეული და ფოტოები გულში ჩაიხუტა და მუხლებზე დაეშვა.

— დეიდა, რას შვრები? — სასოწარკვეთით წამოიყვირა გოგონამ, — თქვენი ჭირიმე, ხალხი გვიყურებს, — ხმაში ცრემლი გაერია, — ადექით, გეხვეწებით, ადექით! — ხელებში ეცა და რვეული გამოგლიჯა, — ახლავე წავიკითხავ, აქვე, თქვენს თვალწინ!

— კარგი, აბა! — მშრალად, ნაწყენივით თქვა შახანმა, — გულდასმით წაიკითხე.

ჟურნალისტმა რვეული გადაშალა და თვალი ჩაჰკრა. მსხვილი, ლამაზი ასოებით ნაწერმა სათაურმა მაშინვე მიიზიდა — „დიდი გლოვის დღეები, ანუ რატომ მოვიკალი თავი“. ჟურნალისტი შეშფოთდა — „ეს რა არის? მხატვრული ნაწარმოები თუ თვითმკვლელის დღიური. აქ, ამ წვიმასა და ქუჩის აურზაურში როგორ უნდა წავიკითხო?“

— ქალბატონო, თუ შეიძლება განვმარტოვდები დარბაზში, იქ წავიკითხავ, — ვედრებით შეხედა მანდილოსანს.



— არა! — მკაცრად იუარა ქალმა, — ჩემს თვალწინ უნდა წაიკითხო, იმათთან არა, ისინი დამცინიან, დიახ, იმათთან არა, არა!! — უკვე ყვირილზე გადავიდა, — ისინი კარგი დედები არიან, მათი შვილები სხვებმა მოკლეს, ავაზაკებმა, ყაჩაღებმა, ჩემები თვითონ დავხოცე, თვითონ, თვითონ! — ზუზუნით, ხმამაღლა მოსთქვამდა, — თუ ჩემთვის კარგი გინდა, აქ წაიკითხე, ჩემს თვალწინ!

ჟურნალისტი მიხვდა, შეკამათება აღარ ღირდა. დამორჩილდა. თავი ქურთუკში ჩამალა, რვეული მუხლებზე დაიდო, გადაფურცლა და კითხვას შეუდგა:

●

ტკივილიანი განცდებით ვიძინებ, ტკივილიანი გრძნობითვე ვიღვიძებ. პირადი ცხოვრებისთვის ვის სცალია, როდესაც გარშემო ამდენი საზოგადო ჭირი ტრიალებს. ახლა ისეთი დროა, როდესაც ხშირ-ხშირად უნდა ჩაიხედოს ადამიანმა საკუთარ სულში. ცოტა რამ კაცობისა და ადამიანურობისა გამოჩხრიკოს, იცოდეს, რომ მისი არსებობა ვიღაცისთვის სასარგებლო და აუცილებელია. აბა, ჩემი ყოფნა ვისთვის არის სასარგებლო? ქუჩაში რომ გამოვიდე მრცხვენია, მრცხვენია იმის გამო, რომ ცოცხალი დავრჩი, არადა, განა მეც მათ გვერდით არ ვიდექი? მეც მათსავით ჩემი მამულისთვის არ ვლოცულობდი მუხლებზე დაჩოქილი? ჩემი არარაობის შეგრძნება ნაღვლით მავსებს... ნუთუ მე ჩვეულებრივი ქართველი არა ვარ, ნუთუ მე არ უნდა გამეზიარებინა ჭირი, ის ჭირი, ოკუპანტებმა რომ შეასუნთქეს ჩემს მეგობრებს, ჩემებს... ღმერთო, რა საშინელებაა, მე ცოცხალი ვარ!..

ახლა საქართველოში დიდი გლოვის დღეებია. ძაძებში შემოსა ყველა. ბიჭებმაც კი შავი ლენტები შემოიკრეს. მხოლოდ ჩემი ძმაა ყველაფრის მიმართ გულგრილი. მისთვის სულერთია, ამ ქვეყნად რა ხდება. მიტინგებს რომ ვუხსენებ, ცოფდება. ერთი სურვილი აქვს მხოლოდ, როგორმე ფული შეაგროვოს და ვიდეო იყიდოს. ჩვენი ერთი ციცქნა ოთახი ბოროტების ბუნაგია. ამბობენ, ნარკომანები არ სვამენო, მაგრამ ჩემი ძმა ნარივითაა, კიდეც სვამს, კიდეც იკეთებს. ეს რომ აგონიაშია, ისეთი სახე აქვს, სანაგვე ყუთში ნათრევი გეგონება. ნათრევია, აბა რა?.. ვინ ყავდა პატრონი, რომ წესიერი კაცი გამოსულიყო. დედაჩემი მარტო იმაზე ფიქრობს, ფული იშოვოს და უმაღლესში მომაწყოს. ნეტავ არ არსებობდეს უმაღლესი სასწავლებელი და და არსებობდეს უმდაბლესი. მე უმდაბლესში ჩავაბარებდი და ვიქნებოდი უმდაბლესი განათლების მქონე ქალი. ახლა როგორი განათლება მაქვს? ახლა ვარ გაუნათლებელი, მდაბიო, სანიტარი, ანუ მოწყალების და, რომელიც იმისთვის შოულობს ფულს და იღებს ხელფასს, რომ თავის საყვარელ ძამიკოს საჩუქრად უყიდოს მორფის ამპულები. ხანდახან ჩემი თავი მძულს, მძულს ჩემი ძმაც. დედაჩემიც და მამაჩემიც. მამაჩემი ყველაზე ბედნიერია ჩვენს შორის, ვალი მოხდილი აქვს, წაბრძანდა ამ ქვეყნიდან სათნოებით მოსილი და გაპატიოსნებული, ქელეხი კარგი გადავუხადეთ, ნაციხარ და ნაჯიბგირალ კაცს რომ ეკუთვნის, იმაზე უკეთესი. მისმა მეორე ცოლმა, ანუ დედინაცვალმა, ძაძების ფული მე წამაძრო. დედაჩემის მეორე ქმარმა, ანუ მამინაცვალმა კი — დამკვრელების ფული.

უწინ მეცოდებოდა დედაჩემი, ახლა აღარ... მამაჩემი ციხეში რომ მჯდარა, თურმე ჩვენი სკოლის დირექტორთან ღალატობდა. მერე ცოლად გაჰყვა, მაგრამ მაინც გული გამიტყდა. მეგონა მასწავლებელი სხვანაირი იქნებოდა, სხვანაირი ბუნების. პედაგოგი ღვთიური კაცი უნდა ყოფილიყო, აი, როგორც ბერი, ისეთი... ეს კი, ესე იგი მამინაცვალი, თურმე მრუშობდა. კი!.. მე რაში მეკითხება მათი გრძნობები? გრძნობები მაშინ იწვევს თანაგრძნობას, როდესაც ადამიანს უჭირს, როდესაც საყრდენი ეცლება... ახალგაზრდული შეცდომები სიბერეში ტკბილი მოსაგონებელიაო. — ამბობენ. ჰოდა, დედაჩემიც, ახლა კი თავს იმართლებს — ახალგაზრდები ვიყავითო, მაგრამ თვალები რად უწყლიანდება? ისე, ამ საცოდავსაც ჩემსავით არ სწყალობს ბედი კაცებში. მეორე ქმარიც მოინელა, ჩვენი ჭირი წაიღო. იმედი მაქვს, სიბერეში მაინც არ გაიჩენ საყვარელს-მეთქი. — ვუთხარი ამ დილით რომ დავურეკე. განა არ ვიცი, რომ არ უნდა მეთქვა? მაგრამ რაღაც ეშმაკი შემიძვრება ხოლმე ტვინში და ენას ის მატრიალებინებს. თანაც იმან გამაცოფა, რომ მკითხა, დედა ენაცვალოს, გელას კიდევ აწუხებს თავის ტკივილებით? ვითომ არ იცის, სხვა მუცლის გვრემა რომ ჭირს მის ვაჟიშვილს. ისიც თავს იტყუებს, მეც... ორივე ერთმანეთს ვატყუებთ. მერე იმანაც ამიშალა ძარღვები, სახტუმროში ბუღალტრის ადგილი ვიშოვეო, რომ მითხრა... შემატყო გაბრაზება და მოუშელაქუცა, აბა, რა ვქნა, უმაღლესში ჩასაბარებელი ფული ხომ უნდა შევაგროვო, სამედიცინოზე სხვანაირად ვერას გავხდებითო.

— არ მინდა, ბატონო, სამედიცინოზე-მეთქი — ვუყვირე და ყურმილი დავუგდე. წამოვედი გაგულისებული. გზაზე ჩემი ძმა შემხვდა. გამოლენჩებული სახე ჰქონდა... ამან უარესად გადამრია.

— შინ ადრე არ დაბრუნდე, ძმაკაცები მეყოლებიანო, — მითხრა. ვიცი მე მაგის ძმაკაცები... ბოზები უნდა მოვათრიოო, პირდაპირ რომ ეთქვა ჯობდა.

— რას გავხარ, შეხედე შენს თავს, შე უბედურო-მეთქი, ვუყვირე, — მრცხვენია, ჩემი ძმა რომ ხარ-მეთქი.

მართლა მრცხვენოდა და მძულდა. საშინლად გამოიყურებოდა. გამხდარი, გაძვალტყავებული. წვერმოშვებული, აჩრდილეთის სამეფოდან წამომდგარ აჩრდილის ჩრდილს ჰგავდა. ჩემს ნათქვამს მოუყურა რატომღაც.

— სად მიბრძანდებიო, — მკითხა, — მიტინგზეო?

— მიტინგს ვინ ჩაატარებს, საოკუპაციო ჯარი დგას-მეთქი, — მართლა შეწუხებით ვუთხარი.

— პროკლამაციების ენით ნუ მელაპარაკები, თუ ქალი ხარო! — დაიღრიჯა. — შაია წყნეთელივით ქუჩა-ქუჩა ნუ დაწანწალებ, თორემ ჩაგიგდებს ერთი ოკუპანტი ხელში და... ბოროტად იხუმრა...

— ოჰ, შე გათახსირებულო, შენა-მეთქი, — ვუყვირე, ცეცხლი შომედო. მან წაიხმუვლა და ხელჩანთაზე ხელი მტაცა, — ხუთი მანეთი მომეციო. უარი რომ მიიღო, გამოიწია. არ დაერიდებოდა, გამარტყამდა. გულმა არ გამიძლო, ხუთმანეთიანი ამოვიღე და მივეცი. უცებ მომეხვია, ლოყაზე მომეკრა, მაკოცა და სწრაფად გამშორდა. მაშინ ვიგრძენი ნათლად, როგორი უბედური ვიყავით ორივე. ორივე სულით და ხორცით გატანჯული, მიუსაფარი არსებანი ვიყავით. ერთმანეთის გარდა არავინ გვყავდა. მანუგეშებელი. მართალია ხანდახან გვძულს ერთმანეთი. ხანდახან ვეცხლებით კიდეც, მაგრამ ჩვენ მაინც ერთნი ვართ. ჩვენი სიძულვილი და სიყვარულის კაენისა და აბელის გენიდან წამოსული სიძულვილი და სიყვარულია. ბიჭი რომ ვყოფილიყავი, შეიძლება ეს ყველაფერი ასე მძაფრად არ აღმექვა, ახლა კი თითოეული ჩემი ასო და ნერვი მის სხეულთან არის დაკავშირებული. ტყუპები რომ ვართ, ხანდახან ესეც კი მაბორიტებს, მაგრამ ახლა თანდათან ვხვდები, ჩვენს დატყუპებაშიც რაღაც სატანისეული იდუმალება ჩამარხულა. ორივე ერთნაირად ვართ უბედურები. ჩვენი უბედურება იქ, საუკუნო განსაცდელში ბედნიერებად გვექცევა. — ასე ვფიქრობდი და რაღაც სასაცილოდ გულისამაჩუყებელი გრძნობები მეუფლებოდა.

— ნაკადულნი ცრემლთანი, ქრისტე, მომადლენ მე ბილწებათა გულისა ჩემისათა განწმენდად, რამეთუ წმიდათა სინდისითა განათლებული, სარწმუნოებით მომივედ მეუფეო, ზიარებად სადიდებლად შენთა, — გამახსენდა ლოცვების წიგნიდან.

მორწმუნე ბავშვობაშიც ვიყავი, მაგრამ ცხრა აპრილის შემდეგ უფრო დამეუფლა ღვთისაკენ ლტოლვა. ხშირ-ხშირად მინდება ეკლესიაში შესვლა და გულით მოლოცვა. თავსაბური თან არ მქონდა, თორემ ახლაც შევიდოდი სიონში. ამიტომ რუსთაველის პროსპექტისკენ დავადე თავი. ჭადრის ხეების წინ გულგრილად ვერ ჩავივლი. მაშინვე ის საშინელი ღამის განცდით მევსება გული. ხანდახან ვგიჟდები, როცა მაგონდება ჩაბნელებული პროსპექტი და დამპალი ხორცის სუნი, აკვამლებული სანაგვე რომ გამოსცემდა. მავერიდი, ოღონდ არ მეშინოდა. გავჩერდებოდი ხოლმე, მიველაპარაკებოდი. და ისევ გავრბოდი. ჭადრებს ახლაც ატყვია გაშმაგებული მკვლელის მიერ მოქნეული, პირბასრი ნიჩბის კვალი. ამ ჭადრებმა მეც გადამარჩინეს. ფეხდაფეხ მომდევდა მტარვალი. თითქმის ორ მეტრამდე იქნებოდა მანძილი ჩვენ შორის დარჩენილი, რომ იქიდანვე მესროლა ნიჩაბი. ვისკუპე და ჭადარს ამოვეფარე. ნიჩაბმა ხის ნაფოტი ჩამოათალა, მერე ღრიალით დავარდა ასფალტზე. ისევ გავიქეცი, იმ ჯარისკაცს მობეზრდა დევნა და უკან გაბრუნდა. ახლა ეს ყველაფერი რომ მომაგონდა, ჭადრის ხე მოვძებნე, მოვეხვიე და ნაიარევზე ვაკოცე.

მთელი დღე ქუჩაში გავატარე. მთავრობის სახლთან ყველაფერში ვეხმარებოდი ცხრა აპრილის საზოგადოებას. სახლში მისვლა მახსენდა, ჩემმა ძმამ რომ მიბრძანა გვიან მოდიო. ეშმაკი შემიტყდა. ვერ ვიტან, როდესაც ვიცი, რომ შინ ვიღაც მოვა. ვინ იცის, იქნება ჩემს ლოგინში ჩაწვნენ... საერთოდ, საძაგლობაა, როცა ამხელა გოგო და ბიჭი, თუნდაც ძმა-და, ერთად, პატარა ბინაში ცხოვრობს. ნეტავ როგორ ცხოვრობენ მდიდრები, ანუ ვიცით კოოპერატიულ ბინებში გამომუშავებული მილიონერები...

ღმერთო, როგორ მებრალება ჩემი საბრალო, ცხოვრებისაგან მოწამლული და ახალგაზრდობაში ნამრუშალი დედა. ღმერთო, როგორ მებრალება მისი მოძრობილი ფეხები, სისხლძარღვებით დასახული უვითელი ბარძაყები, — მარილის კენჭებით გათანგული მუხლები... ღმერთო, როგორ მეცოდება დედაჩემი, ცხოვრებისგან დაბრიყვებული და განადგურებული. მხოლოდ სახე, სახეა ერთადერთი მე და ჩემს ძმას რომ გვერკლავს და მისი ხათრად ნათელი, ფართოგუგებიანი თვალები. ღმერთო! როგორ მიყვარს ამ თვალების გამო დედაჩემი. საბრალო, საბრალო თვალები!.. ნეტავ რა გავაკეთო ისეთი, რომ მათ სამუდამოდ მიეცეთ სიკაშკაშის უნარი, სამუდამოდ რომ ელვარებდნენ ჩემი სიყვარულით, ჩემი სხივნით! იმედით!..

ვიდრე შინ მივიდოდი, გზაზე ისე ამიჩუყდა გული დედაჩემზე ფიქრით, ტელეფონ-ავტომატი მოვძებნე და დავურეკე. მეზობელმა მიპასუხა, ბინასთან ერთად ხადღაც წავიდაო. თან მრავალმნიშვნელოვნად დასძინა — ძალიან ლამაზი კაბა ეცვაო. რომელ ბინაში-მეთქი, კინაღამ ვკითხე, მაგრამ ენას კბილი დავაჭირე, გამწარებულმა დავახეთქე ყურმილი... უცებ ისევ სიძულვილი დამეუფლა. ნეტავ ისეთი რა მოვიმოქმედო, რომ დედაჩემს და ჩემს ძმას გული ძალიან, ძალიან ვატკინო და ამაზრზენი სახე დავუბრუნო-მეთქი, ვფიქრობდი.

შინ რომ მივედი, უკვე ღამე იყო. ჩემი ძმა „ფორმაში“ დამხვდა. გალეშილი იჯდა ოატაზე. „გოგოებთან ერთად ვქეიფობ. ისინიც შინ დამხვდნენ, ერთს კარგად ვიცნობდი, ხშირად სტუმრობდა ჩვენთან, მეორე ჩემზე უმცროსი იქნებოდა, ლამაზი ტუჩები ჰქონდა და თეთრი. რაღაც ავადმყოფურად თეთრი სახე — შავი, მბზინვარე თვალებით, არაამქვეყნიურად იყურებოდა. სამივე, როგორც ჩემი ძმა ამბობდა ხოლმე, „ლურჯ სამოთხეში“ დაფრინავდნენ. მაგიდაზე ცარიელი ბოთლები იდგა, იქვე ეყარა თავწატეხილი ამპულები. ამის დანახვაზე ცეცხლი მომეკიდა. თანაც ის გოგო, უცნობი, ჩემს სარეცხზე იჯდა, შიგნეული ამობურცული.

— პიროტყუვ! პიროტყუვ! — ვეცი ჩემს ძმას ფეხებში და ვავითრიე. სახეზე ეტყობოდა ნარკოტიკი უკვე უნელდებოდა, მიმქრალი თვალებით ამომხედა, შემაგინა და წამოდგომა სცადა. ჩემს დანახვაზე გოგოებიც მოეგნენ გონს... უცნობმა მორცხვადაც კი გამიღიმა. სწორედ იმ გოგოს ვეცი თმებში და დავითრიე. კივილი ვერ გაბედა, მხოლოდ საზარლად დაეკრიჩა სახე. ვიცი, ამ დროს ნარკომანებისთვის ამგვარი მოპყრობა სიკვდილს უდრის, მაგრამ ისე ვიყავი აგზნებული, თითქოს მეც ცოფის წამალი დამელიოს.

ღმერთო, როგორი მხეცი ვიყავი, როგორ პირუტყვად ვიქეცი, როგორ დავკარგე საღი გრძნობა, რომ მეც იმას ვემგვანებოდი, ჩემთან ერთად ერთ კვერცხუჯრედში, ერთ საშოში რომ იჯდა, მაგრამ რაღაც შინაგანი ძალა მიბიძგებდა, მაბოროტებდა, მახელებდა. მოულოდნელად ჩემი ძმის შეშლილი, გადარეული თვალები დავინახე, მერე მაღლა აწეული მუშტად შეკრული ხელი, ზედიზედ ორჯერ ისე დამარტყა, რომ წავიქეცი, შუბლი სკამის კიდეზე ჩამოვკარი და სისხლი წამომივიდა.

აი, ახლა, ნახევარი საათი იქნებოდა გასული, რაც გონება დამიბრუნდა. წამოვდექი, პირი დავიბანე, თმაც დავივარცხნე, შუბლზე ხალბუნი დავიდე... მერე დავჯექი და უკელაფერი თავიდან ავიღე.

— „არა, ამის პატიება აღარ შეიძლება, ისეთი რაღაც უნდა მოვიმოქმედო, რომ ინანოს. მთელი ცხოვრება ინანოს. არ ვაპატიებ, არა!.. კაცმხეცა უნდა მოვარჯულო... რა ვქნა?“

გავიხედე და სკამის ზურგზე გადაკიდებული გრძელი კაშნე შევნიშნე. ჩემს ძმას მოუკლავს დაბადების დღეზე. მატყლისაა და ზამთარში კარგად ათბობს. ავდექი, სახლი დავალაგე, საწოლი გავასწორე. ახლა ოთახს ვათვალიერებ, ნეტავ რაზე შეიძლება ჩამოვიხრჩო თავი? ფარდების ჩამოსაკიდებელი კარნიზი მომხვდა თვალში. გამიხარდა. საწოლის გადასაფარებელზე გაზეთი გავშალე, ზედ სკამი დავდგი...

ღამის ორი საათია.

ეს ჩემი ბოლო სტრიქონებია. უნდა ვილოცო და სიკვდილზე არ ვიფიქრო. როგორც კი ფიქრს დავიწყებ, სიძულვილი და სინანული დამეუფლება. ავიღე ლოცვების წიგნი და წავიკითხე. ვიწერ სიტყვა სიტყვით: „შემწე სულისა ჩემისა იქმენ, ქრისტე ღმერთო, რამეთუ შორის საფრთხეთა მრავალთა ვვალ, მიხსენ მათგან და მაცხოვნე მე, ვითარცა საზიერმან და ვითარცა კაცთ-მოყვარემან აწდა“...

ახლა სკამზე ავალ, კაშნეს ჩამოვკიდებ კარნიზზე, გამოვყულფავ და... ოჰ, რა სანახავი იქნება ჩემი ძმა რომ დაბრუნდება? პირდაპირ შეეჩხირება თვალებში ჩემი გაცივებული გვამი. სული კი იხეიმებს, იხეიმებს შურისძიებას და კიდევ ერთხელ სიხარულით შეხმიანდება:

— არ გაპატიებ შეურაცხყოფას, არ გაპატიებ ჩემს გასისხლიანებულ შუბლს. მშვიდობით... მომიტევებია შენთვისაც და დედაჩემისთვისაც უვეს ცოდვა, რომელიც ჩაგიდენიათ. გკოცნით სიყვარულით, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი...

დღიური დამთავრდა.

ჟურნალისტმა უკანასკნელი სტრიქონი ჩაიკითხა, მაგრამ თავის აწევა გაუჭირდა. რა უნდა ეთქვა. რა ისეთი თანაგრძნობის სიტყვები უნდა მოეძებნა, რომ ამ ცხოვრებისგან გატეხილ, სევდამწარებულ ქალს გულს მოფონებოდა. ჟურნალისტი დუმდა. ძმას რაღა მოუვიდა, ენაზე უტრიალებდა შეეკითხა, მაგრამ ეუხერხულებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა, რვეული დახურა და შახანისკენ შებრუნდა. ქალი მიუხვდა.

— ძმამ ვერ აიტანა დის ღალატი, დეიდა გენაცვალოს, — სვენ-სვენებით, მძიმედ ამოთქვა — ტყუპები იყვნენ, ურთმანეთოდ როგორ გაძლებდნენ, მაშინვე დაეკიდა დის ცხედარს, დიდი დოზა შეიშხაპუნა, მე რა ვიცოდი, თუ მართლა ნარკომანი იყო, თუ მართლა სახიკვდილოდ ჰქონდა თავი გადადებული... არ ვიცოდი, არა, მედიკო დედა გენაცვალოს! — შახანი ხმამაღლა, დაუფარავად ატირდა. ტიროდა ბავშვივით სლუკუნით, უმწეოდ, უნუგეშოდ და თვალებს და ხელს შუა დნებოდა და პატარავდებოდა.

ჟურნალისტი გაქვავებულივით იჯდა ერთ ადგილას, იმასაც მხრები უცახცახებდა და უთრთოდა.

წვიმდა, ჩანტად, უსიცოცხლოდ.

ფოტოსურათებიდან მიცვალებულთა თვალები იმდურებდნენ ქვეყნიერებას. ყველანი ახალგაზრდები და ლამაზები იყვნენ.

ქაშუეთის ეკლესიის სამრეკლოზე მწუხრის ზარებს რეკდნენ.

მხატვარი მიხეილ ნონიაშვილი

---

## მერაბ აბაშიძე

# ხილვათა სამყაროში

ქეთევან მაღლაკელიძე დაიბადა 1951 წ. ქალაქ თბილისში. საგულისხმოა, რომ იგი გახლავთ შვილიშვილი საქვეყნოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მწერლისა ბაიდარ აბაშიძისა, რომელმაც აღზარდა ქეთევანი.

ქეთევან მაღლაკელიძემ დაამთავრა ცენტრალური მუსიკალური ათწლედი, ვიოლინოს კლასით. (პროფ. ლუარსაბ იაშვილის კლასი). 1970 წელს იგი შედის სამხატვრო აკადემიაში, რომელსაც ამთავრებს 1975 წელს. ამავე პერიოდში მოეწყო მისი სურათების პირველი პერსონალური გამოფენა. შემდეგ წლებში იგი ინტენსიურად მუშაობს მხატვრობაში, კერძოდ, ფერწერაში. აქვს გრაფიკული ჩანახატებიც. მისი ნახატების თემები ყოველთვის ორიგინალურია, შესრულება — ახლებური; ფერადოვან რიტმში შესრულებული მხატვრობა, თითქოს სარკს უხდის დასავლურ კულტურას, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა ასე, ქეთევანი ღრმად ეროვნული მხატვარია. მაგრამ, საუბედუროდ, მისი ახალი ნახატების ექსპონირება იმ პერიოდში არ ხდება. იგი, საკუთარ თავსა და სახელოსნოში ჩაკეტილი, სულ ახალ-ახალ გზებს ეძიებს საკუთარი „მე“-სკენ. თვითშეცნობა მხოლოდ მარტოობის ჟამს ხდება, და ქეთევანიც მარტო რჩება ფუნჯთან და პალიტრასთან. ჩნდება ახალი თემები, იხვეწება სტილი, რთულდება სიუჟეტი. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მისი შემოქმედება და მსოფლმხედველობა მისტიციზმისაკენ იხრება. ქეთევან მაღლაკელიძისათვის ღმერთი განფენილია ყველგან, ხმაური იქნება ეს, მოძრაობა, მუსიკა, ფერი თუ სახეობა. მიუხედავად ამისა, იგი ჯანსაღია და არა ავადმყოფური. მისი ხატი მშვენიერებაა და სწორედ ამ მშვენიერებასთან მიახლოებას ესწრაფვის იგი. მას თავისებური მიდგომა აქვს მხატვრობასთან, ხელოვნების ამ ერთ-ერთ ურთულეს და მკაცრ ბომონთან, აქ ჩანს გაყინული ცეცხლის მშვენიერებაც და ბოროტებასთან მებრძოლი სულის კეთილშობილებაც. მისი ყოველი ნახატი დასრულებული ტილოა. აქ უკვალოდ ქრება უკმარობის გრძნობა და მის ადგილს დამორჩილებული, ფერსა და რიტმში განსხეულებული ხილვა-ზმანება იკავებს. და მაინც მიუხედავად მისი მისტიციზმისა, ქეთევან მაღლაკელიძე ბოლომდე ქრისტიანი რჩება... ამ სიტყვის ბიბლიური გაგებით. როცა ვამბობთ — ბიბლიური გაგებით, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი დოგმატიკოსი გახლავთ, რადგან, თუ დოგმის მიმდევარნი ქრისტიანულ რელიგიაში სანიმუშო ქრისტიანებად ითვლებიან, მხატვრობაში ეს ცნება სხვანაირად ითარგმნება. ეს ხელს უწყობს მხატვარს განთავისუფლდეს ბანალობის ყოველგვარი ბორკილებისაგან და ახალი სიმღერა თქვას, სრულიად ახალ მოტივსა და რიტმზე. თუმცა მისი ფესვები ისევე იქნებიან ქრისტიანობასთან კავშირში, როგორც მარადმწვანე ხის ფესვები. შეიძლება ვთქვათ, რომ სიტყვა „სიმღერა“ აქ ტყუილუბრალოდ არ იყო ნახსენები.

ყოველი ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოები ხომ მიმნია, მზისთვის და სიცოცხლისთვის ნამღერი.

ქეთევან მაღლაკელიძის ბოლოდროინდელ ნამუშევრებშიც ძალუმად იგრძნობა ამ მუსიკის არსებობა. ისინი შედარებით უფრო ოპტიმისტურნი არიან, ვიდრე რამდენიმე წლის წინანდელი მხატვრული პროდუქცია. შეიძლება ასეთი კითხვაც კი დაისვას: რატომ მოხდა ასე? პასუხად ათასი რამის თქმა შეიძლება. მაგრამ ჩემი აზრით, იმ ხატის შუქი, რომელსაც ქეთევან მაღლაკელიძე ჰვრეტს, უფრო გამძაფრდა და მეტი ნაპერწკლები გამოიღო, ის ნაპერწკლები, რომელიც შევარდნილია ჭეშმარიტი ხელოვნებისა.

ქეთევან მაღლაკელიძე საკუთარ სულში ეძებს და პოულობს იმ ცეცხლს, რომელსაც შემდეგ ნახატებში აქსოვს. ამიტომაა მისი ყოველი ნახატი თვითმყოფადობით დატვირთული. მისი ნახატები ერთი შეხედვით. უცხონიც არიან და ახლობელნიც... ძიება კი გრძელდება. ამ ძიებას დასასრული არცა აქვს. და თუ თავდება იგი, თავდება მხოლოდ ქვეყანაზე ყველაზე უფრო მშვენიერ და სრულქმნილ არსებასთან, ღმერთთან შერწყმის ჟამს, სწორედ ამისკენ მიისწრაფვის ახალგაზრდა მხატვარი, რომელსაც გათვითცნობიერებული აქვს თავისი ვალი საკუთარ „მე“-სა და ყოვლადშემძლის წინაშე.

# ცისფერი ცეცხლი

ავთანდილ მახარობლიძე დაიბადა 1952 წელს. 1966 წლიდან იწყება მისი, როგორც მხატვრის, პირველი ნაბიჯები. ის ეუფლება ხატვასა და ფერწერის საფუძვლებს ქართული ფერწერის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის, გურამ (ხიტა) ქუთათელაძის შემოქმედებით სახელოსნოში. 1970 წელს შედის სამხატვრო აკადემიაში, რომელსაც ამთავრებს 1975 წელს.

ავთანდილ მახარობლიძე ცხოვრებაზე ჩაფიქრებული მხატვარია. მისთვის უცხოა რაიმე არაადამიანური ადამიანში. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს იგი გვერდს უვლიდეს უმაღლეს ფენომენს, არა, სწორედ ვივეკანანდას სიტყვები შეიძლება მიესადაგოს მის შემოქმედებას. იგი ადამიანში ღმერთს ხედავს. ახლა კი ორიოდ სიტყვა ვთქვათ თვით მხატვრის სულზე, რომელიც ტკივილებითა და ქმნადობის მძაფრი გრძნობითაა დამუხტული. მისი სულის ოცნება ერთია, მარადიულ სინათლესთან ზიარება —„იქმენინ ნათელი“, — მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ. მისი სამყარო უზღვროა, ხავერდოვანი, ზადის გარეშე. მის შემოქმედებაში ადამიანი არ განიხილება, როგორც სუსტი და დათრგუნვილი არსება, როგორც ზემოთ ვთქვით, მისი სულის სარკმლებიდან ღმერთი იხედება... მაგრამ ეს ყოველდღიურ ადამიანურ ცხოვრებასა და ფიზიკურ ტკივილს მიჩვეული ჯვარცმული ღმერთია. ეს აშკარად ჩანს მის ნახატებში — „ნათლისღებაა“ თუ „თორმეტ მოციქულში“. მიუხედავად ამისა, მის ნახატებში დომინირებს ნათელი ფერები, რაც უფრო ამძაფრებს ადამიანის თუ ღმერთის ცხოვრებაში ეკლიანი გვირგვინის არსებობას.

ფერი ავთანდილ მახარობლიძის ნახატებში დიდ როლს ასრულებს. თვითონ ნახატის სტრუქტურაც რბილია და თითქოს ფერსა და ფონს მიჰყვება, როგორც ზანზალაკის წკრიალი. მძიმე ტვირთი უკისრია მხატვარს. მას გოლგოთისკენ მიაქვს ის, რასაც გულისცეცხლი ჰქვია. რათა იქ აანთოს ადამიანური ღირსებისა და მშვენიერების სიმბოლოდ. ეს კი უკვე მისი, როგორც მხატვრისა და ადამიანის ღირსებიდან გამომდინარეობს. არ იქნება ზედმეტი, თუ ვიტყვით, რომ ავთანდილ მახარობლიძე სულის არისტოკრატია. ალბათ, ამან გამოიწვია ინტერესი ამერიკაში მისი ნახატების მიმართ.

ავთანდილ მახარობლიძე პიროვნულად თავის შემოქმედებას გავს. ეს გამოსჭვივის მისი ყოველი მოძრაობიდან, აზრიდან, სიტყვიდან. იგი ღვთისმოშიშია და შეუძლია იამაყოს კიდეც ამ შიშით. მაგრამ ეს ცხოვრებაში... ახლა კი მის ფერწერას მივუბრუნდეთ.

ჩვენ ვთქვით, რომ მისი სამყარო უზღვროა, მაგრამ ეს ისე არ უნდა იყოს გაგებული, თითქოს ის ერთფეროვანი იყოს, პირიქით, მის ტილოებზე ფერები და ჩრდილები ისეა განლაგებული, რომ დიდი სულიერი სიმშვიდე მოაქვს მისი მჭვრეტისათვის. სიმშვიდე კი ის ფენომენია, რომელიც ასე აკლია დღეს ადამიანის სულს.

მხატვრის ნახატები შინაგანი ცეცხლითაა განათებული. ამჟამად მხატვარი მუშაობს დიდ ფერწერულ ტილოზე „ფერისცვალება“, რომელიც, ჩემი აზრით, კიდევ ერთ-ერთი საინტერესო ნამუშევარი და წინ გადადგმული ნაბიჯი უნდა იყოს მხატვრის შემოქმედებაში.

მხატვარი ღმერთის ცნებას დიდ ადგილს უთმობს როგორც შემოქმედებაში, ისე ცხოვრებაში. როგორც თვითონ თქვა, იგი ყოველ თავის ნახატს რელიგიურ თემაზე მარხვის ჟამს ხატავს.

მხატვრისთვის უცხოა წარმართული სული და სიტლანქე. სირბილე, ნათელი ფერები, მომავლის ჭვრეტა, თვითჩაღრმავება, თვითანალიზი, მატერიის პირველწყაროობის უარყოფა, მარადიულ ხილვათა ჭვრეტა, ღმერთთან დამეგობრება და არა მისი მონობა, საკუთარი „მე“-ს სამშეოზე ბოლომდე არგამოტანა, აი, რა ასულდგმულებს ამ ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვარს. ცისფერი, ლაჟვარდოვანი ცისფერი ცეცხლით იწვის ხელოვანი. ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ის, რასაც ის აკეთებს, ღვთით არის ნაკურთხი და ღვთის მიერ არის ხელდებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ხორნაული

# ლექსები

## ჩვენ ერთი უფალი გვწამს

ამ მღვრიე გალავანს,
რომლის საძირკველშიც
შხამიანი კირია გარეული,
რომლის ნაპრალშიც ამოსული
ბალახი გველივით იკბინება,
ამ მაღალ გალავნს,
რომლის ჩრდილშიც,
თითქოს ჯოჯოხეთის
მტვერი და ნამია გაბნეული,
მხოლოდ შენი ლახტი თუ დაანგრევს,
კოპალა!..

წარსულის ბინადარი
არ გქვია შენ,
სადღაც ახლოს ხარ
და აღარ მიგიწევს
გული ბრძოლისაკენ —
ალბათ, იმიტომ, რომ მხოლოდ
დევებთან
შესარკინებლად ხარ დაბადებული
და, ალბათ, კიდევ იმიტომაც,
რომ ჩვენი მტერი
დევს ვერ შეედრება
მკლავით თუ გონებით,
თანაც იმდენად
ლაჩარია და დაუნდობელი,
რომ თავის დამცირებად მიგაჩნია
ჰიდილი მასთან!..

მაგრამ რომელი დევის გონებაში
დაიბადება იმგვარი სისასტიკე,
ჩვენს მტერს რომ ამოძრავებს?!

ჩვენს დროშას
სიყვარულის
ქარი აფრიალებს,
ჩვენს გულებს ერთი ციდან
ეცემათ მეხი და ყვავილი
და მტერსაც ერთად უნდა მოვერიოთ,
კოპალა!..

ისეთი მტრებიც გვახსოვს,
ჩვენი სივრციდან
მათ სივრცეში გადასულ ღრუბლებს
სიძულვილით რომ არ უყურებდნენ.

ჩვენ გვახსოვს მტრები,
მზე რომ უყვარდათ
და გაზაფხულის ხმის გაგონებისას
ჩვენი სივრცე და მამულები
ავიწყდებოდათ.

ჩვენ გვახსოვს მტრები,
ვაჟკაცობის ფასი რომ იცოდნენ,
სხვათა კერპებს და სალოცავებს
რომ უფრთხილდებოდნენ,
წაქცეულს ტყვიას
რომ არ დაახლიდნენ,
დაჭრილ ადამიანს
წიხლს რომ არ ჩაარტყამდნენ.

ჩვენ გვახსოვს მტრები,
მოსისხლეს რომ ლამაზად კლავდნენ
და თვითონაც ლამაზად კვდებოდნენ...

ახლა ხომ ხედავ:
განა მარტო ძველისძველი
განძის დაბრუნება. —

ნამდვილი მტერიც სანატრელი
გაგვიხდა, კოპალა!

მაგრამ, კოპალა,
დღევანდელ მტერს კარგად დააკვირდი:
მას არც მზე უყვარს
და არც გაზაფხულის
სივრცე უხარია,
არც ჩვენს წმინდა
ადგილებს უფრთხილდება,
ხოლო დაჭრილ ადამიანს
ხელს კი არ შეაშველებს,
არამედ ხეზე მიაბამს თოკით
და ცეცხლს წაუკიდებს...

ისინი ღმერთის მტრები არიან
და საკუთარ ხატებსაც ღალატობენ!

ჩვენი მტერი ულმერთოა,
ხოლო ულმერთო და უჯიშო
მტერი თუ მიუშვი,
სამყაროს ჭრილობებით
და მოწამლული ნაპირებით
აავსებს, კოპალა!..

მოგვხედე...
ჩვენი დღეები და ღამეები
ტკივილის ბუდეებად ქცეულან.
ჩვენი წინაპრის გამოხედვაში
უფრო და უფრო იგრძნობა საყვედური.
ამ მღვრიე გალავანს —
სიძულვილის ქვებით აშენებულს —
მხოლოდ შენი ლახტი თუ დაანგრევს!

ჩვენს დროშას
სიყვარულის
ქარი აფრიალებს,
ჩვენ ერთი უფალი გვწამს
და ერთი მტერი გვყავს.

ჩვენ ერთად უნდა გადავიტანოთ
ყველა განსაცდელი.
ჩვენ ერთად უნდა გავიმარჯვოთ.
ლუხუმთან ერთად
უნდა დავდგეთ
ლაშარის გორზე...
ერთად უნდა ავმაღლდეთ,
კოპალა!

## სულ მზისკენ მიიჩქაროდა

ხან ცასთან ერთად დარდობდა,
ხან ცასთან ერთად ხარობდა,
ცხოვრებამ ბევრჯერ გასწირა,
მაგრამ უფალი სწყალობდა,
მის სივრცეებში სამოთხის
ლურჯი ნათელი გალობდა,
უყვარდა...
გული სტკიოდა...
სულ მზისკენ მიიჩქაროდა.

## სიტყვაც ყვავილია

როგორც სახსოვარი,
ყვავილები
ნუ მიგაქვს მეგობრისთვის.

სივრცის და დედამიწის
ტკივილია
და უცებ ჰკნება
ყვავილი მოწყვეტილი,
თან მეგობარმა,
შეიძლება
გულში გაიფიქროს,
რომ შენ
სასტიკი ხარ,
რომ შეგიძლია
მოკვლა ყვავილისა...

როგორც სახსოვარი,
ყვავილები
ნუ მიგაქვს მეგობრისთვის.

მეგობარს სიტყვა
უთხარი იმისთანა,
რომ სიცოცხლის
ბოლო დღეებამდე
არ დაუჭკნეს
გულსა და გონებაში.

სიტყვაც ყვავილია...
ყვავილია
სიყვარულის სინათლეში
ნათქვამი სიტყვა
და ხშირად —
ყვავილზე მშვენიერიც.

## ამტკივდა ფიქრის ჭრილობა

იმედის მზიან სავანეს
ბურუსი დაეფარაო,
ქარში დარჩენილ გაზაფხულს,
არავინ დაეხმარაო,
გამკრთალდა, გაუფერულდა
ყვავილოვანი ყანაო...
ამტკივდა ფიქრის ჭრილობა,
სიზმრის ცა გამებზარაო.

## მშვენებავ ცის და მიწისა

მშვენებავ დედამიწისა,
ხატის ბილიკო, მწვანეო,
გულში სხვა სითბო ჩამიდგა,
შენზე რომ გავიარეო,
ფიქრი განათდა, ამაღლდა,
გაქრა ეჭვები მწარეო,
მშვენებავ ცის და მიწისა,
ნაყოფო უფლის სიბრძნისა,
ხატის ბილიკო, მწვანეო...

## სიმღერა

მთას იქით ერთი სოფელი
სამოთხესავით ჰყვავისა...
იქ ცხოვრობს ჩემი წაწალი —
ერთგული კარგი ქმარისა,
ერთ დროს ჩემს ფიქრში ნაწოლი,
ზღაპარი ბნელი ღამისა...
ჯერაც არ დამვიწყებია
სურნელი მისი ტანისა,
ძილში ჩამესმის მისი ხმა,
ვით შორეული ზარისა,
ვერც დრომ,
ვერც ცოლმა ლამაზმა
გული ვერ გაახალისა...

მთას იქით ერთი სოფელი
სამოთხესავით ჰყვავისა.



უშგული.
ჟიბიანის
ლამარია

ნატო
ბენზიურის
ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საპერლიპოპეტი" — ესაა „დალახვროს ეშმაკმა მაგის თავ-პირი!"-ს ტიპის ზომიერი ფრანგული გინება. **„საპერლიპოპეტი ანუ ეს რომ ასე ყოფილიყო, ეს რომ ასე მომხდარიყო..."** ასეთია სრული სახელწოდება ვიქტორ ნეკრასოვის ამ მოთხრობისა (მოგეხსენებათ, რომ ვიქტორ ნეკრასოვი კიევში დაიბადა და ემიგრაციაში, კერძოდ, პარიზში გარდაიცვალა). ესაა მოთხრობა-ფანტაზია, გამოგონილი ავტობიოგრაფია. ჩვენს ქვეყანაში „საპერლიპოპეტი" ჯერ არ დაბეჭდილა გაუგებარი მიზეზებით. შესაძლოა, სტალინის არაერთმნიშვნელოვანი პორტრეტის გამო, რომელიც მოცემულია სწორედ აქ შემოთავაზებულ ნაწყვეტებში წიგნისთვის „სტალინგრადის სანგრებში" ვიქტორ ნეკრასოვს სტალინური პრემია მიენიჭა. შემდეგ კი მას, აი, რა დაემართა...

# ვიქტორ ნეკრასოვი

# „საპერლიპოპეტი"

## მოთხრობის რჩეული ადგილები

...ამ მომენტიდან, უფრო, ზუსტად, ამ დღიდან, 1947 წლის 6 ივნისიდან, საბჭოთა კავშირის ყველა გამომცემლობამ, საოლქო და ეროვნულმა გამომცემლობებმაც კი იწყეს თავიანთ გეგმებში ამ წიგნის შეტანა. ეს ავტომატურად ხდებოდა: რაკი ლაურეატია, სასწრაფოდ უნდა შევიდეს გეგმაში...

ამის შედეგი ის იყო, რომ პარიზის „ფიგაროში" მრავალი წლის შემდეგ იქ ესეხაა ჩასული ემიგრანტისადმი მიძღვნილ სტატიაში ეწერა: „სტალინის პირადი მეგობარი, ცეკას წევრი, მილიონერი მანეთებში"...

მილიონერი არ გახლავართ, მაგრამ რაღაც ფული კი გამიჩნდა. რასაკვირველია, არავითარი ცეკას წევრი არ ვყოფილვარ, ამხანაგ სტალინს კი რაც შეეხება...

...სწორედ იმ დროს იყო, რომ მომადგა დიდი შავი „ზისი" და იქიდან გადმომხტარი ახალგაზრდული შესახედაობის პოლკოვნიკი მხედრულად მომესალმა.

— გთხოვთ.

— საით? — შევკრთი.

— დაბრძანდით, ბატონო. გთხოვთ მძღოლის გვერდით დაჯდეთ.

— ცხენს რა ვუყო?

— ნუ წუხართ, ყველაფერი რიგზე იქნება.

ჩავჯექი და წავედით.

სტალინი რომ ტანმორჩილი და ჩოფურა იყო, რასაკვირველია, ვიცოდი. და ისიც, რომ „კურიოზული" და კარგი თამადა იყო. ცოლ-ქმარი კორნეიჩუკებისგან ვიცოდი. მაგრამ ის თუ წამოდგებოდა და შემომეგებებოდა, ამას ვინ წარმოიდგენდა? ის კი წამოდგა და შემომეგება.

მან იდაყვთან მომკიდა ხელი და თავის მაგიდასთან მდგარ სავარძელთან მიმიყვანა: — დაჯექი, დაჯექი, სტალინგრადელო, ვიბაასოთ. ეწევი?

სტალინი მაგიდას მიუჯდა, ყუთი გამოსწია, იქიდან თავისი სახელგანთქმული „ჰერცეგოვინა ფლორის" კოლოფი გამოიღო, გახსნა და გამომიწოდა:

— მოწიე.

პაპიროსის ღერი კოლოფიდან კარგა ხანს ვერ ამოვიღე, მღელვარებისგან თითები მიცახცახებდა. სტალინმა შეამჩნია, მაგრამ არაფერი უთქვამს. მხოლოდ ღიმილის მსგავსი რაღაც გაუკრთა ტუჩებზე.

შევეცდები, რომ დანარჩენი ყველაფერი რაც შეიძლება ზუსტად გადმოვცე. ეს ადვილი საქმე არ გახლავთ, იმ დროიდან ხომ, არც მეტი, არც ნაკლები, ოცდათხუთმეტი წელი გავიდა, რაღაც დეტალები წაიშალა, მაგრამ მთავარი ეს არაა, მთავარი შესმული არყის რაოდენობაა. დალევით კი ბლომად დალია. ჯერ ღვინო, შემდეგ კი მხოლოდ არაყი. ამან რამდენადმე გამაკვირვა — ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ქართველებს არაყი მაინცდამაინც გულზე არ ეხატათ.

სავარძელში გადაწოლილი სტალინი ერთხანს მათვალიერებდა.

ძალიან, ძალიან ვცდილობ ახლა გავიხსენო, მაინც რას განვიცდიდი მაშინ. პირველი, რაც ენის წვერზე მადგება, რასაკვირველია, ეს არის შიში. შენს წინ ტყავის სავარძელში ზის მკვლელი, ყველაზე საშინელი მკვლელი იმ მკვლელთა შორის, რომლებსაც კი იცნობდა კაცობრიობა და დიდ ცარიელ კაბინეტში მის წინ ზიხარ შენ ერთი — ერთადერთი.

მაგრამ, რა უცნაურიც უნდა იყოს. შიში არ ყოფილა. იყო რაღაც სხვა. ჩერჩილი თავის მემუარებში წერს, რომ, როცა სტალინთან შეხვედრისთვის ემზადებოდა, მკაცრად, სასტიკად ავალებდა თავის თავს, რომ არავითარ შემთხვევაში პირველს არ გადაედგა ნაბიჯი მისკენ. მაგრამ საკმარისი იყო ეს ტანმორჩილი, ჭაღარა კაცი კარებში გამოჩენილიყო, რომ რაღაც გამოუცნობმა ძალამ უბიძგა ინგლისის პრემიერ-მინისტრს და მან სწრაფად გადაკვეთა მთელი უზარმაზარი ცარიელი დარბაზი, სტალინი კი ადგილზე იდგა. არა, კაბინეტში შესვლისას მე ჩემი თავისთვის არავითარი ფიცი არ მიმიცია. მართალია, მუხლები ცოტა კი მიცახცახებდა, როცა ჩემმა იქ მიმყვანმა თავაზიანმა პოლკოვნიკმა ჩემს წინ მძიმე, ტყავგადაკრული კარი გააღო და მითხრა: „თქვენ ამხანაგი სტალინი გელოდებათ", მაგრამ, ასე მგონია, რომ მშვიდად, ფეხის აუჩქარებლად შევედი და, აი, სწორედ ამ დროს წამოვიდა ის ჩემს შესახვედრად და პირდაპირ დამისვა

— მე კი ვფიქრობდი, რომ მაღალი, ფართო მხარბეჭიანი ქერა კაცი იყავი, შენ კი, თურმე, როგორი ხარ, თანაც, პატარა ულვაშიცა გაქვს... ჰოდა, იცი, რისთვის მოგიწვიე? — მან ეს ხანმოკლე პაუზის შემდეგ თქვა (იმ პაუზის დროს კინალამ „ვემსახურები საბჭოთა კავშირს!" წამოვიძახე, მაგრამ დროზე შევიკავე თავი) — უკანალი მტკივა და იმიტომ. ყველანი იმას ლოკავენ და მთლად გამილაპლაპდა.

მან გაიცინა. შავი, ულამაზო კბილები ჰქონდა.

— მთლად სარკესავით გახდა. — წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო. ის ჩემზე მაღალი არ აღმოჩნდა, ის კი არა, ჩემზე დაბალი, მაგრამ უფრო მკვრივი, უფრო ძლიერი, მხრებში უფრო გაშლილი იყო.

— შენ ამ საღამოს რას აკეთებ? — მკითხა ჩემს წინ შეჩერებულმა. — იქნებ, ქალიშვილთან პაემანი გაქვს დანიშნული?

— არავითარ შემთხვევაში, ამხანაგო სტალინ.

— მაშინ ჩემთან გიწვევ. შენი პრემია აღვნიშნოთ, ღვინო დავლიოთ. კარგი, სამეფო სარდაფები მაქვს.

საუბარში მან შემდგომ რამდენჯერმე გაიხსენა მეფე. მაგრამ ის ყოველთვის „ხელმწიფეს" ამბობდა. არა მეფე, არა ნიკოლაშკა, არა ნიკოლოზ II, არამედ ხელმწიფე. და არავითარი გაავება. „სუსტი ხელმწიფე იყო, უნებისყოფო, რუსეთს ასეთი კი არ სჭირდებოდა"...

— მასანდრის ღვინოს გავსინჯავთ. კიდევ დამრჩა. ისე, რას სვამდით იქ, თქვენს სტალინგრადში? თუ არ სვამდით და მხოლოდ იბრძოდით? სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით? ჰა? — და ისევ გაიცინა.

მართლა „კურიოზულია"-მეთქი, გავიფიქრე. როგორი ალერსიანი, ბუნჩულა ბერიკაცია, ჩაცინება ჩვევია, თავის პორტრეტებს სულ არა ჰგავს.

ახლა ვერაფრით წარმომიდგენია, რამდენი დავლიეთ მაშინ, საღამოს რვა საათზე დავიწყეთ, შემდეგ ცოტა ხნით დავცილდით ერთმანეთს, ისევ შევხვდით და მეორე დღის საღამოს დავამთავრეთ. როდის, რომელი საათზე?

ყველაფერი დიდ სასადილოში დაიწყო, მის აგარაკზე, კუნცევოში.

გარეშე არავინ იყო. მე და ის ვიყავით. საცივი მოგვართვეს. მართლა ჩინებული რამ იყო. და ლობიო, რასაკვირველია. მწვადიც. ყარსული მწვადი იყო.

— მიყვარს ყარსული მწვადი, იფ, — მან ტუჩები გააწკლაპუნა. — ამათ კიდე ქათამი ამიჩემეს... — თითით დაემუქრა გატრუნულ, გადიის მსგავს ქალს, რომელსაც კერძები მოჰქონდა: — ერთხელაც მოგიტანია ქათამი , და, იცი, საით გაგაგზავნი?

— ვიცი, როგორ არ ვიცი, — წაიბურტყუნა გადიამ.

— ჰოდა, იცოდე,... აბა, რას დავლევთ, ჰა? „მუკუზანი" დავლიოთ თუ ესა, თქვენი „მოსკოვსკაია"? შენ არმიაში ვინ იყავი?

— კაპიტანი.

— ვაი, ვაი, ცუდია, ცუდი, მაშასადამე, იბრძოლე, მაგრამ მაიორამდეც კი ვერ მიაღწიე? შენს ასაკში განსვენებული იაკირი, იცი, ვინ იყო, უკრაინის სამხედრო ოლქს სარდლობდა. მალე I რანგის არმიის სარდლობა მიიღო. შენა კიდე... თუმცა, კარგი, ჰო. — ღვინო ჩამოასხა ჭიქებში.

— აბა, რას იტყვით? ის ხომ არ ვადღეგრძელოთ, ვინც ომი გამარჯვებამდე მიიყვანა? — და ეშმაკურად შემომხედა. — ან, იქნება, სხვა რამეს შემომთავაზებდი?

მე „რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ"-ის მსგავსი რაღაც წავილუღლუღე. შევსვით.

— დიახ, მაშინ გავცხარდი, გავცხარდი... ბუდიონი, ტიმოშენკო, ეს მუდრეგი ვოროშილოვი, პირველი საბჭოთა ოფიცერი... ისინი ხომ ბატალიონსაც კი ვერ გაართმევენ თავს, მე კი, ხულელმა, მათ ფრონტები ჩავაბარე...

და ომის პირველ თვეებზე დაიწყო ლაპარაკი. არც ეს უნდა ყოფილიყო ასე და არც ის ისე და ძველ საზღვარზე სანგრძლივი თავდაცვის ხაზი რატომ ააფეთქესო.

— ჟუკოვი, ჟუკოვი იყო ყველაფერში დამნაშავე, გენშტაბის უფროსი. იმან უნდა აგოს პასუხი...

„მუკუზნის" მეორე ბოთლი რომ დავცალეთ, ლიტერატურაზე, მწერლებზე ჩამოვარდა საუბარი. — ყველანი თაღლითები არიან. ყველანი! როგორც ერთი. იმ ლოთის, ფადეევის მეთაურობით... აი, პლატონოვი, მწერალი ის იყო. წყალობითა ღვთისათა. მე ის ვლანძღე, მართალია, სალანძღავი იყო, მაგრამ წერა შეეძლო. ანდა ბულგაკოვი... მხატში „ტურბინების დღეები" ნახე? მე ათჯერ, მეტჯერაც კი ვნახე...

პაპიროსს შეეშვა და ჩიბუხის გატენას შეუდგა.

— აი, ოფიცრები ისინი იყვნენ, აბა, ნამდვილი ოფიცრები. ირგვლივ ყველაფერი ინგრევა, ბოლშევიკები ერევიან, ეგენი კიდე ფიცს არ ღალატობენ. ყოჩაღ! სიამოვნებით ვუყურებ.... ასანთი გაქვს?

კოლოფი მივაწოდე. მოუკიდა, რამდენიმე ნაფაზი დაარტყა.

— აქ კიდევ სუ ისინი მარტყიან გარს, რა ჰქვიათ... არავისი არ გჯერა კაცს! ნახევარ გროშად გაგყიდიან. კეთილი, აგერა და ხვალეო. გავიყაროთ.

აუჩქარებლად წაბაჯბაჯდა კარისკენ. სახელურს ჩაჭიდებული ჩემსკენ მობრუნდა და დამემშვიდობა:

— ჩვენი მწერლები კი ნაგვები არიან! არ გეწყინოს, მაგრამ ნაგვები არიან... — და გავიდა.

მთელი ღამე ვტრიალებდი მოუხერხებელ ვიწრო ტახტზე იმ ნახევრად ცარიელ ოთახში, სადაც ორმა თავაზიანმა მდუმარე კაპიტანმა მომიყვანა. „რას შეიძლება ეს ნიშნავდეს? — ვფიქრობდი გაუთავებლად. — როგორ უნდა დავიჭირო თავი? ხომ არ შეიძლება სულ ვდუმდე და მხოლოდ კვერი ვუკრა. ხომ იფიქრებს, რომ ან ლაჩარი ვარ, ან სულელი. მაგრამ როგორ გინდა იმას მიუხვდე? ჯერჯერობით ვერაფერი გამიგია. იქნებ, როცა მეტს დავლევთ, მაშინ მივხვდე რამეს. საერთოდ კი მაგარია. რაც არ უნდა იყოს, სამოცდაათს არაფერი უკლია, ეხუმრები! ჩემსავით ოცდათექვსმეტი წლისა ხომ არაა".

ტირანებთან ურთიერთობის გამოცდილება არ მქონდა. ამბობენ, სუფრაზე ჰიტლერიც ყურადღებიანი, გულღია იყოო, მანდილოსნებს ხელზე კოცნიდაო. ილიჩი კატებს უსვამდა ხელს, ამბობდა, მთელი ჩემი სიცოცხლე „აპასიონატას" ვუსმენდიო. თუმცა, დასძენდა, რომ ეს მუსიკა მას გულს უჩუყებდა. კაცს მოგინდება საყვარელი სისულელეები ილაპარაკო, კატებს თავზე უსვა ხელი, მაგრამ მათ უნდა ურტყა, ურტყა... „ჯოჯოხეთურად ძნელი საქმეა". ესა კიდე? თითქოს ბუნჩულა პაპაა, იუმორიც აქვს, თავის თავზეც ხუმრობს, მაგრამ, აი, ბოლოს, როცა ჟდანოვი გაიხსენა, და შემდეგ, როცა კართან ჩემკენ შემობრუნდა, ბუნჩულა პაპა ალარსად იყო. ახლა კიდევ ის „ნახევარ გროშად გამყიდიან"?

თითქმის მთელი ღამე ვიხვანცალე, რაღაცას ვაყურადებდი. სამარისებური სიჩუმე იდგა. „ამის შემდეგ რა ვილონო, რა?"

ამის შემდეგ გამეღვიძა. შუადღეა, ის კი ფეხებთან მიზის და ხელში ნახევარლიტრიანი უჭირავს.

— რაღაც არ მეძინება, კაპიტანო. სისხლიანი ბიჭები მიდგანან თვალწინ. გადავწყვიტე შენთან შემოვსულიყავი.

შარვალი ჩავიცვი. მას იდაყვამდე დაკემსილი ზოლებიანი პიჟამო ეცვა. „რაღა ეს და რაღა ალექსანდრე III". მასაც უყვარდა ყველაფერი ძველი, ნახმარი.

სტალინი ფანჯარასთან მდგარ მაგიდას მიუჯდა.

— აბა, მოდი, კაპიტანო.

— კი, მაგრამ რითი დავლიოთ, ამხანაგო სტალინ? — მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ჭიქებს ვერ მივაგენი.

სტალინი თითქოს შეცბა: ამ წუთში, ახლავე მოვიფიქრებთ. — და გავიდა.

მალე დაბრუნდა, ორი თლილი ჭიქა და თეფშით კიტრი მოიტანა.

— პური არა გვაქვს. დედაბრის გაღვიძება კი არ მინდა. უპუროდ გადავალთ?

სადღაც ღამის სამ საათზე დაწყებული ეს ქეიფი მთელი დღე გაგრძელდა. [illegible]დირობა რატომღაც გადაიდო. „ერთი მაგის! შევიბრალოთ ის დომბები. ჩულადობა შევინარჩუნოთ. აქ მაინც შევინარჩუნოთ" — და პირქუშად გაიცინა. არაყს ცხვამდით, უხალისოდ ვჭამდით, თუმცა დედაბერმა შემდეგ ბევრი შებოლილი რაღაც დაახვავა სუფრაზე. ძირითადად კაკალსა და თხილს ვხრავდით.

„ხომ არ მოფამფალდება? არა, ძლებს. მაგარი მოხუცია".

— ჰოდა, დაიწყო მან. — იცი თუ არა, ცრუ დიმიტრი რატომ არ ვარგოდა რუსეთის ხელმწიფედ? არა, არ ვიცი. ხომ ჭკვიანი იყო, განათლებული, მაგრამ არის ორი რამ, ურისოდაც რუსი ვერ ძლებს: ძილის შემდეგ წაძინება უყვარს და აბანოში შევლა. დიმიტრი კი არც ერთს დაგიდევდათ და არც მეორეს. არც იძინებდა და არც აბანოში შედიოდა. გესმის? აბა, ის რა რუსი მეფე იყო?

—არავითარი, — დავეთანხმე,—აი, თქვენ, იოსიფ ვისსარიონოვიჩ, დადიხართ?

— სად? სანდუნოვსკაიაში? რას ამბობთ, ეგა ხალხისთვისაა. ჩვენთვის არაა. ამიტომაც არ ვვარგივარ მეფედ... აი, ვფიქრე... იცი, რომში როგორაა? იქ, აი, უშველებელი აბანოებია, „თერმო" ჰქვია, ლამაზი რამეა, მარმარილოსსვეტებიანი, ნაირნაირი აუზებით, ირგვლივ შადრევნებია, შემდეგ კი ვენეციურ დარბაზებში, ასევე ლამაზებია, ჭერზე ალეპი სხედან, სალკოც იქაა, — მდიდარი სტუმარი, თითო ტოლჩა ლუდს მიირთმევენ, რომ ოფლი მოიდინონ და ისაუბრონ იქითური, აქეთური. ჩვენი ხალხი კმაყოფილი იქნება. [illegible]ადლობაო, იტყვის, ამხანაგ სტალინს ყველაფერზე ის ზრუნავს. სულიც შვებას გრძნობს და ტანიც სუფთა გვაქვსო... ხიფთანი უნდა ეცვას ყველას, ხიფთანი! მოლოტოვსაც, მალენკოვსაც და ჩვენს საპატიო ებრაელ კაგანოვიჩსაც — ყველას ხიფთანი უნდა ეცვას... და ბაირაღეში უნდა მოჰქონდეთ. და ზარებსაც შემოვკრავთ... თუმცა, ისინი სულერთიანად ვადაადნეს, მაგრამ მაინც აი, კაგანოვიჩს დავავალოთ შოვნა. ქრისტე ჯვარს აცვეს — კეთილი ინებონ და ლოცვით მოიწანიონ. — მხიარულად გაიცინა. — აბა, კიდევ რა ხდება მანდ, მეფედ კურთხევის დროს?

— ხოდინკა, — წამოვროშე მე.

სიცილი შეწყდა. ტუჩები მოკუმა.

— იცი, ასეთი რამეებისთვის რას ვუშვებით? ეს რომ ჩემთვის მოლოტოვს ან ჩვენს მოჩერჩეტო კლიმს ეთქვა, მე იმათ... — და უცებ შემრიგებლურად გადააქნია თავი. — ეჰ, კაპიტანო, კაპიტანო. შენ მაინც დიდი ხუმარა ვინმე ხარ. მხოლოდ იმიტომ გპატიობ, რომ სტალინგრადელი ხარ. ასე რომ არ იყოს, ჩემს ბალაკირევად გაგხდიდი, კარის ხუმარად, ჩხარუნებიან ჩაჩს ჩამოგაფხურავდი და ლაგამამდე ტახტთან, დაჯდებოდი და იხუმრებდი და იხუმრებდი, ხუმრობის კორიანტელს დააყენებდი. ბედი შენი, ბედი შენი, მეხი აგერიდა; აბა!..

— ყური მიგდე, რა იქნება, რომ პოლიტბიუროში შეგიყვანო? რუსი ხარ, ფრონტელი, მეტი რაა საჭირო?! იმათ კი, ყურუმსალებს, დენთის სუნი არც უყნოსიათ. ან, იქნება სამდივნოში აგიყვანე. ჟდანოვი თავის მუსიკას შევატოვოთ, ჩიჟიკ-პიჟიკის დაკვრა



(დასასრული მე-10 გვ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

შეუძლია ცალი ხელით, შენა კიდე ლიტერატურას მიმყე. მიკარნახებ ვინ მოვიპატიჟო კინოში „ტარზანის" სანახავად, შემდეგ კი — დახალევად და ვის ამოვარტყა პიტლაყი უკანალში. მაგ პარაზიტებს ყველას უნდა მოუჭირო ხელი... შენ აგარაკი თუ გაქვს? პანსიონებში ცხოვრობენ... აგარაკი თუ გაქვს?

— რას ბრძანებთ, ამხანაგო სტალინ, კომუნალურ ბინაში ვცხოვრობ.

— კომუნალურ ბინაში? სტალინური პრემიის ლაურეატი ხარ და კომუნალურ ბინაში ცხოვრობ?

— ზუსტად ასეა, ამხანაგო სტალინ.

— უმსგავსოებაა, გესმის?.. — ტელეფონთან მივიდა. — ხრუშჩოვი მალაპარაკეთ. — და ორიოდ წამში. — ნიკიტა ხარ? რაო, ცოცხალი ხარ, ლაზარმა არ გაგაწამა? კარგი, პო, კარგი. აქ, ჩემთან ზის ერთი თქვენი კიეველი მწერალი, ახალგაზრდა, ნეკრასოვია გვარად. — ჩემსკენ მობრუნდა. — შემთხვევით შენ იმის, კლასიკოსის, ნათესავი ხომ არა ხარ?

არცერთი მხრიდან.

— ამბობს, არცერთი მხრიდანო. თვითონ გამოიჩეკა, უპროტექციოდ. რაო? ასეთი მწერალი არ გაგიგია? და არა გრცხვენია? ამასაც ხელმძღვანელი მქვია. მაშ ასე, ჩაჯექი თვითმფრინავში და... რომელია ახლა? დახედე, კაპიტანო, საათი არ მიკეთია... ცხრაა? ცხრას აკლია ხუთი წუთი. თორმეტ საათზე ჩემთან უნდა იყო. გასაგებია?

ყურმილი დადო.

— გაგვამხიარულებს, სახეირო ვინმეა.

ზუსტად თორმეტ საათზე, წუთი-წუთზე, კარი გამოიღო და გამოჩნდა ხრუშჩოვის გოჭური სიფათი.

— შეიძლება, ამხანაგო სტალინ?

— ა, ქაჩალ-ნიკიტა — სტალინმა ალერსიანად აუწია ხელი. — „პარილკა" ჩამოიტანე?

ხრუშჩოვმა დაბნეულად გაასავსავა ხელები.

— პოდა, მიუხვედრელი სახოლი ხარ. არც ისტორია იცი. მეფესთან ყოველთვის ძღვენიანად მიდიოდნენ. სიასამურის ბეწვის ქურქს მიართმევდნენ, ან ფეხმარდ, ფიცხ ცხენს, იაგუნდებს, ალმასებს... მე და მწერალს კი თქვენი უკრაინული პარილკა ს პირცემ გვაკლია. რას იტყვი, რა ვუყოთ ამას? დავსაჯოთ?

— მე, ამხანაგო სტალინ, ახლავე...

— ჯანდაბას შენი თავი. ამ ერთხელ გვიპატიებია. დაუსხი ერთი ამას, კაპიტანო. შეუვსე, შეუვსე, აილე! ოღონდ ნუ ღვრი. ხელები რატომ გიკანკალებს? რაო, გეშინია? აბა, ილრიალა დათუჩნიამ!..

აშკარა იყო, რომ ნიკიტა სერგეევიჩს ნამდვილად შიშისგან უკანკალებდა ხელები, მაგრამ ისე ძალიან უკანკალებდა, რომ ჭიქა ძლივს მიიტანა ტუჩებთან. შემდეგ სასმელი სახულეში გადასცდა, მაგრამ რის ვაივაგლახით დაცალა.

— ეჰ, ყიყლიყო ხარ შენა, ნიკიტა, ყიყლიყო, — გაიცინა სტალინმა და შავი კბილები გამოაჩინა. — ესეც ვითომ კაზაკი — ზაპოროჟელია...

ის მაინც საოცრად სიტყვაწყლიანი აღმოჩნდა. მე კი ვფიქრობდი, რომ ზანტად ღერღავდა სიტყვებს. მაგიდის ირგვლივ ბოლთას სცემს, ჩიბუხს აბოლებს და მოულოდნელად სრიკიანი კითხვით გაგაშტერებს. ასეთი გვენახა ჩვენ ის კინოში, ასეთს შევეჩვიეთ.

ახლაც ასე რომ ყოფილიყო, ყველაფერი რიგზე იქნებოდა. ხრუშჩოვს უბრძანეს, რომ გაეშანსა ჩემთვის დნეპრის პირას აგარაკი და ბინა, რომელიც კორნეიჩუკის ბინაზე უარესი არ უნდა ყოფილიყო. („მაშ, იმას ცალკე სახლი აქვს? ნეკრასოვსაც უნდა ჰქონდეს!") შემდეგ შეხთავაზეს ტრადიციულად ეცეკვა ჰოპაკი, თან უკვე მთლად ტრადიციულად — არის ასეთი რუსული გართობა — წარმოედგინა ბრძოლა — დათვთან. შეჭიდება, რის საზღაურადაც ქელეხის გადახდა ალუთქვეს და საბრალო მთლად წახდა. სტალინი იცინოდა და ტაშს უკრავდა. ყველაფერი ამით რომ დამთავრებულიყო, მასპინძელს სტუმართმოყვარეობისათვის მადლობას მოვახსენებდი, ნიკიტას იდაყვში ხელს მოვკიდებდი, მასთან ერთად კიევს გავფრინდებოდით, იქ კი, მეფის ნებით, აგარაკსაც მივიღებდი და ცალკე სახლსაც და ლაურეატობის ყველა სიკეთით ვისარგებლებდი.

მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. უცებ ტელეფონმა დარეკა. სტალინმა აიღო ყურმილი.

— აბა, რა ხდება მანდ? — ჩაიბურდღუნა — მერედა, ეგ ვინ მოიწვია? არა მცალია... უთხარი, რომ არა მცალია, — და ყურმილი დადო. — ესეც ალკოჰოლიზმთან მებრძოლი არ გამომიჩნდა!

მალე ისევ გაისმა ზარის ხმა.

— რაო, რა ხდება? რა მნიშვნელოვანი ამბავი შეიძლება ხდებოდეს? — შეიკურთხა. — კეთილი, შემოვიდეს.

შემოვიდა ბერია.

— აბა, რამ მოგიყვანა? ხომ ხედავ, ვსვამთ. სერიოზულ რამეებზე ვმუსაიფობთ. რა გინდა? მოკლედ თქვი.

ბერიამ ლაპარაკი წამოიწყო, მაგრამ სტალინმა შეაწყვეტინა.

— აბა, ამოისუნთქე! ფსიზელია! ფსიზელი კაცი კი საეჭვო კაცია. მიდი, დალიე — სტალინმა ჭიქა გაუპიპინა. — ეს ჯარიმაა.

ბერიამ ჭიქა აიღო და გულმწყრალად შეხედა ჯერ ხრუშჩოვს, რომელიც უკვე ჩემს ტახტზე იჯდა, შემდეგ კი მე მომაჩერდა.

— იმას ალმაცერად რატომ უცქერი? მწერალია. მე და ის აქ ლიტერატურულ პრობლემებს ვწყვეტთ, შენ კი გყავდეს ის შენი „მური" და იყავი შენთვის. დღეს არავის არ ვიჭერ, გაიგე? დალიე- ხულმოუთქმელად!

ლავრენტი პავლოვიჩმა გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეასრულა ბრძანება. სტალინმა ჩანგალი კიტრს დაასო.

— უნდა დააყოლო. ჩქარა, თორემ დაელამდები ჩვენი თვალთვალით და... ნუ აჯანჯლებ, თქვი, რა გინდა.

— კონფიდენციალური საუბარი მინდოდა — თქვა ბერიამ.

— მაშ, კონფიდენციალური, სერიოზული საუბარი გველის? ქვეყნის ცხოვრება მასზე ჰკიდია? აბა, ასეა? იქნებ, მე არ მინდა ახლა ქვეყნის შესახებ საუბარი? მსურს ლიტერატურაზე ვისაუბრო. მწერალს ვესაუბრო. შენ შჩედრინი წაგიკითხავს როდისმე? არ წაგიკითხავს. იყო ასეთი გუბერნატორი — მწერალი და არცთუ ურიგო მწერალი. თქვენს, გორკიზე უკეთესი. პოდა, შენც ადექი და წაიკითხე. შემდეგ მომახსენებ. ზურგისაკენ იარ!

ბერიას მკვდრის ფერი ედებოდა ჩვენს თვალწინ. ამ უკანასკნელი სიტყვების გაგონების შემდეგ უკან წავიდა ჩოჩვა-ჩოჩვით. ისევ გაბოროტებით მომაჩერდა. სტალინმა მისი გამოხედვა დაიჭირა.

— ვისთანაც მინდა, იმასთან ვსვამ, გესმის? შენთან არ მინდა, მასთან კი მინდა. მოვიდა ახლა სათვალთვალოდ, — და მაგიდაზე დაარტყა მუშტი. — მოუსვი აქედან!

და ბერია, მრისხანე ბერია, დადნა. ის თითქოს არცა ყოფილა.

— ეგეც ქართველად ასაღებს თავს, ქვეწარმავალი... — სტალინი წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო. — მითვალთვალებენ არამზადები, მაყურადებენ, მამოწმებენ... სიცოცხლეს მიშლიან.

ცერად დაკიდებული შიშკინის ტყე გაასწორა.

— შენც განრისხებით გიყურებს ის ბოზი, ისა. აბა, ერთი სცადოს. ხერხემალს გადავუმტვრევთ ამ თავგასულ, გათავხედებულ ლლაპს, ამას!

ამ მოულოდნელმა ვიზიტმა მთელი ჩვენი იდილია წაახდინა. დაიწყო იმის გახსენება, თუ ვინ რა დააშავა. თურმე, ყველა დამნაშავე ყოფილა. მუქთახორები, მოღალატეები, მაბეზღრები, ყველას სხვისი ტ-------თ უნდა სამოთხეში შესვლა. თვალთმაქცი მალენკოვი და ვიაჩეკი — სისთავა და კიდევ — წინადაცვეთილი ლაზარი... რაც ალხანა, ის ჩალხანაო...

და გაქრა ბუნჩულა პაპა. ოთახის კუთხიდან კუთხეში მტკიცედ ნაბიჯით დააბიჯებდა ჯერ კიდევ განურისხებელი, მაგრამ აშკარად გაჯავრებული, ნახვამი (არა, მთვრალი არა, და ეს მაწცვიფრებდა და სწორედ ამიტომ ნასვამი) დაკემსილპიჯაკიანი ჯერ კიდევ მაგარი მოხუცი და თავის დაუდევარ მსახურებს ჯიშსა და ჯილაგს უკურთხებდა.

შემდეგ მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა: ლაპარაკი მომინდა.

არავითარ შემთხვევაში! — მინდოდა თავის დარწმუნება, — არავითარ შემთხვევაში! ხომ ხედავ, ყველაფერი რა კარგად მიდის. ყველას აგინებს, შენ კი მხოლოდ გეფერება. აი, ნიკიტა სხვანგებოდ გამოიძახა, აგარაკი, ცალკე სახლი მოგცა, მეტი რა გინდა? დაუყოვნებლივ ჩადი იმ შენს კიევში და წერე, სანამ შენს წინ მწვანე ქუჩაა...

არა, მინდა ვილაპარაკო!

არ განარისხო ღმერთი, არ განარისხო სტალინი, შე ტუტუცო! ქება-დიდებით დაიწყებ და ლანძღვა-გინებით დაამთავრებ. ისევ ხოდინკის მსგავს რაღაცაში გაჰყოფ თავს. ახლა უკვე ველარ გამოძვრები. ბერიამ მასში მთელი ლექი აამღვრია, ვერა ხედავ? სასმობა პაპა აღარ არსებობს: შენს წინაშე სტალინია, რაო, ეს დაგავიწყდა, თუ? და თქვენ ორივენი მთვრალი ხართ...

„სადღეგრძელო! მხოლოდ სადღეგრძელო! სადღეგრძელოს წარმოთქმა მინდა!" და წარმოვთქვი.

მაგიდასთან მივედი, არყის ნარჩენები ყველას ჩამოვუსხი და ძალიან ხმამაღლა ასე განვაცხადე.

— ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ძვირფასო ნიკიტა სერგეევიჩ! მაპატიეთ, რომ თქვენს სერიოზულ საქმიანობაში ვიჭრები, მაგრამ მე მგონია, დადგა დრო შევსვათ...

— ძალიან სწორი შენიშვნაა, — სერიოზულად თქვა სტალინმა და მიწოდებული ჭიქა გამომართვა, — დალევა არასოდეს არ ვნებს ადამიანს. სასმელი გონებას წმენდს.

და გავაბურე. ჩემი — მთვრალი კაცის სიტყვათა რახარუხები ძირითადად უტრიალებდა ომს, უკანდახევას, დატოვებულ უკრაინას და მოსკოვის სამხაზიან შაშხანას, რომელსაც ჩვენ ბრძოლაში ჩაბმის წინადღეს გვაძლევდნენ და, რასაკვირველია, სტალინგრადს, მაის ყორღანს, ჯარისკაცებს, პოლკის მეთაურს, გაყინულ გრუნტს... პატრიოტიზმი პირდაპირ იურჩქვოდა ჩემი არსებიდან.

— სტალინგრადელებს, ჯარისკაცებს ერთი ოცნება ჰქონდათ, — ასე დავამთავრე ჩემი საკმაოდ გაჭიანურებული სადღეგრძელო. — მიეღწიათ ამ ბანდიტის ბუნაგამდე, მის კანცელარიამდე და მის მაგიდაზე მოეხაჭმათ. აი, ამ ჯარისკაცების სადღეგრძელოს ვსვამდით ჩვენი კუთვნილი ასი გრამით.

— კარგი სადღეგრძელოა, — თქვა სტალინმა. — მაგრამ მის პასუხად, აი, რას გეტყვი. დამისხი ერთი.

— აღარ დარჩა, ამხანაგო სტალინ.

— როგორ თუ აღარ დარჩა? ასეთი რამ არ ხდება. აბა, ნიკიტა, ჩაირბინე და მორიგეს უთხარი მანდ.

ხრუშჩოვი გაუბედავი ნაბიჯით გაემართა კარისკენ.

— ნარზანიც გამოაყოლე! — მიაძახა სტალინმა.

მან ოთახში გაიარ-გამოიარა. სიბრაზემ თითქოს გადაუარა. ჩემს პირდაპირ გაჩერდა.

— ახლა შენ ეს მითხარი, ოღონდ, გულღიად, სინდისიერად მითხარი. შენი აზრით, რაო, ამხანაგი სტალინი დიდ სამამულო ომში არ მონაწილეობდა? — და პაუზის შემდეგ, როცა ვგრძნობდი, რომ სხეული მიცივდებოდა: — მე კი მეგონა, რომ მეც მცირე, მაგრამ ჩემი წვლილი მაინც მეკუთვნის. იქნება, ვცდები?

მის წინაშე ვიდექი და ვდუმდი.

ხელ-ფეხი გამიშეშდა.

— კეთილი... შენ მე ამაზე სავსებით სამართლიანად მიპასუხებ, ამხანაგო სტალინ, თქვენ თვითონ თქვით, რომ ტრაკი გტკივათ და მე სწორედ ის თქვენი ტრაკი შემებრალაო... აჰა, პასუხი მე გიკარნახე, შენ კი უკვე შეგეშინდა. ნუ გეშინია. მაგრამ დაიმახსოვრე — ეშმაკობა კარგია, მაგრამ არა ამხანაგ სტალინთან. გასაგებია?..

მთავარი, რაც მინდოდა შენთვის შენს მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოს, არ ვდაობ, კარგი სადღეგრძელოს შემდეგ მეთქვა, სხვა რამაა. ჰიტლერზე ვამბობ. რასაკვირველია, ის ბანდიტია, მაგრამ მეგონა, რომ ჭკვიანი ბანდიტი იყო, ის კი სულელი აღმოჩნდა. აი, ჩვენ, მე და მას, ერთად ყველა ჩვენი მოწინააღმდეგეების, ამ ჩერჩილების, რუზველტების საწინააღმდეგოდ მთელი მსოფლიო, გესმით, მთელი მსოფლიო რომ დაგვეპყრო! შემდეგ კი შუაზე გავიყოფდით! მან კი, სულელმა, ეს ვერ გაიგო. ვერ გაიგო და ამიხტა. ამიხტა და მოხვდა კიდეც.

ვიგრძენი, რომ ახლა რაღაც მოხდებოდა.

— ამხანაგო სტალინ... იოსიფ ვისსარიონოვიჩ... მაგრამ ჩვენ ხომ მთელი ცხოვრება გვასწავლიდნენ, რომ ანტისემიტიზმი...

— ის არ ყოფილა! არა! და არ იქნება! — უცებ წამოჭარხლდა. არ არსებობს ასეთი ცნება — „ანტისემიტიზმი". გასაგებია? არსებობს მოდგმა მეწვრილმანე ვაჭრებისა, მევახშეებისა და წამგლეჯებისა...

— რაო, აინშტაინი მეწვრილმანე ვაჭარი და წამგლეჯია?

— აინშტაინი არ ვიცი, მაგრამ კაგანოვიჩი — კი!

სწორედ ამ დროს შემოვიდა ნიკიტა ორი ბოთლი არაყითურთ.

— თქვი, ნიკიტა, ლაზარი ქურდია?

ნიკიტა გაშტერდა. ბოთლები ჩამოდგა და ციებ-ცხელებიანსავით დაუწყო ერთს გახსნა.

— ქურდია თუ არა, თქვი!

ნიკიტა ხმელეთზე ამოგდებულ თევზსავით რის ვაი-ვაგლახით ისუნთქავდა ჰაერს. მის პირისპირ კი იდგა ფეხებგაჩაჩხული, მთლად აჭარხლებული, — კისერი და მკერდიც კი გაწითლებული ჰქონდა, — მუშტებშეკუმშული სტალინი და, ისეთი პირი უჩანდა, რომ სადაცაა მოიქნევდა ხელს და ლეწავდა მას: — თქვი!

მაგრამ ნიკიტას ამოთქმა არ ძალუძდა.

მე კი... აქამდე ვერ გამიგია, როგორ მოხდა, რომ გონება დამიბნელდა, მაგრამ ნიკიტას ბოთლი გამოვტაცე, ელვის სისწრაფით შევავსე ჭიქები და მთვრალი თვალებით სტალინს მიციებულმა განვაცხადე:

— მე გთავაზობთ მეხუთე ასეულის მეთაურის ლეიტენანტ ფარბერის სადღეგრძელოს. ამხანაგო სტალინ, გსმენიათ ამ კაცის სახელი?

— ფარბერი? ვინ ფარბერია? არავითარ ფარბერს არ ვიცნობ.

— და ამაოდ! იცნობდეთ: ფარბერი — 284-ე დივიზიის 1047-ე პოლკის მეხუთე ასეულის მეთაური. შესვით!

სტალინმა ისე შემომხედა, რომ მივხვდი — ეს უკვე დასასრული იყო. ტელეფონის ყურმილს დაწვდა.

— ამისთვის, იცი, რას ვუშვრებით? — თქვა მან ჩემთვის თვალის მოუცილებლად. ის ყოველ სიტყვას საშინლად ზანტად ღერღავდა, ისე, თითქოს ადამიანის თავში ლურსმანს არჭობსო. — არ იცი? პოდა, აგერ გაიგებ. — მან ნომერი აკრიფა.

— ბერია მოვიდეს ჩემთან. — და ყურმილი მოისროლა.



— ამხანაგო სტალინ, მაგრამ ხომ თვითონ თქვენ...

— ნუ მაწყვეტინებ! ამხანაგ სტალინისთვის სიტყვის შეწყვეტინება არ შეიძლება. მომისმინე. მე და შენ შევთანხმდით, მაშასადამე, რომ ჰიტლერი ბანდიტია. ადამიანებს ხოცავდა, ღუმელებში წვავდა. ეს კარგი არაა, რასაკვირველია. არაჰუმანურია. ამხანაგი სტალინი, რა, შენის აზრით, ბანდიტი არაა? — მან პაუზა გააკეთა და ვიგრძენი, რომ ზურგზე ჭიანჭველები დამესივნენ, — რამდენი ადამიანი გაგზავნა მან იმ ქვეყანაში! ჰა? ჰიტლერი სტალინთან ვინაა? ის ამხანაგ სტალინთან შედარებით ლლაპია... მას ამხანაგი სტალინისგან უნდა ესწავლა, ის სულელი კი აუხტა ამხანაგ სტალინს... არადა, მას ხომ, რომ ვთქვათ, ცუდად არ დაუწყია... ჩვენ, გერმანელები, ვიწროდა ვართო. ვერსალი გვახრჩობსო! და ატეხა ღრიანცელი! — სინჯისთვის — საარი, პლებისციტის მსგავსი რაღაც მოაწყო. გამოუვიდა. შემდეგ ავსტრია, ანშლიუსი. გამოუვიდა. სუდეტები. მიუნხენი — ესეც გამოუვიდა, გაიმარჯვა. შთანთქა ჩეხოსლოვაკია. მოკავშირეებს ხმა არ გაუღიათ. ყოჩაღ! ვაჟი- იცოდა, რასაც აკეთებდა. შიგნითაც. ხალხის მტრებს გადაჭრით უნდა მოექცე- ყოყმანი არ შეიძლება. „ებრაული საკითხის საბოლოო გადაჭრა" სწორი გადაწყვეტილებაა. მე ვიტყოდი, გენიალურიც კი.

მორჩა! მივხვდი, რომ ყველაფერი მორჩა.

პაუზა. არავინ იძვროდა. არც სტალინი, არც ხრუშჩოვი, არც მე. გავშეშდით. ყურებს ხმაური მოაწვა. ეს ხმაური სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. სტალინს ჩემს მიერ მიწოდებული ჭიქა ისე ჰქონდა ჩაბღუჯული, რომ თითები გაუთეთრდა კიდეც და ახლა ის ჩემსკენ მოიწევდა ნელი, უხმაურო ნაბიჯით, რაღაცნაირად ისე, თითქოს მეპარებაო. და მიყურებდა, მიყურებდა, თვალს არ მაცილებდა. მის თვალებში ისე იელვა წითელმა ნაპერწკალმა, როგორც ღამე კატის თვალებში. ჩემს ზურგს უკან ჩუმად გაიღო და მიიხურა კარი. მივხვდი, რომ ეს დასასრული იყო. ხულმოუთქმელად გადავკარი არაყი. თვალებში წრეები დატრიალდა, ყურებში რეკავდა. სულ უფრო და უფრო ძლიერ რეკავდა.

დავეცი. ჭიქა იატაკზე გაგორდა.

უკანასკნელი, რაც ყურებში სულ უფრო და უფრო ძლიერი რეკვის მიუხედავად გავიგონე, ეს იყო:

— ურია ყმაწვილკაცი... მე კიდევ მასთან ბრუდერშაფტის დალევა მინდოდა!

მეტი არაფერი გამიგონია. მოვკვდი.

გაზეთი „სობესედნიკი", № 1, 2, 1991 წ.

თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ

მხატვარი ვლადიმერ ბურკინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

17 სექტემბერს XI თეატრალურ სეზონს ხსნის სანდრო ახმეტელის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრი. ფარდის ახდის წინ „ლიტერატურული საქართველოს" კორესპონდენტს ესაუბრა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი **ალექსანდრე ქანთარია.**

# დავუბრუნოთ ხალხს დღესასწაული



— სამი დღის შემდეგ ახალ თეატრალურ სეზონს ხსნის ახმეტელის სახელობის თეატრი. დღეს, როდესაც ასე მძვინვარედ ბობოქრობს ქუჩა, რა მდგომარეობაა თქვენს თეატრში, შემოქმედებითი დასი მზად არის თუ არა ახალი სეზონისათვის? ამ მძიმე ვითარებისა და გაჭირვების ჟამს ყველას და ყველაფერს ხომ არ მოედო გულგრილობის სენი? მოგეხსენებათ, სეზონის პირველი დღე ყოველთვის დღესასწაული იყო ქართულ თეატრში.

— თეატრი სახელმწიფოს, ქვეყნის ორგანული ნაწილია. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ შევქმნათ დაულაგებელი, მოუწესრიგებელი ცხოვრებისაგან განსხვავებული ატმოსფერო, მაგრამ ახლანდელი მშფოთვარე დრო დიდ ზემოქმედებას ახდენს თანამედროვე ადამიანზე და, აქედან გამომდინარე, თეატრზეც. ვითარების შესაბამისად იცვლება მოვლენები შინ თუ გარეთ, იცვლება ქუჩაში, ოჯახში, თეატრში, და საერთოდ ყველგან. თუ სახელმწიფო ეკონომიკურად ჩამორჩენილია, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ღარიბია, ბუნებრივია, ვერც რომელიმე ორგანიზაციის ცხოვრება იქნება დალხინებული, მითუმეტეს თეატრისა. ეს ეხება ყველა ქართულ თეატრს, მთლიანად ქართულ კულტურას. ამის გამომწვევი მიზეზი კი ბევრია. დღეს ცხოვრებაში უფრო დიდი ტრაგედიები თამაშდება, ვიდრე სცენაზე და ეს ყველა ჩვენგანის თავზე გადადის. ერთი შეხედვით, თითქოს, თეატრის როლმა უკანა პლანზე გადაიწია. მე, როგორც რეჟისორმა, არ შემიძლია ეს ბოლომდე ვირწმუნო და თუ ვინმე დაბეჯითებით ფიქრობს ასე, სანამ საგანგაშო ზარს შემოვკრავდეთ, ჩვენი დამოკიდებულება თეატრისადმი ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს, თუ გვინდა რომ შევინარჩუნოთ კულტურა.

ჩვენ თუ ძლიერი ერი ვართ, რატომაა ამდენი კონფრონტაციები ჩვენში? რატომაა, რომ სხვადასხვა პოზიციის გამო ორი მეზობელი ვერ მორიგებულა და სამტროდ გადაჰკიდებიან ერთმანეთს? ამაზე ჩაფიქრება და სწორი დასკვნების გამოტანა გვმართებს. ვიტყვი თამამად, რომ მხოლოდ მაღალი კულტურისა და ზნეობის ერს შეუძლია იბრძოლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, ოღონდ არა იმ ხერხებითა და მეთოდებით, როგორითაც ვიბრძვით დღეს. სახელმწიფოს, ხალხის ბედ-იღბლის სასწორზე შეგდება არ შეიძლება. აბა, მიმოვიხედოთ გარშემო, რა ხდება. ისევ დაქსაქსულობა და არაერთსულოვნება სუფევს. გვინდა მივბაძოთ განვითარებულ და კულტურულ ქვეყნებს, მაგრამ რბილად რომ ვთქვათ, ჩვენ ცუდად გვესმის კომერციული საქმიანობა, ვძარცვავთ ხალხს და უფრო ვაძლიერებთ მაფიას. ყელში ვუჭერთ ისედაც დამბლადაცემულ ეკონომიკას, ვაკნინებთ კულტურას და რა ზიანსაც ვაყენებთ ჩვენს ქვეყანას, საკუთარ თავს, ეს ყველასათვის ნათელია. მძიმე დრო დაგვიდგა, მაგრამ ალტერნატივა არ არსებობს! როგორც არ უნდა გვიჭირდეს, მთელი ძალღონე უნდა მოვახმაროთ კულტურის განვითარებას. თვით მძიმე ვითარების ჟამსაც რომ დავივიწყოთ თეატრის გზა და დავივიწყოთ წიგნი, ეს იმას ნიშნავს, რომ აღარ ვიფიქროთ მომავალზე და უფსკრულში გადავეშვათ.

ქართველებს ხშირად გვიყვარს ხოლმე წარსულით თავის მოწონება. ეს კარგია, მაგრამ ეს სიხარულთან ერთად სინანულსაც იწვევს. ყველას აინტერესებს თუ რანი ვართ დღეს, დღეს რა შეგვიძლია და არა ის, თუ რა იყო უწინ. როგორც კი წარსულის, აწმყოსა და მომავლის კავშირი დაირღვევა, როდესაც ჩავთვლით რომ ეს სავსებით კანონზომიერია, აგორებულ ტალახის გუნდას მერე ვეღარ შევაჩერებთ. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ახმეტელის თეატრს უფრო მეტის გაკეთება შეუძლია. მიუხედავად ასეთი დაძაბული მდგომარეობისა, საქართველოში რომაა ბოლო ორ წელიწადში, ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობდით. სცენაზე და სცენის გარეთ ყველას ღრმად აქვს შეგნებული რომ კულტურის წინსვლის საფუძველი პროფესიონალიზმია. თუ პროფესიონალიზმი დავკარგეთ და დილეტანტებად ვიქეცით, თეატრი დაიღუპება. ახლანდელი დრო რადიკალურად განსხვავდება, გნებავთ, ახლო წარსული რომ ავიღოთ, ამ ხუთი წლის წინანდელი დროისაგან. კარგა ხანია ფუჭი ლაპარაკის დრო დამთავრდა და ახლა მხოლოდ შენმა საქმემ უნდა გამოგაჩინოს. შარშანდელი და შარშანწინდელი სეზონი მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, ბევრი საინტერესო და სიხარულის მომტანი დღე გვახსოვს, დაიდგა რამდენიმე ჩვენთვის საინტერესო სპექტაკლი, გასტროლები გვქონდა იუგოსლავიაში, მაგრამ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, პრესით, ტელევიზიითა და რადიოთი საკმაო ინფორმაცია მიიღო მკითხველმა.

— მიმდინარე სეზონში, ალბათ მრავალი პრობლემა გაქვთ გადასაჭრელი. რა სიძნელეების დაძლევა მოგიხდებათ, რომ თეატრმა შეინარჩუნოს თავისი შემოქმედებითი სახე?

— პრობლემა უამრავია, — როგორც შემოქმედებითი, ასევე ფინანსური. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მხრიდან ველით მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერას. თეატრი სავაჭრო ორგანიზაცია არ არის, რომელიც ნემსის ყუნწში გაძვრება და ათასგვარი მაქინაციებით შეეცდება თავიც შეინახოს და მოგებაც ნახოს. როცა შიმშილი კარს მოგვდგომია, ძნელია ხელოვნებაზე ილაპარაკო. მაგრამ სწორედ დღეს, საქართველოსთვის მძიმე ვითარების ჟამს, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ უკულტურობის, უზნეობის, უმეცრების, უსინდისობის წინააღმდეგ; თუ გვინდა რომ ჭაობში არ ჩავიძიროთ და გადავარჩინოთ თანამედროვე ადამიანის სულიერი სიწმინდე, უნდა შევქმნათ მაღალმხატვრული ხელოვნება, მაყურებელი უნდა დავუბრუნოთ თეატრს, მკითხველს წავაკითხოთ წიგნი, ოღონდ არა ჩვენი კოოპერატიული გამომცემლობების მიერ დასტამბული ბალასტი, ათასგვარი სისულელე, რა თქმა უნდა, იშვიათ გამონაკლისს არ ვგულისხმობ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ჩვენი სასიცოცხლო პრობლემებია, გადამთიელებს ნუ დაველოდებით და ნუ გვექნება იმის იმედი, რომ ჩვენს საქმეს სხვები გააკეთებენ.

მატერიალურ-ფინანსური პრობლემები ყველა თეატრს აქვს გადასაჭრელი. ათეული წლების განმავლობაში ვლაპარაკობდით და ვწერდით მსახიობის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაზე. ახლა ეს მდგომარეობა ცოტა უკეთესია, მაგრამ არა სახარბიელო. რა მოვთხოვოთ კულტურის სამინისტროს, როცა თვითონ ფინანსურად უჭირს? დღეს ყველა ორგანიზაციას უჭირს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თეატრმა არ უნდა დაკარგოს თავისი შემოქმედებითი სახე. მაღალფარდოვან სიტყვად ნუ მიიჩნევთ ჩემს ნათქვამს, ასეთ პირობებში მსახიობის შრომა თავგანწირვის ტოლფასია. რა თქმა უნდა, მე არ ვგულისხმობ ფანატიკურ, მიშველ ენთუზიაზმს, რადგან თუ ასე გაგრძელდა, ერთ მშვენიერ დღეს ენთუზიაზმთან ერთად პროფესიონალიზმიც გაქრება. მოკლედ რომ ვთქვათ, თუ სახელმწიფოსა და ხალხის მხრიდან მორალური და მატერიალური მხარდაჭერა არ გვექნება, თეატრი მოკვდება. ჩვენმა საინფორმაციო საშუალებებმა, პრესამ, ტელევიზიამ და რადიომ უფრო მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ თეატრის, საერთოდ ქართული კულტურის მიმართ.

მე მახსენდება ძველი და ამავე დროს ძალიან საგულისხმო ამბავი. როდესაც შოსტაკოვიჩი მოდიოდა საზღვარგარეთ, ჰკითხეს, რატომ ტოვებთ სამშობლოსო? მან უპასუხა, ათი-თხუთმეტი წელი რუსეთს მუსიკისათვის არ ეცლებაო. ასეთი მდგომარეობისგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ არც თვითდამშვიდების უფლება გვაქვს, ხალხს უნდა მივაწოდოთ სულიერი საზრდო, ის ჟანგბადივით აუცილებელია ადამიანისათვის.

— თქვენი თეატრი უჩივის მაყურებლის ნაკლებობას? თუ გიჩვენებიათ სპექტაკლი ათი–თხუთმეტი კაცის თანდასწრებით?

— თქვენ წარმოიდგინეთ, არა! მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი თეატრი ქალაქის ცენტრს საკმაო მანძილითაა დაშორებული, ჩვენთან მაყურებელი რეგულარულად მოდის. გვახარებს ის, რომ ჩვენი მაყურებელი ძირითადად ახალგაზრდობაა და მინდა მადლობა ვუთხრა მას. მე საერთოდ ქართული თეატრის მდგომარეობაზე, მაყურებლისა და თეატრის დღევანდელ ურთიერთდამოკიდებულებაზე მოგახსენებთ. მინდა მადლიერების გრძნობით აღვნიშნო, რომ ყოველთვის მხარში გვიდგანან, ჩვენს ჭირსა და ლხინს იზიარებენ საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე გიგა ლორთქიფანიძე, კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამმართველოს უფროსი ვაჟა ბრეგაძე, თეატრმცოდნე იამზე გვათუა, სხვებმა რატომღაც ზურგი შემოგვაქციეს. მოგეხსენებათ, რომ ამ რთულ პირობებში მხარში ამოდგომა ბევრ რამეს ნიშნავს. ჩვენ იუგოსლავიაში გასტროლების დროსაც ვიგრძენით, რომ საჭირო საქმეს ვაკეთებთ და ჩვენს სამშობლოს, ქართველ ხალხს ვემსახურებით. რადგან მაყურებლის პრობლემაზე ჩამოვარდა საუბარი, მინდა აღვნიშნო, რომ თეატრში ყველა საფეხურის სახელმწიფო მოღვაწე უნდა მოდიოდეს. ეს მათთვისაც საჭიროა. სწორედ მაყურებელთა დარბაზშია ის ინტიმი, რაც ქვეყნის ხელმძღვანელებსა და რიგით მოქალაქეებს აახლოებს. გარდა ამისა, თეატრი ის ჯადოსნური სამყაროა, რომელიც აგვაღელვებს, აღგვაშფოთებს, ჩაგვაფიქრებს და, გვინდა თუ არა, საკუთარ თავს დაგვანახებს.

ჩვენი თეატრის კონკრეტულ პრობლემებზე საუბრით არ გადავღლი მკითხველის ყურადღებას. ის კი უნდა აღვნიშნო, რომ ჯერჯერობით ერთ დარბაზში ვმუშაობთ, უნდა ყოფილიყო კი ორი, მცირე დარბაზში ბავშვებისთვის უნდა დაგვედგა სპექტაკლები, მაგრამ ჩანაფიქრს ჯერჯერობით ვერ ვახორციელებთ, რადგან მეორე დარბაზის მშენებლობა შეჩერებულია.

თეატრი გადავიდა სახელშეკრულებო სისტემაზე, მსახიობებთან გარკვეული ვადით ვდებთ ხელშეკრულებებს. ეს ორივე მხარისათვის სასარგებლოა, თეატრის მოღვაწეს უნდა მოვთხოვოთ შესაძლებლობის მაქსიმუმი და უნდა გადავუხადოთ ასევე — ხელშეკრულების მიხედვით.

— დღეს ყველაფერი ძალიან გაძვირდა. ხელფასით მაცხოვრებელ ოჯახს უჭირს თვიდან თვემდე თავის გატანა, უბრალო არითმეტიკა რომ მოვიშველიოთ, ცოლ-ქმრის ერთი დღის ხელფასი სადილსაც ვერ გასწვდება. რა ღირს ბილეთი თქვენს თეატრში? ასეთი პროზაული კითხვის დასმა შეიძლება ღიმილისმომგვრელიც კია, მაგრამ აქვე დავძენ რომ თბილისის კინოთეატრებში ბილეთის ფასი ორიდან ხუთ მანეთამდეა.

— დიახ, დღეს ყველაფერი ძალიან გაძვირდა! ტელეეკრანიდან ხშირად „გვამშვიდებენ" რომ მდგომარეობა კარგა ხანს არ გამოსწორდება. დღევანდელი დღე ერთ–ერთი ურთულესი პერიოდია ჩვენი ერის ცხოვრებაში, მაგრამ წუწუნი არაფერს მოგვიტანს.

ჩვენს თეატრში ბილეთის უმაღლესი ფასი ორმანეთნახევარი გახლავთ. ამას წინათ ფინანსთა სამინისტროს წინაშე დავსვით საკითხი, რომ ბილეთის ფასი ხუთ მანეთამდე გაგვეძვირებინა, მაგრამ დღემდე პასუხი არ მიგვიღია და ჩვენი თხოვნაა ეს დროულად და დადებითად გადაწყდეს. არადა, სხვა გზა არა გვაქვს! ქართულ თეატრში დაიწყო ფინანსური კრიზისი, ეს კი შემოქმედებითი კრიზისის მომასწავებელია. ადრე თეატრებს ჰყავდა სპონსორები, მაგრამ ახლა აღარც სპონსორებს აქვთ თეატრისთვის გასაღები სახსრები.

ნურავინ იფიქრებს, რომ ბილეთის გაძვირების გამო თეატრი დაკარგავს მაყურებელს. თეატრზე შეყვარებული ნამდვილი გულშემატკივარი, ვისთვისაც ხელოვნება დღესასწაულია, ისევე მოვა ახალ სპექტაკლებზე, როგორც აქამდე მოდიოდა. თქვენ კინოთეატრის ბილეთის ფასი ახსენეთ. გადავხედოთ სხვაგან რა ხდება. ხომ ყიდულობს ხალხი ხუთმაგად და ათმაგად გაძვირებულ საეჭვო ღირებულების წიგნს? მართალია, მრავალთათვის წიგნი მხოლოდ ნივთია და მეტი არაფერი, მაგრამ ფასის მომატებით წიგნის ბაზარს მყიდველი არ მოაკლებია (პირიქით!), მკითხველზე რა მოგახსენოთ.

— როგორია თქვენი რეპერტუარი, რას ნახავს მაყურებელი ახალ თეატრალურ სეზონში?

— მიმდინარე თეატრალურ სეზონშიც მკვეთრად იქნება გამოკვეთილი ჩვენი პოზიცია. სეზონს ვხსნით პოლიკარპე კაკაბაძის პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლით — „დემეტრე მეორე", რომლის პრემიერა ამ გაზაფხულზე ვაჩვენეთ მაყურებელს. ახალი სეზონის რეპერტუარშია ოთარ ჩხეიძის „ერთი მერცხლის ამბავი", სომერსეტ მოემის „განუყრელი ცოლი", ლაშა თაბუკაშვილის პიესა (ავტორმა თავისი ორი პიესიდან „შენკენ სავალი გზები" და „მაგრამ უფლება არ მოუცია" გააკეთა მონტაჟი), და ოთარ ჭილაძის „ლაბირინთი". ოთარ ჭილაძის დრამა მასშტაბური, მრავალპლანიანი, მაღალმხატვრული ნაწარმოებია და, ვფიქრობ, სპექტაკლიც საინტერესო უნდა გამოვიდეს.

— როგორც თქვენ აღნიშნავთ, თეატრის წლევანდელი რეპერტუარი ძირითადად თანამედროვე ქართულ დრამატურგიას ეყრდნობა.

— ასეთი იყო ჩემი პოზიცია ადრე და ასეა დღესაც. რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ არ განვახორციელებთ ქართულ კლასიკას ან უცხოურ დრამატურგიას. გარდა ამისა, საახალწლოდ, ტრადიციულად სპექტაკლს დავდგამთ ბავშვებისთვის.

რადგან საუბარი ქართულ დრამატურგიაზე ჩამოვარდა, მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა მის დღევანდელ მდგომარეობაზე. რა თქმა უნდა, დღეს ბევრად უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე ათი–თხუთმეტი წლის წინათ იყო. გამოჩნდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი დრამატურგები, დაიწერა არაერთი საინტერესო პიესა. როდესაც თანამედროვე ქართულ დრამატურგიაზე ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა დარამატურგთა სემინარის მნიშვნელოვანი როლი. სემინარი, რომელსაც ბატონი თამაზ ჭილაძე ხელმძღვანელობს, ათ წელიწადზე მეტია ტრადიციულად ეწყობა ბიჭვინთაში; სემინარმა რამდენიმე ახალგაზრდა ნიჭიერი დრამატურგი გამოავლინა და მათ აღზრდა-დაოსტატებას შეუწყო ხელი. ქართული დრამატურგიის განვითარებისათვის უთუოდ მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამოდის ალმანახი „დრამატურგია", ოღონდ, მისი პერიოდულობა რეგულარული უნდა გახდეს. სემინარის დევიზია „დრამატურგია ლიტერატურაა!" თუ წინათ აქტუალობის გამო უამრავი სუსტი პიესა ადიოდა სცენაზე, დღეს ისინი აღარავის სჭირდება, ფასი დაედო მხოლოდ მაღალმხატვრულ ლიტერატურას. მე ვიტყოდი, რომ ასეთ ძნელ დროში სემინარის ჩატარება და ალმანახის გამოცემა მისი ხელმძღვანელების დიდი დამსახურებაა. უფრო მჭიდრო და აქტიური უნდა გახდეს თეატრისა და დრამატურგის ურთიერთთანამშრომლობა. თუ ნამდვილი ლიტერატურის შექმნა გვინდა (და, რასაკვირველია, გვინდა!), ძირითადი ყურადღება უნდა დავუთმოთ მარადიულ თემებს. ბოლო ხუთ წელიწადში იმდენი რამ მოხდა ჩვენს ცხოვრებაში, რომ ეს ერთ დიდ ეპოქას ეყოფა, მაგრამ ამ რთული ეპოქის ასახვა მოკლე დროში წარმოუდგენელია. თეატრში შემოდის პიესები, რომელთა ავტორები მწერლებთან ერთად დრამატურგიისთვის შემთხვევითი პიროვნებები არიან. ეს პიესები დღევანდელ დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობას, თავისუფლებას ეძღვნება, მაგრამ მათი მხატვრული ღირებულება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მხატვრულად მწირი ნაწარმოები კი ლიტერატურა არ არის! ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო ორწელიწადში პატრიოტულ თემაზე რამდენიმე პიესა დაიდგა და თეატრებში ერთფეროვნების საშიშროება შეიქმნა. ჩვენი ვალია დავძლიოთ ერთფეროვნება, შევქმნათ მაღალმხატვრული ხელოვნება და ხალხს დავუბრუნოთ დღესასწაული.

...ტარა წიგნი უნდა გამოსულიყო. წიგნი ააწყვეს, ბოლო კორექტურაც დროზე გაკეთდა, და რომ მეგონა, საბეჭდ მანქანაზე შეაგდებენ და საცაა გამოვა-მეთქი, სწორედ იმ დროს დამირეკეს: — მთავლიტში გიბარებენ, სასწრაფოდ უნდა მიხვიდეთ!

ცივად გამაჟრიალა ტანში. კარგად ვიცოდი, რა ბედენაც იყო ეს ორგანიზაცია, რომლისთვისაც ვიღაცას, მისი ნამდვილი სახელის, ცენზურის ნაცვლად, რატომღაც მთავლიტი შეერქმია.

კაცმა რომ თქვას, ჩვენთვის რა შედავათი იყო „მთავლიტი" ერქმეოდა თუ „ცენზურა", მგელი შეგვჭამდა თუ მგლისფერი ძაღლი. ფაქტი ის გახლდათ, რომ უფრო ყეყეჩური და რეგვნული რამ, რაც ეს მთავლიტად წოდებული საბჭოთა ცენზურა იყო, ბევრი არ ახსოვს კაცობრიობას. სუკთან საიდუმლო ძმობით შეკრული ეს ორგანიზაცია, გაფაციცებული ეძებდა სტრიქონებსა და სტრიქონებს შუა მიმალულ „დივერსანტებს" და „ჯაშუშებს", საბჭოთა იდეოლოგიის შენიღბულ მტრებსა და მოღალატეებს. ეძებდა და პოულობდა კიდევაც! პოულობდა ყველგან, მათ შორის იქაც, სადაც ისინი არ იყვნენ... სისხლის ზოლებად დასწურწურებდა მისი წითელი ფანქრის ნაკვალევი ლექსებს და მოთხრობებს, პიესებს და რომანებს.

# „კარები"

## ვახტანგ ხარჩილავა

...ჰმ, ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი მიბარებდა და რომ არ მივსულიყავი, არაფრით არ შეიძლებოდა, წლობით ნალოდინარი ჩემი წიგნი დღის სინათლეს ვერ იხილავდა!

...კარი შევაღე. მაგიდასთან საპენსიო ასაკს აშკარად კარგა ხნის წინათ გადაცილებული მოხუცი კაცი იჯდა და რაღაცას კითხულობდა. რომ დამინახა, კითხვა შეწყვიტა და თავაზიანად მიმიპატიჟა.

— ესა და ესა ვარ, დაგიბარებივართ, რაშია საქმე-მეთქი.

მოხუცმა ერთი ამათვალიერ-ჩამათვალიერა, მერე უჯრიდან გვერდებად შეკრული ჩემი წიგნი ამოიღო და ფურცვლა დაიწყო.

სანამ აქ მოვიდოდი, ბევრი ვიფიქრე, თუ რომელი ლექსი შეიძლებოდა არ მოსწონებოდა ცენზურას, მართლაც იყო აქ რამდენიმე „საეჭვო" ლექსი, ამისთვის შემზადებული ვიყავი და კონტრარგუმენტებიც მომზადებული მქონდა.

ჩემდა გასაკვირად, მოხუცმა ჩემს მიერ ვარაუდად ნაგულისხმევ „საეჭვო" ლექსებს მშვიდად აუარა გვერდი და ბოლოსწინა ფურცელზე შეჩერდა. დავინახე უზარმაზარი წითელი კითხვის ნიშანი, რომელიც ისეთი ლექსისთვის დაესვა ამ ახირებულ ცენზორს, რომელშიც, ჩემი აზრით, ნამდვილად არაფერი იყო მთავლიტის ხელჩასაჭიდი.

იმდენად მოულოდნელი იყო ეს, გამეცინა.

— რა გაცინებთ თქვენ, მაგალითად? — სათვალეების ქვემოდან მკაცრად ამომხედა მოხუცმა.

რა მაცინებდა და ეს ლექსი „კარები", რომელსაც ახლა შუბლზე წითელი კოპივით დასჯდომოდა კითხვის ნიშანი, იმდენად ჩვეულებრივი და პროზაული ამბის გამო დაიწერა, ვერ წარმოვიდგენდი, თუ მასში ვინმე პოლიტიკური თუ იდეოლოგიური გადახრების ჩხრეკას დაიწყებდა: ახლადმიღებულ ბინაში კარი რომ ჩამოვკიდე და მარტო დავრჩი, ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს მთელ სამყაროს გამოვეყავი.

„აი, ხრუტე, რომლითაც დიდ ზღვაში გავდივარ დილით, აი, ხრუტე, რომლითაც შემოდიან დაქანცული მოგზაურები" — ასე იწყებოდა ეს ლექსი, კარმა თითქოს [illegible] და ზღურბლი იქცა იმ საზღვრად, რომელსაც ჩემი ნება-სურვილისა და თანხმობის გარეშე ვერავინ გადმოლახავდა: „კარი კი არა, ფორტეპიანოა, კედლებს შუა ჩატანებული, ზედ რასაც გინდა იმას დაუკრავ. კარს აქეთ როგორი მხნე და ძლიერი ვარ, კარს იქით სხვისი მიწა იწყება, აქ გადის საზღვარი — ზღურბლი, რომლის იქით — „გემშვიდობებით", რომლის იქით — „კარგად მენახეთ". ეს კარი ჰკიდია ჩემს თავისუფლებას და გასაღები ჯიბეში მიდევს". ლექსში იყო ასეთი სტრიქონებიც: „კაკუნი... სანამ კარებთან მიხვალ, მოუსვენარი ფიქრი „ვინ არი?" ვინ დგას კარებთან, ვის გაახსენდი, ვინ მოსდგომია შენი მდინარის ნაპირს და ფრთხილად ვინ გიკაკუნებს, რა უნდა? რისთვის. რატომ მოვიდა, იღბალმა სტუმრად დღეს ვინ გარგუნა, ვინ უნდა გიხსნას სიმარტოვიდან. ვინ არიან ისინი, ვინც ჯერ არ მოსულან, მაგრამ ხვალ თუ ზეგ მოვლენ" და ა. შ.

მოკლედ რომ ვთქვათ, პოლიტიკაზე საერთოდ არ მიფიქრია, როცა ამ ლექსს ვწერდი. ეს მე, თორემ პატივცემული ცენზორი, თურმე, სულ სხვაგვარად ფიქრობდა.

— ვის ელოდებით, თქვენ, ბატონო ვახტანგ? — ჯიქურ დამისვა კითხვა მასპინძელმა.

— ვის ველოდები და.... სტუმრებს! — მივუგე მე.

—საქმეც მაგაშია, სტუმრებს რომ ელოდებით!

— რა არის ამაში ცუდი? — მართლაც გულწრფელად გამიკვირდა.

— რა არის ცუდი და ხომ გიწერიათ აგერ, შავით თეთრზე. „კარს იქით სხვისი მიწა იწყება, აქ გადის საზღვარი — ზღურბლი".

— მიწერია!

— „ვინ არიან ისინი, ვინც ჯერ არ მოსულან, მაგრამ ხვალ თუ ზეგ მოვლენ" — ესეც ხომ გიწერიათ?

— კი, მიწერია! — ჯერაც ვერ მივმხვდარიყავი, რას მედავებოდა ცენზორი და მექანიკურად ვპასუხობდი კითხვებზე:

— ჰოდა, აბა რა გინდათ, რას მერჩით, ყველაფერი ნათელია!— მტკიცე ხმით მითხრა მოხუცმა და ფანქარი მაგიდაზე დააგდო.

თითქოს დენმა დამარტყაო, უცებ გამოვფხიზლდი და მივხვდი, საითკენაც უკაკუნებდა ეს კაცი!

ისიც კი გამიკვირდა, რატომ აქამდე ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა ჩემი მხცოვანი თანამოსაუბრე, ისეთი მარტივი და უბრალო იყო საქმის არსი: — უცხო ქვეყნებიდან, „უცხო მიწიდან ველოდი „სტუმრებს", რომლებიც ხვალ თუ არა ზეგ გადმოლახავდნენ საბჭოთა სახელმწიფოს საზღვარს („აქ გადის საზღვარი— ზღურბლი" — მეწერა შავით თეთრზე...), გადმოლახავდნენ საზღვარს და დაანგრევდნენ და დალეწდნენ სოციალისტურ სამშობლოს.

აი, რაზე ვოცნებობდი თურმე მე და კიდევ ვბედავდი აქ თავის მართლებას!

აქედან ერთი ნაბიჯი იყო დარჩენილი ჯაშუშობამდე და 30-იანი წლები რომ ყოფილიყო, ეს კაცი, თუ მოისურვებდა, ამ ერთ ნაბიჯს ძალიან ადვილად გადამადგმევინებდა.

უცებ შემზარა ამის გაფიქრებამ, ეს კაცი, გამომცდელი თვალებით რომ მიყურებდა ახლა, წარმოშობით იქიდან იყო, იმ 30-იანი წლებიდან, იმ ეპოქის ღვიძლი შვილი, იმ დროის მიერ დაპროგრამებული და სამუდამოდ ტვინმორწამლული.

მას ალბათ არც ჰქონდა გაცნო- [illegible] ლესი შემსრულებელი რობოტი გახლდათ, რომელსაც ყოველ კუთხე-კუნჭულში მტერი ელანდებოდა.

რობოტისთვის ყველა მტერი იყო, ვინც ისე არ აზროვნებდა, როგორც თვითონ.

ასეთი რობოტების ლეგიონები ჰყავდა გაშვებული სათარეშოდ ამ სატანურ „დერჟავას".

— წიგნზე ხელს ვერ მოგიწერთ, თუ ამ ლექსს არ ამოიღებთ — კატეგორიულად მითხრა მოხუცმა.

წყლის ნაყვა იყო ამ კაცისათვის რაიმე ამეხსნა და გამეგებინებინა. სულერთია, მაინც ვერაფერს შევასმენდი, მისთვის სხვა ლოგიკა არ არსებობდა, გარდა იმ ლოგიკისა, რომელიც კონსტრუქტორმა ჩაუბეჭდა თავში.

— ლექსს ვერ ამოვიღებ, უფრო სწორად არ ამოვიღებ-მეთქი— მეც კატეგორიულად განვუცხადე ცენზორს.

— მაშინ მიბრძანდით უფროსთან და იმას ელაპარაკეთო —, მითხრა მოხუცმა და მიმახვედრა, რომ აუდიენცია დამთავრებული იყო.

...გმირთა მოედანზე, 11 სართულიან სახლში, სადაც „მთავლიტი" მდებარეობდა, როგორც იქნა მოვძებნე იმ განყოფილების გამგის ოთახი, მოხუცმა რომ მიმასწავლა.

ოთახში სამნი ისხდნენ და მხიარულად საუბრობდნენ.

— დაგელოდებით-მეთქი, რომ ვუთხარი, — არა, არა, მობრძანდითო — მიმიპატიჟა ერთ-ერთმა, როგორც მივხვდი, განყოფილების გამგემ.

არ მომერიდნენ და დაწყებული მასლაათი გააგრძელეს. ცოტა ხანში ვიღაც ჰალარა კაცმა შემოაღო კარი და განყოფილების გამგისკენ გამოემართა:

— ბატონო ომარ, პოლიტიკური შეცდომაა გაპარული ტექსტში!— საბჭოთა კავშირში ერთ სულ მოსახლეზე 1990 წლისთვის ამდენი და ამდენი კილო ხორცი იქნებაო რომ წერს ავტორი, პოლიტიკური შეცდომაა ეს!

— რატომაა პოლიტიკური შეცდომა? — გაუკვირდა განყოფილების გამგეს.

— რატომაა და ამდენი ხორცი ერთ სულ მოსახლეზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1960 წელს იყო, ჩვენ კი იგივე რაოდენობის ხორცი მხოლოდ 30 წლის შემდეგ გვექნება. ეს კი იმის ოფიციალური აღიარებაა, რომ ჩვენ 30 წლით ჩამოვრჩით!

არ არის პოლიტიკური შეცდომა?

საკითხის ასე შემოტრიალებას ნამდვილად არ ელოდნენ ჩემი მასპინძლები. ჯერ ერთმანეთს გადახედეს გაოცებულებმა, მერე კი სიცილი აუტყდათ.

— ყოჩაღ, ბატონო ანდრო, ყოჩაღ, მაინც რას ნიშნავს ძველი კადრები, რა ფანტაზია აქვთ, კაცო. გაოცდები პირდაპირ!

— წინადადება შემომაქვს, პოლიტიკური შეცდომის აღმოჩენისა და სამსახურებრივი მოვალეობის დროს გამოჩენილი სიფხიზლისათვის მიეცეს ბატონ ანდროს 30 მანეთი პრემია! — საზეიმოდ გამოაცხადა კუთხეში მჯდომმა.

— მივცეთ, მივცეთ! — მხიარულად დაეთანხმა განყოფილების გამგე.

ბატონი ანდრო გაბადრული სახით გავიდა კაბინეტიდან.

— თქვენ რაზე შეწუხებულხართ? — ახლა მე მომიტრიალდა განყოფილების გამგე.

— მე, ბატონო, უცხოეთის დაზვერვასთან მაქვს კავშირი, დღედღეზე ველოდები საზღვარგარეთის ჯარების შემოსვლას, გამიგო ეს თქვენმა თანამშრომელმა და თქვენთან გამომაგზავნა — მივუგე მე და წითელკითხვისნიშნიანი ლექსი გავუწოდე.

განყოფილების გამგემ რატომღაც ხმამაღლა წაიკითხა ლექსი, მერე რაღაც დააწერა და დამიბრუნა.

— ანდროზე ნაკლები ფანტაზია არც მაგას აქვს — თქვა და ისევ გულიანად გაიცინა.

„გაუშვით!" — ეწერა ლექსის ზედა კუთხეში.

სხვა დრო მოდიოდა... ახალი ადამიანები მისულიყვნენ „მთავლიტშიც"...

მინაწერი: ასეთი ბანალური ისტორია შემემთხვა არა 30-40-იან წლებში, არამედ, შვიდიოდე წლის წინათ. ერთი ჩვეულებრივი და უმნიშვნელო ამბავია, რომლის მსგავსი ალბათ მრავალ მწერალს გადახდენია თავს და მისი გახსენება იქნებ არც ღირდა, ერთი გარემოება რომ არა: დღეს, როცა ასე მოხშირდა უპასუხისმგებლო საყვედურები მწერლობის მიმართ, ხშირად ავიწყდებათ, თუ რა ჯოჯოხეთი გამოიარა მწერლობამ. რის ფასად უჯდებოდა მას როგორმე გაერიდებინა ცერბერივით დადარაჯებული იდეოლოგიური სამსახურისთვის თავისი ნალვაწი.

ის დრო კიდევ დიდხანს დააწვება მწერლის მარჯვენას მაჯლაჯუნასავით. ის ცენზორიც კიდევ დიდხანს იბოგინებს მისი ტვინის ხლართებში.

მიუხედავად ყველაფრისა, ქართულ მწერლობას არცერთი წუთით არ შეუწყვეტია ომი აღზევებული ბოროტების წინააღმდეგ. ის ამ ომიდან დაჩეხილ-დასერილი, დაღლილი-დაქანცული, მაგრამ მაინც გამარჯვებული და პირნათელი გამოვიდა.

# [illegible] მეგობართან



იმ მეგობართაგან, ვისთანაც მთელი სიცოცხლის მანძილზე — ბავშვობიდან მოყოლებული დღემდე მქონდა ძმური დამოკიდებულება, იყო დიმიტრი ქუმსიშვილი და ისიც რამდენიმე დღის წინ ჩვენგან სამუდამოდ წავიდა, მარადიული განსასვენებელი ჰპოვა დუშეთში, საგვარეულო სასაფლაოზე.

დიმიტრი ანუ დიმა, როგორც ნათესავები და მახლობელი ადამიანები ეძახდნენ, თბილისელი კაცი გახლდათ, თბილისში დაბადებული და გაზრდილი. მე, ალბათ, ბედმა გამიღიმა, რომ ქალაქის ერთ-ერთ ძველ უბანში, მტკვრის ნაპირზე მდგარ სახლში დიმას მეზობლად ვცხოვრობდი და ვიზრდებოდი. როდესაც ზოგჯერ მინდა ძველი ქართველი ინტელიგენტი წარმოვიდგინო, ყოველთვის დიმიტრი ქუმსიშვილის მშობლები მახსენდება: ბატონი იოსები და ქალბატონი მარიამი. მათ ბინაში ჯერ კიდევ იდგა მეცხრამეტე საუკუნის სურნელი, ცოცხლობდა იმ საუკუნის ზნეობრივი და კულტურული ტრადიციები.

იქ წიგნი დომინანტობდა, თითქმის ყველა კედელი წიგნის თაროებს ჰქონდა დაკავებული. წიგნები, წიგნები, საოცარი ძველი წიგნები — ტყავისა და მუყაოს ყდიანი, ოქროთი მოვარაყებული... და ამ ძვირფასი თაროების ფონზე ორი ხანდაზმული ადამიანი: ყოფილი გიმნაზიის მასწავლებელი და მისი მეუღლე, რომელიც უწიგნოდ თითქმის არ მინახავს, სახლს ალაგებდა თუ ნავთქურასთან იდგა და სადილს ამზადებდა, ხელში ყოველთვის წიგნი ეჭირა.

ამ ოჯახში დაიბადა დიმიტრი ქუმსიშვილი და სწორედ აქედან იღებს სათავეს მისი ქართველობა, წიგნიერება, ვაჟკაცობა, პატიოსნება და კეთილშობილება.

მძიმე ცხოვრება გაიარა, ფანტასტიკურად მძიმე. მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდანვე უნივერსიტეტის სტუდენტი ჯარში გაიწვიეს. გერმანელთა ზურგში მოხვედრილი თითქმის ორი წელი ჯოჯოხეთურ ცეცხლში გზას იკვლევდა საქართველოსკენ. მან გამოიარა ხუთასდღიანი ტანჯვის გზა, რომლის გავლასაც თავისი გონიერებით, გამჭრიახობითა და სპარტანული აღზრდის წყალობით მხოლოდ ერთეულები ახერხებენ.

სულით ხორცამდე ლიტერატორს ევროპული დონის განათლება ჰქონდა მიღებული და, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში რუსული კლასიკური ლიტერატურის კურსს კითხულობდა, მისი კვლევის ძირითადი ობიექტი მაინც ქართული ლიტერატურა იყო — კლასიკურიც და თანამედროვეც. ქართველი მწერლების მეგობარი მუდამ ლიტერატურული მოვლენების შუაგულში იდგა.

დიმიტრი ქუმსიშვილი ჩემზე რვა წლით უფროსი იყო, მაგრამ, ამ ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, მან იმთავითვე, სრულიად ბავშვი, დამიახლოვა და დამიმეგობრა. მე თვითონ მეჩვენება დაუჯერებლად ის ამბავი, რომ იმ ხანად დიმა თითქმის ყოველდღიურად მამოწმებდა, რას ვკითხულობდი, რით ვერთობოდი და რა მაინტერესებდა. ძალდაუტანებლად, შეუმჩნევლად მამარაგებდა იმ წიგნებით, რომლებიც, მისი აზრით, ჩემი ასაკის ბავშვს წაკითხული უნდა ჰქონოდა. თავად ათლეტი ჩემს ფიზიკურ აღზრდაზეც ზრუნავდა, მავარჯიშებდა რგოლებზე, ძელზე, მასწავლიდა ცურვას. დიმიტრი ქუმსიშვილი იყო იშვიათი კეთილშობილებით დაჯილდოებული პიროვნება, მეგობართაგან გამორჩეული მეგობარი. მზაკვრობასა და ღალატს ვერ იტანდა, ძალზე უჭირდა პატიება.

ერთი რამ უსათუოდ უნდა გავიხსენო: ჩვენ ცურვა აუზებში არ გვისწავლია, მტკვარი იყო ჩვენი საცურაო ასპარეზი. მაშინ, ალბათ, ცხრა წლის ვიყავი ან ათისა. ცურვა, ასე თუ ისე, ვიცოდი, მაგრამ მტკვრის სიღრმეში შესვლის მეშინოდა. დიმამ ზურგზე მომიკიდა და მტკვარში შეცურდა. შუა მდინარეში უცებ გადმომაგდო და მიბრძანა, ნაპირისაკენ გაცურეო. როდესაც რიყეზე გამოვედით, გამიღიმა: ახლა შენ შეგიძლია დამოუკიდებლად იცუროო. ამ დღის შემდეგ გაივლის ოცი წელი და დიმიტრი ქუმსიშვილი იმ სიტყვებს კიდევ ერთხელ გამიმეორებს: ახლა შენ შეგიძლია დამოუკიდებლად იცხოვროო.

ასეთი იყო დიმიტრი ქუმსიშვილი, კაცი, რომელიც უფრო მეტს შენ გაძლევდა, ვიდრე შენგან მიჰქონდა, ჭეშმარიტი ქართველი ვაჟკაცი, მამა, ძმა, მეგობარი, მასწავლებელი.

ვიდრე ცოცხალი ვარ, მისი სახელი ჩემს გულსა და მეხსიერებაში ალბეჭდილი იქნება, როგორც ძმობისა და მეგობრობის სიმბოლო.

არჩილ სულაკაური
1 სექტემბერი, 91 წ.

მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია, ანა კალანდაძე, დათო მაღრაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე, ელიზბარ ჯაველიძე.

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე



რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი 2.

ტელეფონები:
მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილეები — 99-91-89; 98-36-68.
პასუხისმგებელი მდივანი — 99-87-10.
განყოფილებები: პროზისა და პოეზიის — 99-71-68; კრიტიკის, პუბლიცისტიკის, ინფორმაციის —99-08-65; ხელოვნების 99-72-89.
ბუღალტერია — 99-72-89.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო
„LITERATURULI SAKARTVELO"
THE NEWSPAPER OF WRITERS OF THE REPUBLIC OF GEORGIA
«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
[illegible]

ИНДЕКС 68436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 [illegible]. საქართველოს [illegible] გამომცემლობის „სამშობლოს" სტამბა, თბილისი, [illegible] ქ. 14.